# ლელო

№216 (12 286)

13 სექტემბერი ხუთშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიური რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

# ჰაჯიმე, რიო დე ჟანეირო!

ირაკლი თავაძე
რიო დე ჟანეიროდან

**რიო დე ჟანეიროში, ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე ტრაგიკულ 11 სექტემბერს გამომგზავრებულმა საქართველოს მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ, ლამის დღენახევრიანი მოგზაურობისა და თითქმის 20-საათიანი მომქანცველი გადაფრენის შემდეგ, დანიშნულების ადგილს მშვიდობიანად უწია.**

სან პაულუში მცირე შესვენების შემდეგ რიოში მალევე ჩავედით. ბრაზილია თითქოს მოღუშული შეგხვდა, მაგრამ ცამ მალევე გაიხსნა პირი და ადრიანად ჩამოცხა. ბრაზილიაში ახლა ადრიანი გაზაფხულია, მაგრამ 30 გრადუსში მაინც გაგანია ბანაობის სეზონია.

აეროპორტიდან სასტუმრომდე მისვლას საათზე მეტი მოვანდომეთ, გზაში კი რიოს არაჩვეულებრივი ხედებით დავტკბით. სასტუმროსკენ მიმავლებს საკმაოდ დიდხანს დაგვყურებდა თავზე ქრისტეს განთქმული ქანდაკება, გზად კი ქალაქის კიდევ ერთი სიამაყე, "მარაკანას" სტადიონიც შევათვალიერეთ. ქალაქში ჩამოსვლისთანავე თვალში მოგვხვდა დილაადრიან სავარჯიშოდ გამოფენილი ლამის მთელი ქალაქი, ხოლო ღარიბთა კვარტალში ჩვენი ყურადღება დილის 9 საათზე პატარებით სავსე სტადიონზე გაჩაღებულმა ფეხბურთმა მიიქცია.

ორგანიზატორებმა ხუთვარსკვლავიან "ინტერკონტინენტალში" დაგვაბინავეს, ქალაქის პრესტიჟულ უბან სან კონრადოში. გუნდების უმრავლესობაც აქვეა დაბინავებული. ამ საოცარ ქალაქში ერთმანეთზე ულამაზეს ადგილებს რა დალევს, მაგრამ მათ შორის ეს სასტუმროც უნდა დავასახელოთ - ზღვის ლურჯი ტალღები ლამის მის კედლებს ეხლება, ხოლო ფანჯრებიდან აქოჩრილი ზღვა და თეთრად მოქათქათე პლაჟი მოჩანს ქალაქის ულამაზესი ხედებით. ოთხივე კუთხით საოცარი სანახაობა იშლება.

ბუნებრივია, ჩამოსვლისთანავე ჩვენი გუნდის ამბავი ვიკითხეთ. ისინი წინა ღამეს ჩამოფრინდნენ სან პაულუდან და პრობლემებიც მაშინ დაეწყოთ - სასტუმროების გადატვირთვის გამო მათთვის სასურველ ადგილები არ შეხვდათ და დიდი დავიდარაბის მერე სხვაგან გადაიყვანეს. ბუნებრივია, ასე სახელდახელოდ გამოძებნილმა სასტუმრომ მათი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და უკვე გუშინ ადგილი შეიცვალეს - "იიოტი ბარა-ოტელში" დაბინავდნენ. **შოთა ხაბარელი** ცოტა კი წუხდა იმაზე, რომ ბიჭებს ვარჯიშიც ჩაუვარდათ და ვახშამიც. სამწუხაროდ, მათ ახალ სასტუმროში დაბინავება გუშინაც დაუგვიანდათ.

ხაბარელი სან პაულუში გამართული შეკრებით უაღრესად კმაყოფილია. მისი თქმით, იქ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, მასპინძლებისა და ბერძნების სახით საკმაოდ ძლიერი სპარინგ-მეტოქეებიც ჰყავდათ და ნაყოფიერი შეკრებაც გაიარეს. რაც მთავარია, ყველა ჯანმრთელადაა და არც აკლიმატიზაციის პრობლემას შეუწუხებია ვინმე. გუნდის ექიმმა **გიორგი ლომიძემ** გვითხრა, რომ აკლიმატიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად ბიჭებს საგანგებოდ უვლიდნენ. მისი თქმით, ბიჭებს ყოველდღიურად უმოწმებენ პულსს, სუნთქვას, რამაც აჩვენა, რომ მათი ფუნქციონალურ-ფიზიკური მდგომარეობა ახლა ბევრად უკეთესია, ვიდრე ევროპირველობის წინ.

სამწუხაროდ, წილისყრა თბილისის დროით დილის 4 საათზე იწყებოდა და მასზე ახლა ვერაფერს გეტყვით. მათ შორის, ვერც **ლომერ ჟორჟოლიანის** (100), **ლაშა გუჯეჯიანისა** (მძიმე) და **ირინე ლეონიძის** (მძიმე) მეტოქეებზე. ეს სამეული დღეს ხსნის ტურნირს. გარეგნულად სამივე მშვიდადაა და ღელვება არც ერთს არ ეტყობა. გუჯეჯიანი ჩვეულებრივად მხიარულობს კიდეც. ტიტულებისა და ტურნირისადმი უშიშრობა - ეს მისი უაღრესად დადებითი თვისებაა. ღელვება არც ჩემპიონატის დებიუტანტ ჟორჟოლიანს ეტყობა. არადა, ათასწილად სჯობდა, მას თუნდაც მეორე დღეს ეჭიდავა და სასტარტო დღის დაძაბულობა დებიუტანტს არ შეხვედროდა. რაც შეეხება ლეონიძეს, მან მშვენივრად იცის საკუთარი ამოცანის სიმძიმე - რაც შეიძლება მეტი ორთაბრძოლა მოიგოს და როგორმე ლიცენზიას შესწვდეს.

ვერ ვიტყვი, რომ ქალაქში ჩემპიონატისადმი ინტერესი იგრძნობა. აფიშები წამლად არ გვინახავს და უბრალო ხალხისას კი ვერაფერს გეტყვით. მოგვიანებით ისეთ ტაქსისტს კი გადავაწყდით, რომელმაც იცოდა, მათ ქალაქში რაღაც ჩემპიონატი რომ ტარდებოდა, მაგრამ... კრივისა ეგონა. შესაძლოა, რამდენიმე საათი დასკვნების გამოსატანად არასაკმარისი დროა, მაგრამ ისე მომეჩვენა, აქ ძიუდოს მსოფლიო პირველობაზე მეტად შაბათს "ფლამენგოს" ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩს ელიან. როგორც ჩვენებმა გვითხრეს, არც ტურნირის ორგანიზაცია გამოირჩევა დახვეწილობით. თუმცა დახვეწილობა ფრიად უადგილო გამოთქმაც კი ჩანს იმის ფონზე, რომ რამდენიმე დღით ადრე, სწორედ ორგანიზაციული პრობლემების გამო, ბრაზილიას ჩემპიონატის გამართვის უფლება თურმე კინაღამ ჩამოართვეს.

ამის მიუხედავად, რიოში ქარიშხლისწინა დაძაბულობა მაინც იგრძნობა. მონაწილეებს სახეზე მხოლოდ ამ ტურნირით გამოწვეული განცდები ახატიათ. აქ ყველა ჩუმად, მაგრამ გულმოდგინედ და დაკვირვებით ზვერავს ერთმანეთს. არცაა გასაკვირი - ამ სასწორზე ხომ ბევრი რამ დევს, არა მარტო მედლები, არამედ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც. თუმცა ნურც ისე გავიგებთ, თითქოს ვინმე ერთმანეთის მიმართ მტრობითაა განწყობილი. პირიქით, მაგალითად, გუშინ ჩვენს დელეგაციასთან ოსი დევკაცი **ტამერლან ტმენოვი** მოვიდა და გულთბილად მიესალმა ყველას. ვინც მოისაკლისა, მასზე - დანარჩენები სად არიანო, კავკასიური გულითადობით მოიკითხა სხვები. ასევე მოიქცა ორი ესპანელიც, რომელთაგანაც ერთი ვიცანი - იაპონური წარმოშობის ევროპის ჩემპიონი **კენძი უემაცუ** (73).

ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო თემა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის სათავეში მომხდარი ცვლილებაა, რასაც ავტომატურად მოჰყვა საკადრო ცვლილებები ევროპული ფედერაციის სათავეში. ძველი პრეზიდენტის - კორეელ **იონგ სუნგ პარკის** ასე მოულოდნელად წასვლას არავინ ელოდა, თორემ მისი ყველაზე დიდი მოცილე რომ რუმინელი **მარიუს ვიზერი** გახლდათ, ეს ყველამ იცოდა. პარკის მოშორებას ლოგიკურად უნდა მოჰყვეს მისი მარჯვენა ხელის - მსაჯთა კომიტეტის ესპანელი თავმჯდომარე **ბარკოსის** გაძევებაც. ამ ორივე ცვლილებას - მომხდარსაც და მოსახდენსაც ჩვენები მიესალმებიან, მაგრამ არჩევნებით ბოლომდე კმაყოფილნი მაინც არ არიან. ამის ძირითადი მიზეზი ევროპული ფედერაციის მმართველად რუსი **სერგეი სოლოვეიჩიკის** დანიშვნაა. ჩვენებს სრულიად საფუძვლიანად მიაჩნიათ, რომ იგი **ვლადიმირ პუტინის** მორჩილი პრეზიდენტი იქნება. არცაა გასაკვირი, რადგან სოლოვეიჩიკი იყო ერთ-ერთი პირველი, ვისაც პუტინის უშვერი გინება ხვდა წილად, როცა შარშან ევროპის საკლუბო თასის მასპინძლობის პატივი თბილისს ერგო. ასევე სამართლიანია ის მოსაზრება, რომ ამ გადაადგილებებით რუსეთის ძიუდოისტ პრეზიდენტს არა მარტო ევროპულ, არამედ უკვე საერთაშორისო ფედერაციაზე ზეწოლის ბერკეტიც მიეცა.

თუმცა გამოსავალი ყველანაირი მდგომარეობიდან არსებობს და მთავარი კი ისაა, რომ დღეს მსოფლიო ჩემპიონატი იწყება!



დღეს ლაშა გუჯეჯიანი და ლომერ ჟორჟოლიანი ჭიდაობენ

## ისევ მარჩანჩალა, ისევ ფრე

2

აზერბაიჯანი-საქართველო 1:1



გუშინ, ბაქოში. ჯაბა კანკავა (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

## ჯგუფის ლიდერი შოტლანდიაა

3

| | |
|---|---|
| უკრაინა-იტალია | 1:2 |
| საფრანგეთი-შოტლანდია | 0:1 |
| ლიტვა-ფარერები | 2:1 |




საქართველო-არგენტინა. გამოქახილი

13

## თვით ლომუმაც შეგვაქო

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

**აზერბაიჯანი-საქართველო**

**1:1**

12.09. ბაქო. ტ. ბახრამოვი
9 000 მაყურებელი

1:0 სუბაშიჩი (45), 1:1 ტატანაშვილი (48)

აზერბაიჯანი: ვალიევი - ს. აბასოვი, ჰაშიმოვი, ა. ქერიმოვი, ჩერტოგანოვი - იმამალიევი, ბახშიევი, ა. გურბანოვი, სულთანოვი - ს. ალიევი, სუბაშიჩი

საქართველო: მაკარიძე - ხიზანეიშვილი, ასათიანი, ა. კვახაძე (69. დ. ლომაია) - დოლიძე (74. სალუქვაძე), კანკავა, ცქიტიშვილი (79. ბოლქვაძე), ყენია (60. დეკანოსიძე), კანდელაკი - ჯაკობია (62. მარცვალაძე), ტატანაშვილი

გაფრთხილება: კანკავა (10), ჩერტოგანოვი (11), ასათიანი (90)

არბიტრი: ვ. კოვალენკო (უზბეკეთი)

ამხანაგური მატჩი

# ისევ მარჩანჩალა და ისევ ფრე



საგოლე კომბინაცია ლევან ყენიამ (77) წამოიწყო

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა. ლუქსემბურგში "მიღწეული" შედეგი ცალსახად უარყოფითად შეფასდა, უკრაინასთან ნათამაშებმა 1:1-მა გაცილებით ნაკლები გულშემატკივარი დატოვა უკმაყოფილო, ბაქოში დაფიქსირებული ანგარიში კი ალბათ, რაღაც შუალედური ემოციების მომგვრელი უნდა იყოს.

ზოგადად, ამბიციური ნაკრები აზერბაიჯანთან ფრით (თუნდაც სტუმრად) ვერ იამაყებს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს და ჩვენი გუნდის ექსპერიმენტულ შემადგენლობას გარჯა არ უნდა დავუკარგოთ. სხვა საქმეა, რომ ასეთ სუსტ მეტოქესთანაც კი უამრავი ტექნიკურ-ტაქტიკური შეცდომა დავუშვით და იმის მიუხედავად, რომ გამარჯვების შანსი გვქონდა, არც მარცხი იქნებოდა დიდი სასწაული.

**ტოპმიოლერმა** ძირითად შემადგენლობაში სამი ნომინალური მცველი გაამწესა - **ხიზანეიშვილი, ასათიანი** და **კვახაძე. დოლიძესა** და **კანდელაკს** შესაბამისად მარჯვენა და მარცხენა ფლანგების კონტროლი დაევალათ, ცენტრიდან შეტევების წამოწყება კი **ცქიტიშვილისა** და **ყენიას** საქმე იყო. ამჯერად ორი გამოკვეთილი ფორვარდით ვითამაშეთ.

საწყისი ათი წუთი აზერბაიჯანელთა უპირატესობით აღინიშნა. ჯერ იყო და ნატურალიზებულ სერბ **ბრონიმირ სუბაშიჩს კვახაძემ** არ მისცა თავის გამოჩენის საშუალება, ორიოდ წუთში კი უფრო რეალური მომენტი **ალიევს** ჰქონდა - მისი დარტყმა ნაკრების დებიუტანტმა **მაკარიძემ** მოიგერია.

ამის შემდეგ ჩვენი შემტევები გამოცოცხლდნენ და დოლიძის აქტიურობით პირველი ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს. ამერელმა მარჯვენაფლანგელმა მეურვე ჩამოიცილა, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და გამჭოლი გადაცემით კანდელაკი მოძებნა. ილიას ახლო მანძილიდან გატანა მასპინძელთა კიპერმა **ვალიევმა** არ დაანება.

ეს მე-17 წუთზე იყო, 21-ეზე კი **ჯაკობია** თავით ვერ შესწვდა კანდელაკის ჩაწოდებულს, თორემ გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

ამის შემდეგ ინიციატივა დავთმეთ და შესვენებამდე აზერები ვეღარაფრით შევაწუხეთ. სამაგიეროდ, **შაჰინ დინიევის** შეგირდებმა აქეთ შეგვიქმნეს პრობლემები. **სულთანოვს** ოდნავ მაღალი კლასი რომ ჰქონოდა, ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთს ტრიბუნებზე არ გაგზავნიდა.

დადგა პირველი ტაიმისთვის დამატებული დრო და ჩვენმა დაცვამ, რომელიც არც მანამდე გამოირჩეოდა საიმედოობით, ბავშვური შეცდომა დაუშვა. **გურბანოვის** გრძივი გადაცემის ჩაჭრა ჩვენმა უკანახაზელებმა ვერ შეძლეს, სიტუაციას ალღო ვერც მაკარიძემ აუღო, რომელმაც კარიდან გამოსვლა და მასთან პირისპირ გასულ სუბაშიჩთან შებრძოლება დააგვიანა. ეს უკანასკნელი სიტუაციაში ჩინებულად გაერკვა, ბურთს თავი წაჰკრა, ჩვენი მეკარე იოლად ჩამოიცილა და ბურთმა საქართველოს ნაკრების კარი ისე გადაკვეთა, აზერთა მთავარ ფორვარდს ბურთთან მეორედ შეხება აღარ დასჭირვებია.

რამდენიმე წამში მეორე გოლს გადავრჩით. ალიევის დარტყმა მაკარიძის კარს მცირედით ასცდა.

ვერ ვიტყვით, რომ მეორე ტაიმში კარდინალურად განსხვავებული სურათი ვიხილეთ, სწრაფი იერიშების განხორციელება კვლავ გვიჭირდა. ცქიტიშვილმა და ყენიამ ბევრი იშრომეს, მაგრამ თამაშს მხოლოდ ეპიზოდურად ამწვავებდნენ. აქა იქ **კანკავამაც** სცადა თამაშის საკუთარ თავზე აღება. რამდენიმე უზუსტობის მიუხედავად, გრიგოლ დოლიძე ანსამბლში ნორმალურად ჩაეწერა, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ამერის" შემადგენლობაში მან ბოლო მატჩები არცთუ მაღალ დონეზე ჩაატარა.

სიტყვა ახალწვეულებზე ჩამოვარდა და გარჯა **დიმიტრი ტატანაშვილსაც** დავუფასოთ. იგი გუშინ გაცილებით სასარგებლო იყო, ვიდრე უკრაინასთან, ტექნიკისა და კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით, მეტოქის მცველებს იგი ხშირად სჯაბნიდა. ალექსანდრე კვახაძეც რიგიანად იდგა დაცვაში და გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვა, ვიდრე ნაკრების ლიდერმა **მალხაზ ასათიანმა**.

საბედნიეროდ, მეტოქეს თამაშის გაწყობა არ ვაცალეთ და ანგარიში მეორე ნახევრის დასაწყისშივე გავათანაბრეთ. ყენიამ მახვილგონივრული პასით ჯაკობია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, დარტყმა ვალიევმა მოიგერია, ასხლეტილი ბურთი იმავე ჯაკობიამ მომენტალურად თავით დაუგდო ეულად მდგომ ტატანაშვილს, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

მატჩის დარჩენილი ნაწილი კიდევ უფრო ქაოსური გამოდგა. ორივე გუნდმა ელემენტარული შეცდომების დაშვებას უმატა, მცირე უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ ნელ-ნელა მტკიცდებოდა აზრი, რომ ფრეზე ორივე მხარე ყაბულს იყო. ტაიმის შუაწელში მხოლოდ **ალიევისა** და ტატანაშვილის არაზუსტი დარტყმები იყო დასამახსოვრებელი.

ყენიასა და ცქიტიშვილის მოედნიდან გასვლამ ჩვენი შემტევი პოტენციალი კიდევ უფრო შეასუსტა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე ჩვენმა გუნდმა ყველაზე აზრიანი კომბინაცია გაითამაშა და კინაღამ გაიტანა. კომბინაცია მთლიანად ამერული გამოდგა. **დეკანოსიძემ** ტატანაშვილს უპასა, რომელმაც **ბოლქვაძეს** დაუგორა - ამ უკანასკნელმა საჯარიმოს მისადგომებიდან ერთი შეხებით დაარტყა და მატჩის გმირობამდე სულ ცოტა დააკლდა.

არბიტრის მიერ დამატებულ ოთხ წუთში საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ასეთი გამოდგა ბაქოური საღამო. შედეგი მთლად სახარბიელო არაა და იმის იმედიღა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სამწვრთნელო შტაბი ამ შეხვედრის მთავარ დანიშნულებას რიგიანად გამოიყენებს - გუშინ ხომ ეროვნულ გუნდში დამკვიდრების კანდიდატები ვნახეთ საქმეში და ნამდვილადაა იმის წინაპირობა, რომ მათმა ნაწილმა ნაკრებში ფეხი მოიკიდოს და ქვეყნის მთავარი გუნდის გაძლიერებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

**პრესკონფერენცია**

## კლაუს ტოპმიოლერი:

კარგი ტესტ მატჩი იყო. პირველ ტაიმში საგოლე მომენტები გვქონდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს გოლი მივიღეთ. თამაშამდე მცველებს ვუთხარი, ყურადღებით ეთამაშათ, მაგრამ ტაიმის ბოლოს შეცდომა მაინც დავუშვით და მეტოქემ ანგარიში გახსნა. მიღებული გოლის შემდეგ მასპინძლებს კიდევ ერთი მომენტი ჰქონდათ, როცა შეიძლებოდა 2:0 გამხდარიყო. დღევანდელ შეხვედრაში ბევრი დებიუტანტი გვყავდა. თამაშის წინ ავუხსენი, რომ ეს მატჩი მათთვის შანსი იყო ნაკრებში დამკვიდრებისათვის. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და გავათანაბრეთ ანგარიში. არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შევძელით.

ყენია ჩინებული ფეხბურთელია. მატჩის შემდეგ მას მასპინძლებმა მაისურის გაცვლაც კი შესთავაზეს. ახალი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. მათ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ნაკრების სტაჟიან წევრებს. 5 ფეხბურთელი გვაკლდა იმ შემადგენლობიდან რომელმაც უკრაინასთან ითამაშა.

**- ყენიამ გაცვალა მაისური?**

- არ ვიცი, თამაში რომ მორჩა რამდენიმე ფეხბურთელი ერთად შეიკრიბა და არ დამინახავს.

## შაჰინ დინიევი:

- კარგი თამაში იყო. ორივე გუნდს შეეძლო მოგებაც და წაგებაც. ვფიქრობ ფრე ლოგიკური შედეგი იყო. ჩვენც რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. საქართველოს ნაკრების შუა ხაზი საკმაოდ აქტიური იყო. თავდამსხმელები მწვავედ თამაშობდნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ ასათიანი მაღალი კლასის ფეხბურთელია.

**- 5000 მაყურებელზე მეტი რატომ არ მოვიდა სტადიონზე?**

- ალბათ, იმიტომ, რომ სამუშაო დღეა და მატჩი გვიან იყო. ჯერ კიდევ ცხელა და გასულები არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**დავით ცაბაძე**
ბაქოდან






პრესკონფერენციაზე

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


დავით კვირკველია

B ჯგუფი. მეტოქეები

# შოტლანდიამ შეუძლებელი შეძლო, უკრაინა ჩარჩა

**ბლოხინის** გუნდის ევროპის პირველობაზე გასვლა ფრის შემთხვევაშიც კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, ამ შედეგმა კი უკრაინის იმედები დაასამარა. უკრაინელებსაც და იტალიელებსაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ. ალბათ, ამის გამო იყო, დაცვითი ფეხბურთის მიმდევარ მეტოქეთა მატჩი საკმაოდ ლაღი და სანახაობრივი რომ გამოდგა.

საწყისი წუთები მასპინძელთა მცირე უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონები თავს დამაჯერებლად იცავდნენ. პირველ ტაიმში **შევჩენკოსა** და **ნაზარენკოს** შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ **ბუფონს** ვერ აჯობეს. სამაგიეროდ, ზედ შესვენების წინ **ანტონიო დი ნატალემ** ახლო მანძილიდან დაარტყა იდეალურად და თავისიანები დააწინაურა.

ბლოხინმა შესვენების შემდეგ შეტევის გაძლიერება სცადა და მოედანზე **ანდრეი ვორონინი** შეუშვა. მისი და შევჩენკოს დუეტი გუშინ უფრო პროდუქტიული იყო, ვიდრე თბილისში. შევამ 71-ე წუთზე გაათანაბრა და უკრაინელ ქომაგს გამარჯვების იმედი გაუჩინა, მაგრამ ბლოხინის გუნდმა 1:1-იც ვერ შეინარჩუნეს. არადა, ორიოდე წუთში ვორონინმა კარს სულ მცირედით ააცილა.

სამაგიეროდ, თავისი შანსი დი ნატალემ მეორედაც გამოიყენა, **შოვკოვსკისთან** პირისპირ გავიდა და მეტოქის მეკარეს შანსი არ დაუტოვა - 1:2. დარჩენილ დროში საინტერესო ალაფერი მომხდარა და "სკუადრა აძურამ" ევრო 2008-ზე მოხვედრის რეალური შანსი შეინარჩუნა, სლავები კი ავსტრია-შვეიცარიაზე ოცნებას დაემშვიდობნენ.

შოტლანდიამ საფრანგეთს გლაზგოშიც სძლია და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ბრიტანელები ამ შედეგის გამეორებას სტუმრადაც შეძლებდნენ. თუმცა ფაქტი ჯიუტია - **ალექს მაკლიშის** გუნდმა სასწაული შეძლო და თუ ასე გააგრძელა, ან "სამფეროვნებს" დატოვებს ევროპის ჩემპიონატის მიღმა, ანაც "აძურის".

გოლი სკოტთა იშვიათ კონტრშეტევას მოჰყვა. **ჯეიმს მაკფადენის** შორეულ დარტყმას აუღებელი არ ეთქმოდა, მაგრამ ფრანგთა კარის დარაჯმა **მიკაელ ლანდრომ** ბურთს ხელები უხეიროდ დაუხვედრა და ბურთი კარში აღმოჩნდა. ბუნებრივია, მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში **დომენეკის** ბიჭები გავეშებულები უტევდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის მასირებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

საქართველოს ნაკრები ცხრილის მეხუთე საფეხურზე მხოლოდ ოთხი დღით იყო. ლიტველებმა დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვეს და მეექვსე ადგილზე დაგვაბრუნეს. მეხუთე ადგილის საბოლოო მფლობელს საქართველოსა და ლიტვის თბილისური დაპირისპირება გაარკვევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**უკრაინა-იტალია 1:2**

**უკრაინა:** შოვკოვსკი, კუჩერი, რუსოლი, შელიაევი (69. გლადკი), იეზერსკი, გაი, გუსევი (88. მილევსკი), კალინიჩენკო (60. ვორონინი), ნაზარენკო, ტიმოშჩუკი, შევჩენკო.

**იტალია:** ბუფონი, ბარძალი, კანავარო, პანუჩი, ძამბროტა, ამბროზინი, კამორანეზი (78. ოდო), პეროტა (68. აკუილანი), პირლო, დი ნატალე, იაკუინტა.

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (41), 1:1 შევჩენკო (71), 1:2 დი ნატალე (77)

**მაყურებელი:** 41 500

**საფრანგეთი-შოტლანდია 0:1**

**საფრანგეთი:** ლანდრო, აბიდალი (77. ბენზემა), ესკუდე, ტიურამი, ლ. დიარა, მაკელელე, მალუდა, ვიეირა (69. ნასრი), ანელკა, რიბერი, ტრეზეგე.

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, ჰატონი, მაკმანუსი, ვეირი, ბრაუნი, ფერგიუსონი, დ. ფლეტჩერი (26. პირსონი), ჰარტლი, მაკალოხი, მაკფადენი (76. ო'კონორი).

**გოლები:** 0:1 მაკფადენი (64)

**მაყურებელი:** 78 000

**ლიტვა-ფარერები 2:1**

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, ალუნდერისი, კლიმავაჩუსი, შემბერასი, სკერლა, ჩესნაუსკასი (31. კალონასი), ივასკევიჩუსი, კსანავიჩუსი, მიკოლიუნასი (32. ველიჩკა), დანილევიჩუსი, იანკაუსკასი (86. კუცისი).

**ფარერები:** მიკელსენი, ბენაიმინსენი, დანიელსენი, ჰოლსტი (74. სამუელსონი), ი-რ. იაკობსენი, ბორგი, კ-ჰ. იაკობსენი (84. ფლოტუმი), ოლსენი (63. ჰანსენი), სამუელსენი, ტომასენი, რ. იაკობსენი.

**გოლები:** 1:0 იანკაუსკასი (8), 2:0 დანილევიჩუსი (53), 2:1 რ. იაკობსენი (90)

**მაყურებელი:** 4 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 9 | 7 | 0 | 2 | 17-7 | 21 |
| 2. იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15-7 | 20 |
| 3. საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-3 | 19 |
| 4. უკრაინა | 8 | 4 | 1 | 3 | 10-9 | 13 |
| 5. ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 10 |
| 6. საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14-15 | 7 |
| 7. ფარერები | 9 | 0 | 0 | 9 | 3-29 | 0 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. შოტლანდია-უკრაინა, იტალია-საქართველო, ფარერები-საფრანგეთი


შოტლანდიელები გამარჯვებას და გალიდერებას ზეიმობენ

ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

# შესაძლოა, ზამთარში ინგლისში გადავიდე

**კლაუს ტოპმიოლერმა უკრაინა-აზერბაიჯანთან არ გამოიძახა დავით კვირკველია. ისევე როგორც "შავ სიაში" შეყვანილი დანარჩენი მოთამაშეები (მუჯირი, ბურდული) ირიბად, გვარის დაუსახელებლად გააკრიტიკა, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება არ გამოადგებათო.**

**არადა საქმის უგულოდ გამკეთებელი კვირველია ძნელი წარმოსადგენია. როგორც გაშორებულ ცოლქმარში ვერ იპოვი სიმართლეს, ასევე ბოლომდე ძნელია მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის მომხდარის დადგენა.**

**- დათო, ტოპმიოლერმა რამდენიმე მოთამაშეზე თქვა, მათ შორის შენზეც, დაფიქრების შანსი მივეციო. რა მოხდა ლუქსემბურგში, რომ ასეთი ლმობიერი მწვრთნელიც გაალიზიანეთ?**

- არ ვიცი და ძალიან შეწუხებული ვარ. შეიძლება თამაში ჩამიგდია, მაგრამ უგულოდ არასდროს მითამაშია. ლუქსემბურგთან თამაში არ წაგვივიდა, მომენტები ვერ გამოვიყენეთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზერელედ გავედი სათამაშოდ. რა ვიცი, თავის მართლება კი არ მინდა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ასე იყო.

**- გინდა თქვა, რომ ტოპმიოლერი შენთან ტყუის?**

- მე დასამალი არაფერი მაქვს. ამ კაცისგან ნდობას ყოველთვის ვგრძნობდი. შეიძლება, ის შეხვედრა ვერ ჩავატარე და ჩათვალა, რომ თავი არ მოვიკალი. დამიჯერეთ, მასზე ნაღდად არ ვარ ნაწყენი. პირიქით, სამართლიანად გაბრაზდა ჩვენზე, ის თამაში ჩავაგდეთ. მინდა დავუმტკიცო, რომ ნაკრებში თამაში ჩემთვის პასუხისმგებლობაა, გარდა სიხარულისა. ამას უბრალოდ არ ვამბობ. თუ გამომიძახებს, ხომ კარგი, თუ არადა, საწყენი იქნება, ძალიან საწყენი.

**- "სანდერლენდის" ამბავი ცნობილი გახდა. თითქოს საკითხი გარკვეული იყო და მაინც ზაპოროჟიეს "მეტალურგში" დარჩი. რა მოხდა?**

- ეს ბოლომდე მეც არ ვიცი. ისე, ნაღდი ამბავი იყო. გუნდში მიწვევა გამოაგზავნეს, მერე "სანდერლენდის"აგენტი შემეხმიანა.

**- სად განხეს?**

- არც ვიცი. ლუქსემბურგშიც ჩამოვიდნენ, იქაც მესაუბრნენ, თარჯიმნის დახმარებით მითხრეს, რომ ვიზა გააკეთეს. ეს კი იოლად არ კეთდება. ბილეთიც მომცეს, კიევიდან რომ გავფრენილიყავი.

**- გასინჯვაზე მიგიწვიეს?**

- 3 დღე გავჩერდებოდი და როგორც მითხრეს, მხოლოდ სამედიცინო შემოწმებას გავივლიდი და კონტრაქტს გავაფორმებდი. ჩავედი უკრაინაში, კიევში დავბრუნდი და როცა გაფრენას ვაპირებდი, მითხრეს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჩემი განაცხადში შეყვანა ველარ მოხერხდებოდა, გაოცებული დავრჩი.

ისე გასინჯვაზე არ წავიდოდი. ერთ კვირაში ვის რა უნდა დავუმტკიცო? თუ ინტერესი აქვთ, კონტრაქტი გამიფორმონ. ასეც იყო და არ ვიცი, რა მოხდა.

**- ზამთარში ისევ შეგეხმიანებიან?**

- არ გამოვრიცხავ. ხომ გეუბნებით, ყველა საკითხი ისე სწრაფად მოაგვარეს, მივხვდი, ინტერესი ჰქონდათ.

**- ბრიტანეთში სათამაშოდ სანაკრებო პროცენტები გეყოფა?**

- ზაფხულისთვის მყოფნიდა, მხოლოდ შოტლანდიასთან არ ვითამაშე. ახლა უკრაინა გამოვტოვე, მაგრამ მაინც მყოფნის.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ინტერვიუ გოჩა ტყებუჩავასთან

# დაშვებული საბურავი და ვერმირთმეული საუზმე

## პირობები არის, მაგრამ შედეგი კარგა ხანს არ იქნება


გოჩა ტყებუჩავა

**გუშინწინ** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთთან 0:4 წააგო და მერე რა? თითქოს სათქმელიც არაფერია, თითქოს შევეჩვიეთ წაგებას და თავის დასამშვიდებლადაც იმის თქმაღა შეგვიძლია, რომ ქართული ფეხბურთის გაჯანსაღება კომპლექსური საკითხია და უცბად, ერთი ხელის მოსმით, ვერაფერს გავაკეთებთ.

საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში ახლა უწინდელისგან განსხვავებით სულ სხვა სიტუაციაა, თუმცა შედეგები ჩვენს ჯეელებს უკეთესი ვერ აქვთ. საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებს უცხოელი თავკაცობს, მაგრამ მათი მუშაობა ჯერ ვერ არის ეფექტური.

ამ თემაზე სასაუბროდ ისეთი რესპონდენტი ავირჩიეთ, ვინც ახლა პირველი ლიგის აგარის "მეშაქრის" მთავარი მწვრთნელია, თუმცა მაშინ, როცა ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ალენ ჟირესი წვრთნიდა, გოჩა ტყებუჩავა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა. იყო თბილისის "დინამოს, "ვიტ ჯორჯიის" და "თბილისის" დამრიგებელიც.

**- როგორ შეადარებდით საქართველოს ახლანდელ 21-წლამდელთა გუნდს იმ ნაკრებს, რომელსაც თქვენ წვრთნიდით?**

- ჩემს დროს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მხოლოდ ორი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა, არ გვქონდა შეკრებები. ახლა კი ამ მხრივ ბევრად უკეთესადაა საქმე. ეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციის დამსახურებაა.

**- კიდევ რა პრობლემებს აწყდებოდით?**

- არ მქონდა საშუალება, უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს დავკვირვებოდი, მათი თამაშის სანახავად წავსულიყავი. რამდენჯერმე ისეც მოხდა, რომ ჰაერზე გამოვიძახე ფეხბურთელი - უცხოეთში მისი თამაში ნანახი არ მქონდა. კიდევ ერთი პრობლემა მცირე დრო იყო. ახალგაზრდულ ნაკრებში ხომ ერთი შესარჩევი ციკლიც არ ჩამიმთავრებია.

**- ახალგაზრდული ნაკრების კონტინგენტით კმაყოფილი იყავით? იმ თაობის ფეხბურთელები მნიშვნელოვნად რატომ ვერ დაწინაურდნენ?**

- კონტინგენტი ურიგო ნამდვილად არ მყავდა. გოგიტა გოგუა, კახა ალადაშვილი, ნუკრი რევიშვილი და ზაალ ელიავა მალე ეროვნულ ნაკრებში მოხვდნენ. მაშინდელ ახალგაზრდულ ნაკრებში მოთამაშე ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილიც მოგვიანებით მოხვდნენ ეროვნულ გუნდში. სხვა საინტერესო ფეხბურთელებიც გვყავდა - ირაკლი მოდებაძე, სანდრო იაშვილი, გოჩა ხოჯავა... რაც შეეხება იმას, თუ ამ ფეხბურთელების უმრავლესობა მნიშვნელოვნად რატომ ვერ დაწინაურდა, ვერ გეტყვით, რაც ნაკრებიდან წამოვედი მათთან ურთიერთობა ხომ აღარ მქონია.

**- მიგაჩნიათ, რომ მაშინ უფრო მეტი იყო ზეწოლა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელზე?**

- უკრაინასთან სტუმრად 0:6 რომ წავაგეთ, გადადგომა მინდოდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არ გამიშვა. ახლა კი თითქოს არავინ არაფერზე არ აგებს პასუხს. ფეხბურთის ფედერაციაც ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებს ფაქტობრივად იდეალურ პირობებს უქმნის.

**- მაგრამ შედეგი მაინც არ არის. რაშია საქმე?**

- შედეგი თუ გვინდა, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ. ჩემი პროგნოზი ასეთია - მომავალში კიდევ უფრო გაგვიჭირდება. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება. ამ დროისთვის მიჭირს იმის განსაზღვრა, თუ რომელ ფეხბურთელებზე უნდა შეიკრას ახალგაზრდული თუ ეროვნული ნაკრები, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები ვერ იქნებიან მომწიფებულნი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

**- ვერანაირ სასიკეთო ძვრას ვერ ხედავთ?**

- სასიხარულოა, საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო სტანდარტის სტადიონი რომ გვექნება, თუმცა საწყენია, ლანჩხუთის "გურიისკენ" არავინ რომ არ იხედება. აუცილებელია, რომ ქართველმა მწვრთნელებმა ევროპული გამოცდილება მიიღონ. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი რომ ვიყავი, ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას და ალენ ჟირესის ხელშეწყობით მე და ნიკა ჩხეიძე "ტულუზში" წავედით - ეს სტაჟირებაც იყო და სამუშაოც. დილის რვა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე "ტულუზის" საწვრთნელ პროცესს ვაკვირდებოდით, უამრავ ნიუანსს ვითვისებდით. ქართველი მწვრთნელი მხოლოდ ლექცია-სემინარებით ვერ გაიზრდება, ასეთი მივლინებები მისთვის აუცილებელია, მაგრამ ახლა ამას არავინ აკეთებს. ისე, ასაკობრივი ნაკრებებისთვის საინტერესო ფეხბურთელები აგარის "მეშაქრეშიც" არიან და კარგი იქნება, თუ ამ მოთამაშეებსაც გასინჯავენ ნაკრებებში.

**- მოკლედ, საერთო ჯამში მაინც პესიმისტურად ხართ განწობილი...**

- ერთხელაც ვიტყვი, რომ საორგანიზაციო საკითხების მხრივ ახლა ბევრად უკეთესი სიტუაციაა. ერთ ამბავს გავიხსენებ: საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დანიასთან აქვს მატჩი და თამაშის დღეს ნაკრების ბაზაზე ჩვენმა ავტობუსმა კი არა, "იკარუსმა" მოგვაკითხა. "თამარის ხიდთან" კი საბურავი გაგვისკდა. სტადიონამდე ჩაქჩაქ-ჩაქჩაქით, ძლივს მივაღწიეთ დროულად. ავტობუსში სიცილ-ხარხარი ატყდა, ვინც გზაში შემოგვხედა, ისინიც იცინოდნენ. ვიგრძენი, რომ თამაშს წავაგებდით, თითქოს თამაშამდე დავითარსეთ. ისეც მომხდარა, რომ შეკრებაზე ყოფნისას გუნდმა ვერ ისაუზმა, იმიტომ კი არა, რომ ფედერაციას საუზმის ფული გადახდილი არ ქონდა, უბრალოდ, ვილაცის დაუდევრობის გამო...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# გოლი გნებავთ? ჩამინოდონ და გავიტან!



**"პადერბორნი"** მიმდინარე მეორე ბუნდესლიგაში ერთადერთი გუნდია, ოთხი ტურის შემდეგ გოლი რომ ვერ გაუტანია. ჰოდა, პადერბორნელი დავით სირაძეც მშიერი იყო - გოლის გემო დავიწყებული ჰქონდა და ვინძლო ამ შიმშილმაც გაუღვიძა საგოლე ინსტინქტი - ალექსანდრ შოვკოვსკის ლაზათიანი თავურით გაუტანა.

რვა თამაში და სამი გოლი - ასეთია სირაძის ნაკრებული მონაგარი. სამი გოლიდან მან ორი თავით გაიტანა. ამ შესარჩევში უკრაინამდე შინ ფარერებს 3:1 რომ მოვუგეთ, იქაც შეაგდო გოლი.

**კლაუს ტოპმიოლერმა** სირაძე უკრაინასთან 62-ე წუთზე შეუშვა და დათოს ვკითხეთ, თუ რა დავალება მისცა მას მწვრთნელმა.

*"წინ იყავი, ბურთი მოიხელთე და ეცადე, შეინარჩუნო, საჯარიმოში იტრიალე და თამაში გაამწვავეო. სხვა, რაიმე კონკრეტული დავალება არ ყოფილა"* - გვითხრა სირაძემ.

საქართველოს ნაკრების და საერთოდ ევროსარბიელზე გასული ქართული გუნდების ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად სტანდარტული სიტუაციები ითვლება. ხშირად გადის გოლები სტანდარტულიდან ქართული გუნდების კარში, პირიქით კი იშვიათად ხდება. სირაძეს საგოლედ **გიორგი დემეტრაძემ** ჩაუწოდა კუთხურიდან, თუმცა ეს არ ყოფილა წინასწარ დამუშავებული სვლა, რითაც ჩვენს მეგობარ სლავურ სახელმწიფოს სანერვიულო მივუმატეთ - უკრაინის ნაკრების შანსი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იოტამდე შემცირდა.

*"დემეტრაძის ჩაწოდება და ჩემი თავური - ამას ვარჯიშებზე არ ვამუშავებდით. ნაკრები სტანდარტულ სიტუაციებზე რომ მუშაობდა, ამაში მე არ ვმონაწილეობდი, რადგან სასტარტო შემადგენლობაში არ შევდიოდი".*

უკრაინასთან ფრე მატჩის სიუჟეტიდან გამომდინარე ურიგო შედეგი არ უნდა იყოს და ამავე აზრისაა სირაძეც.

*"საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა, თუმცა საერთო ჯამში გაგვიმართლა, რომ არ წავაგეთ".*

ეს ამ სეზონში სირაძის მეორე გოლი იყო. პირველი "ლევერკუზენის" მეორე გუნდს გაუტანა გერმანიის თასზე და ისიც თავურით.

*"პადერბორნში" დაბრუნებულს ყველამ მომილოცა უკრაინასთან გატანილი გოლი. ჩვენმა მწვრთნელმა ჰოლგერ ფახმა კი მითხრა, იმედია, ახლა "პიდერბორნისთვისაც" გაიტან გოლებსო. ვუპასუხე, კარგად ჩამოაწოდონ და გავიტან-მეთქი".*

გუშინ საქართველოს ნაკრებმა აზერბაიჯანში ფრე რომ ითამაშა, სირაძე იქ არ ყოფილა, უკრაინასთან მატჩის შემდგომ გერმანიაში გაეშურა, არადა ტოპმიოლერმა ის უკრაინა-აზერბაიჯანის მატჩებისთვის გამოიძახა.

*"ფახმა ტოპმიოლერს დაურეკა და სთხოვა, უკრაინასთან თამაშის მერე კლუბში გამოვეშვი. მწვრთნელთა შორის შეთანხმების შემდეგ გადაწყდა, რომ აზერბაიჯანში არ წავიდოდი".*

რაც შეეხება "პადერბორნის" უგოლო სერიას, სირაძემ გვითხრა, აქამდე გუნდში ფაქტობრივად ერთადერთი ფორვარდი ვიყავი, ახლა კი სერბ თავდამსხმელს დავიმატებთ და ალბათ გოლის გატანაც უფრო გაგვიადვილდებაო.

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ლეგიონერები

# დემეტრაძე 50-ანელი გახდა

## უკრაინელებივით ბევრნი რომ ვიყოთ, ბომბარდირებში არავის გავაკარებდით

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე** "ზაკარპატიესთან" მატჩის შემდეგ უკრაინის "50-იანელთა" კლუბის წევრი გახდა. სახელიდან გამომდინარე იოლი მისახვედრია, რომ საუბარია არა რელიგიური სექტაზე, არამედ 50 და მეტი გოლის გამტან ფორვარდებზე. ასეთი სხვა ქვეყნებში 100-იანთა კლუბადაა ცნობილი, მაგრამ უკრაინაში ისეთ დაცვით ფეხბურთს თამაშობენ, 50-იანელი მხოლოდ ოცი ფეხბურთელი გახდა.

*"სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ამას თუ შევძლებდი"*, - აღიარა "სპორტ-ექსპრესთან" საქართველოს ნაკრების 31 წლის ფორვარდმა - *"ეს თამაშის მეორე დღეს ალექსანდრ ზავაროვისგან შევიტყვე, რომელმაც წარმატება ვარჯიშის დაწყებამდე მომილოცა. არ დავმალავ, რომ გოლებს ზუსტად არ ალვრიცხავდი, მაგრამ ამიერიდან ვაპირებ. სხვათა შორის, "ზაკარპატიესთან' მეათე დუბლი შევასრულე"*.

აქამდე უკრაინელ 50-იანებში კიდევ ოთხი ქართველი მოხვდა - **ავთო და ტარიელ კაპანაძეები, ვასილ გიგიაძე** და **მიხეილ ფოცხვერია**. ამას გიორგი ლოგიკურად ხსნის: *"ყველაფერი მარტივადაა. ყველა ქართველს შეტევა და ბურთის გატანა უყვარს. რაც მთავარია, ჩვენ მეტოქის კარში ვიტანთ და არა საკუთარში. უკრაინის ჩემპიონატში ბევრი ჩემიანი გამოდის და თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ქართველები სულ ხუთი მილიონი ვართ და წარმოიდგინეთ, უკრაინელებივით მრავალრიცხოვნები რომ ვიყოთ, ლიგის საუკეთესო თავდამსხმელებში რამდენი იქნებოდა, ალბათ, ათეულს მარტო ჩვენ შევავსებდით"*.

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი გიორგის აღარ სჯერა, რომ კიევის "დინამოს" უზბეკ ფორვარდ **მაქსიმ შაცკიხს** (რომელსაც ლეგიონერებში ყველაზე მეტი, 87 ბურთი გაუტანია) დაეწევა და გაასწრებს: *"გახსოვთ ფრაზა "მიმინოდან"? "იზვინი, გენაცვალე, ლეტ ჩერეზ პიატ, პამაგუ!" მხოლოდ იმ შემთხვევაში გავასწრებ, თუკი ბევრს და რეგულარულად გავიტან. თუმცა არც შაცკიხი გაჩერდება ერთ ადგილზე, არა? ავთო კაპანაძეს და ვასილ გიგაძეს რომ გავასწრო, ეს უფრო რეალურია. წინასწარ არ მსურს საუბარი. ჩემთვის მთავარია გუნდური წარმატებები, ვიდრე პირადული"*.

დემეტრაძეს უუგოროდელთა ქართველ თავდამსხმელ ოთარ მარცვალაძეზეც დაეკითხნენ: *"ჩვენს შეხვედრაში ოთარმა რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ჩემპიონთა ლიგაში "მანჩესტერი"-"რომას" შარშანდელი მატჩი გახსოვთ? ინგლისელთა ლამის ყველა დარტყმა გოლით დასრულდა. ჩვენ უუგოროდელებთან ასეთივე იღბლიანი დღე გვქონდა. მათ ძალიან არ გაუმართლათ"*.

მოამზადა
**დავით მეფარიშვილმა**



გიორგი დემეტრაძე



გიორგი კიკნაძე

# ლოკომოტივი საგურამოში გადავა

თბილისის "ლოკომოტივი" სანაკრებო პაუზის დროს არ გაჩერებულა, მაგრამ საკონტროლო მატჩები არ ჩაუტარებია. მთავარი მწვრთნელის, **გიორგი კიკნაძის** თქმით, ამ პერიოდში მხოლოდ ორმხრივი თამაშები ჩატარდა.

**ლევან ყენია** მალე გერმანიაში გაემგზავრება. მასზე მზრუნველობა **ლევან კობიაშვილმა** აიღო და სწავლების პარალელურად, "შალკეს" დუბლებში ივარჯიშებს. გერმანულ კლუბში იუნიორი ქართველი ტალანტის სჯერათ და სასწრაფოდ სურთ მისი დამატება, საკუთარ გემოზე გაზრდა, დაკვალიანება და 18 წლის რომ გახდება, მისი ძირითად შემადგენლობასთან ნელ-ნელა შეჩვევა.

წესითა და რიგით, ლევანი გერმანიაში სასწავლებლად მალე უნდა გაემგზავროს. მის გარეშე კი "ლოკომოტივი" რთული წარმოსადგენია. ვინ შეცვლის ყენიას?

*"რა თქმა უნდა, ლევანი ჩვენთვის დიდი ძალაა და მისი წასვლა დაგვეტყობა. თუმცა ამის მიუხედავადაც, ჩვენ ჩემპიონატში თამაში უნდა გავაგრძელოთ. ჯერ არ ვიცი, ლევანს ვინ შეცვლის, მთავარია, გუნდური თამაში დავალაგოთ. ლევან ცქიტიშვილზე საუბარი ნამდვილად არ ყოფილა. ის ჩვენთან მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობს"*, - აღნიშნა კიკნაძემ.

მალე თბილისის "ლოკომოტივი" დილმის ბაზიდან საგურამოში გადაინაცვლებს, სადაც ფეშენებელური ბაზის მშენებლობა მთავრდება. დილომში გუნდს ნორმალური და მშვიდი ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდა, რადგან ბაზაზე ხალხია ჩასახლებული. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ლტოლვილების გაყრას, გუნდის პრეზიდენტმა **ლექსო თოფურიამ** ახალი ბაზის აშენება ამჯობინა და საგურამოში მისი მოწყობა უკვე დასასრულს უახლოვდება.

*"ჩვენს ბაზაზე ორი მაღალი ხარისხის მოედანი გაკეთდა, პირველ სართულზე გასახდელები, საშხაპეები და სხვა ოთახები მოეწყო. მალე ტრიბუნებიც მოეწყობა და მართლა ძალიან კარგი ბაზა გვექნება. იქ სექტემბრის ბოლოს, ან ოქტომბრისთვის ვაპირებთ გადასვლას."*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ოდესას კანდელაკი ენატრება

მიუხედავად იმისა, რომ ოდესის "ჩერნომორეცში" დაცვის მარცხენა ფლანგზე საკმაოდ კარგად თამაშობს არგენტინელი **დამიან ხიმენესი**, ფეხბურთის ოდესელი მოყვარულები მაინც **ილია კანდელაკს** მისტირიან.

*"კარგი იყო არ წასულიყო გუნდიდან, არაჩვეულებრივი პიროვნებაა და გუნდში კარგი განწყობა შეჰქონდა"*, - აცხადებენ კლუბის ფანები.

სხვათა შორის კანდელაკისადმი სიმპათიას არც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ოლეგ მარუსი** მალავს, რომელიც ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს: *"ილია მართლაც კარგი ფეხბურთელი იყო, თუმცა მწვრთნელს სხვაგვარად მიაჩნდა. მთავარი კი მწვრთნელის სიტყვაა, შედეგი ხომ მას მოეთხოვება და შესაბამისად შემადგენლობასაც ის არჩევს"*.

თავად კანდელაკი კი არ ნანობს გერმანიაში წასვლას, სადაც მისი თქმით სრულიად სხვაგვარი საფეხბურთო ატმოსფეროა, რაც შეუძლებელია ფეხბურთელს არ მოეწონოს.

## ამისულაშვილის ერთი ტაიმი

ნალჩიკის "სპარტაკი" კისლოვოდსკში იმყოფება ხანმოკლე შეკრებაზე. გუნდმა ტესტ მატჩი ქვედალიგელი პიატიგორსკის "მაშჩუკის" წინააღმდეგ გამართა და ფრედ, 0:0 ითამაშა. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** მოედანზე საწყისი 45 წუთი გაატარა, რის შემდეგაც "სპარტაკის" ძირითადი შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა.

## ფანიაშვილის ბრიგადა პოლონეთში

სასიხარულოა, რომ ქართველ მსაჯებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩების განსჯა უწევთ. მათ გარეშე არც უეფას თასის პირველი ეტაპი ჩაივლის. 20 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ გროცლინში ადგილობრივი "გროცლინი" სერბულ "ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლებს. მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** იქნება, მას **მამუკა ელიკაშვილი** და **ზაზა მენთეშაშვილი** დაეხმარებიან, სათადარიგო მსაჯის ფუნქციებს კი **ლაშა სილაგავა** შეასრულებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან ფანიაშვილი



ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

არგენტინაში

ვიწვევთ **17-18** წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა **6** თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

*მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: **899-23-55-20**. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან 30 დღის ვადაში.*

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

გიორგი ადამია:

# ეტყობა, საქართველოს არ ვჭირდები

"აზერისპორტი" აზერბაიჯანისა და საქართველოს შეხვედრამდე ბაქოს "ნეფთჩის" ქართველ თავდამსხმელ **გიორგი ადამიას** ესაუბრა.

*"სასტუმროში მივედი და ჩემი მეგობრები ვნახე. იქ თითქმის ყველას ვიცნობ. ბევრ მათგანთან იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში მითამაშია. ჩვენ ხომ ერთად შევაბიჯეთ დიდების ფეხბურთში, მაგალითად, მე და მალხაზ ასათიანმა - ის ჩემი მეგობარია... გითხრეს, თითქოს, ბაქოში უფრო პოპულარული ვარ ვიდრე თბილისში? მერე, ეს კარგია?"*, - აღნიშნა ქართველმა ფეხბურთელმა.

"აზერისპორტი" ადამიას ნაკრებში გამოუძახებლობაზეც დაეკითხა: *"არც ვიცი, აპირებენ თუ არა ჩემს გასინჯვას. ადრე ველოდი მიწვევას, მაგრამ არა და არ მეღირსა და უკვე იმედიც გადამეწურა. ჩემი საქმე თამაშია. თუკი მოისურვებენ, თავად მომაქცევენ ყურადღებას. ჯერჯერობით კი, განსაკუთრებულ ინტერესს ვერ ვგრძნობ. ეტყობა, ეროვნულ ნაკრებში ჩემი გამოძახების აუცილებლობას ვერ ხედავენ"*.

**მერაბ მამულაშვილი**

მილანი

# შეიძლება, რონალდო მოიშორონ

## კანუტე, ანელკა თუ ადრიანო? ფენომენი მილანში დაბრუნდა. რატომ ახსენეს დოპინგი?



რონალდო ისევ გაურკვევლობაშია

**რონალდოს** ირგვლივ გაურკვევლობა გრძელდება. ის უკვე დაბრუნდა ბრაზილიიდან. "ფენომენი" მკურნალობას მილანში დაასრულებს. თუმცა მის საიდუმლოებით მოცულ ტრავმაზე მითქმა-მოთქმა ჯერაც არ წყდება. როგორც ვწერდით, რონალდო მოედანს, წესით, ოქტომბერში უნდა დაუბრუნდეს. ბრაზილიის ნაკრების ექიმ **ჟოზე ლუიშ რუნკოს** თქმით, პაციენტს მილანში არასწორად მკურნალობდნენ. ამიტომაც ჩავიდა "კიჟა" სამშობლოში და უფრო "სანდო" ექიმს ეჩვენა. რუნკოს განცხადება "მილანში" შეურაცხყოფად მიიღეს. "როსონერის" დასტაქარი **ჟან-პიერ მეერსმანი** მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტია. თუმცა მან აღიარა შეცდომა მკურნალობის საწყის სტადიაზე: არასწორი დიაგნოზი დავსვითო...

ბრაზილიელი ექიმი კი თერაპიის ახალ მეთოდზე ალაპარაკდა. საუბარია ეგრეთ წოდებულ "ზრდის ფაქტორზე". რუნკოს თქმით, ეს საყოველთაოდ მიღებული მეთოდია, თუმცა იტალიაში ასე არ ფიქრობენ. იქაური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დოპინგკონტროლის კომისიის წევრები **ეტორე ტორი** და **ლუიჯი ფრატი** განმარტავენ, რომ "ზრდის ფაქტორი" ითვალისწინებს დაშავებულ ადგილზე სისხლის ახალი უჯრედების ინექციას, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ფეხბურთელის დოპინგზე გამოკვლევა. თუმცა, მოგვიანებით, რუნკომ მოულოდნელად განაცხადა, რომ რონალდოს "ზრდის ფაქტორი" არ დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, დოპინგკონტროლის კომისია ამ შემთხვევაში მართალი იყო...

ამასობაში, ხმა დაირხა, რომ მისტერიულმა ტრავმამ რონალდოსა და "მილანს" შორის ურთიერთობა გააფუჭა. "კორიერე დელო სპორტის" თქმით, "როსონერის" ექიმებისადმი უნდობლობამ, კლუბის მაღალ ხელმძღვანელობაში რონალდოს მიმართ გაღიზიანება გამოიწვია. არ არსებობს იმის გარანტიაც, რომ ფორვარდი მართლა ოქტომბერში დაბრუნდება. რაკი ტრავმის ჭეშმარიტი მიზეზი ჯერაც არ არის დადგენილი, შესაძლოა, ეს ანონსირებული დაბრუნება კიდევ გადაიდოს. მაგრამ როდემდე? ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. მომავალ კვირაში "მილანი" "ბენფიკას" ეთამაშება. მატჩი რონალდოს გარეშე ჩაივლის, ისევე, როგორც "სელტიკთან" 3 ოქტომბრის დაპირისპირება. რა გამოდის? ლიგის გასულ გათამაშებაში რონალდოს "მილანის" სახელით თამაში აკრძალული ჰქონდა (რაკი იმავე გათამაშებაში "რეალის" მაისურით უკვე ნათამაშები ჰქონდა). ახლა და ტრავმა უშლის ხელს...

როგორც "კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, იანვარში "მილანი" რონალდოს გაყიდის. **კარლო ანჩელოტის** უკვე ჰყავს ბრაზილიელი ამომავალი ვარსკვლავი **ალეშანდრე პატო**, რომელსაც "როსონერის" სახელით ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება იანვრიდან ექნება. ამასწინათ, პატომ კიევის "დინამოსა" და "მილანს" შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში (2:2) ითამაშა, გოლიც გაიტანა და სპეციალისტებიც მოხიბლა. ერთობ კმაყოფილი დარჩა ანჩელოტიც. როგორც ამბობენ, "მილანში" მზად არიან, აქცენტი ახალგაზრდა მოთამაშეზე გადაიტანონ. მანამდე კი კარლეტოს **ფილიპო ინძაგისა** და **ალბერტო ჯილარდინოს** ტანდემზე მოუწევს დაყრდნობა. არის **კაკაც**, რომელსაც მწვრთნელი ხშირად იყენებს წინა ხაზზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯილარდინოსაც არ აქვს მყარი პოზიცია. ის უკმაყოფილოა, რომ ანჩელოტი ნაკლებად ენდობა. კიდევ ერთხელ წამოიწია "იუვეში" ჯილარდინოს მოსალოდნელი გადასვლის საკითხი. აქედან გამომდინარე, "კორიერე დელო სპორტი" ვარაუდობს, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "როსონერი" რომელიმე ფორვარდს იყიდის. ასახელებენ **ფრედერიკ კანუტეს, ნიკოლა ანელკასა** და **ადრიანოს**. ამ უკანასკნელის შეძენა გალიანის ზაფხულშიც უნდოდა, მაგრამ **მასიმო მორატი** არ შეუწუხებია, რაკი ჩათვლა, რომ "ინტერიდან" "მილანში" ამხელა მასშტაბის ფეხბურთელის გადასვლას "ნერაძურის" ბოსი არ დაუშვებდა.

### ახალი რომაული კონტრაქტები

"რომამ" **დანიელე დე როსის** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. შეთანხმება ხუთწლიანია. მისი ხელმოწერის შემთხვევაში, ფეხბურთელი წლიურად 3 მილიონ ევროს მიიღებს. დე როსი, **ფრანჩესკო ტოტის** შემდეგ, "ჯალოროსის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. სხვათა შორის, დანიელეს კლუბის კაპიტნობაც შესთავაზეს - რა თქმა უნდა, ტოტის პენსიაში გასვლის შემდეგ. დე როსი რომაელთა ახალი სიმბოლო ხდება. ამასობაში, **ამანტინო მანსინიმაც** გამოაცხადა, რომ "ჯალოროსისთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. "ლიონმა" ბრაზილიელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მან კი იტალიის დედაქალაქში გადაწყვიტა დარჩენა: *"აქ იმისთვის ვარ, რომ "რომას" დავეხმარო. თუ ეს სკამზე ჯდომას ნიშნავს, ამაზეც თანახმა ვარ."*

ინციდენტი

# ფერგის თავს დაესხნენ



სერ ალექს ფერგიუსონს ლონდონში უსიამოვნება შეემთხვა

**სამშაბათ** საღამოს სერ **ალექს ფერგიუსონს** თავს დაესხნენ. ინციდენტი ლონდონში, იუსტონის სარკინიგზო სადგურში მოხდა. "იუნაიტედის" თავკაცი დედაქალაქში საქველმოქმედო საღამოზე დასასწრებად ჩავიდა. მატარებლიდან გადმოსვლისას მას დაახლოებით 40 წლის მამაკაცი მიუახლოვდა და ხელი მოუქნია. გაწევ-გამოწევისას ფერგიმ ფეხი იტკინა. რკინიგზის პოლიციამ თავდამსხმელი მაშინვე დააპატიმრა. სამართალდამცველთა განცხადებაში ნათქვამია, რომ სერ ალექსის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ტრავმა, რომელიც 66 წლის სპეციალისტმა მიიღო, უმნიშვნელოა, იმდენად უმნიშვნელო, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენისთანავე ფერგი დაგეგმილ საღამოზე გაეშურა. თავდამსხმელის ვინაობა არ გახმაურებულა. "მენიუს" ბოსს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ის ბრიტანეთში, როგორც წესი, მატარებლით მოგზაურობს. ფერგის პირადი დაცვა არ ჰყავს, თუმცა შესაძლოა, გუშინწინდელი ინციდენტის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედთან" მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებით ღონისძიებებს მიმართოს.




ტევესისა და მასკერანოს გარშემო ხმაური წუთითაც არ წყდება

მეგაკონტრაქტი

# კაკა: მილანში სამუდამოდ

## გალიანიმ ზღაპრული კონტრაქტი დადო: 2011 პლუს კიდევ ერთი წელი და 10 მილიონი წელიწადში. უკვე დღეს, კაკა იტალიაში ყველაზე მდიდარი ფეხბურთელია

**ეტყობა, ადრიანო გალიანიმ** გადაწყვიტა, **კაკა** "მილანში" კარიერის ბოლომდე შეინარჩუნოს. გუშინ ის ფეხბურთელის მამასა და ამავდროულად მის აგენტს შეხვდა. "როსონერის" ვიცე-ბოსმა მას მოქმედი კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა. ახლახან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კაკა 2011 წლამდე "როსონერის" საკუთრებაა. მისი წლიური ხელფასი 6 მილიონი ევროა (4 მლნ. გირვანქა). მოკლედ, გალიანის წინადადებაა, კონტრაქტს კიდევ ერთი წელი დაემატოს და 2012 წლამდე გაფორმდეს. ამას გარდა, ის ფეხბურთელს ხელფასის ეტაპობრივ მომატებასაც ჰპირდება შემდეგი გრაფიკით: 2008/09 წლების სეზონისთვის კაკას წლიური ანაზღაურება 7 მილიონ ევროს მიაღწევს; კიდევ მილიონი ევროთი მეტი იქნება 2009/2010 წლების სეზონში, ხოლო აქედან მოყოლებული, ბოლომდე (2012), ბრაზილიელი ვარსკვლავის სახელფასო თამასა 10 მილიონ ევროს გაუტოლდება.

რა თქმა უნდა, არც ერთი ჭკუადმყოფელი ფეხბურთელი მსგავს შეთავაზებაზე უარს არ იტყვის. ამით საბოლოოდ დაესმება წერტილი ყბადაღებულ ჭორს, კაკას "რეალში" გადაბარგებასთან დაკავშირებით. ვეჭვობთ, სამეფო კლუბის პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** ამის შემდეგ კიდევ მოინდომოს კაკას გამო თავისი მილანელი კოლეგის შეწუხება. ერთი სიტყვით, ახლა არჩევანი ფეხბურთელზეა.

■ ■ ■

**ამასობაში** კი, "გაძეტა დელო სპორტმა" სერია A-ს ვარსკვლავთა წლიური ხელფასების ნუსხა გამოაქვეყნა. **კაკა** აქაც პირველია 494 მოთამაშეს შორის, თავისი 4 მილიონი გირვანქით (6 მლნ. ევრო). მით უმეტეს, ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, მისი დამწევი კარგა ხანს არავინ იქნება.

კაკას შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს **ფრანჩესკო ტოტის**. "რომას" კაპიტანი სეზონურად 3.7 მილიონი გირვანქით მდიდრდება. შემდეგ მოდის "ინტერის" ტრიო **ზლატან იბრაჰიმოვიჩის, პატრიკ ვიეირასა** და **ადრიანოს** შემადგენლობით - 3.4 მილიონი გირვანქა. ამათ კომპანიაშია **ჯანლუიჯი ბუფონიც**...

გაირკვა, რომ ზაფხულის ტრანსფერებისას ყველაზე სარფიანი კონტრაქტი გააფორმა **კრისტიან კივუმ**, რომელსაც "ინტერში" გადასვლამ, წლიური ხელფასის სახით, 2.3 მილიონი გირვანქა დაუბევა. ოდნავ ნაკლები დაუნიშნეს იმავე "ინტერში" გადაბარგებულ ფორვარდ **დავიდ სუასოს**.

"გაძეტა" გვამცნობს იმასაც, რომ "მილანის" სახელფასო ფონდი 80 მილიონ გირვანქას უტოლდება. ჯამაგირებზე 74 მილიონი გირვანქა აქვს გათვალისწინებული "ინტერს", "იუვენტუსში" ეს მაჩვენებელი 66 მილიონია, გრანდებს შორის ყველაზე მოკრძალებული სახელფასო ბიუჯეტი კი "რომას" აქვს - 40 მილიონი. შედარებისთვის, "ჯალოროსის" თანაქალაქელი მეტოქე "ლაციო" ხელფასებში წლიურად მხოლოდ 12 მილიონ გირვანქას ხარჯავს. ამ მხრივ, ყველაზე ხელმოკლე "კალიარია" 7.5 მილიონით. დააკვირდით: ეს თანხა კაკასა და ტოტის ჯამურ ანაზღაურებასაც (7.7 მლნ) კი ვერ წვდება.



ბერლუსკონის კაკა არ ეთმობა

გამოძიება

# ტევესსა და მასკერანოს პატიმრობა ემუქრებათო

## ბრაზილიის პოლიცია კორინთიანსის საქმეს სწავლობს და დამალულ გადასახადებს ეძებს...

**კარლოს ტევესსა** და **ხავიერ მასკერანოს** ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრებათ. ამ ინფორმაციას ბრაზილიური საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ. "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" ვარსკვლავებს ბრალად ედებათ "კორინთიანსში" ყოფნისას გადასახადებისათვის თავის არიდება. არგენტინელმა ფეხბურთელებმა სან პაულუს კლუბი გასულ ზაფხულს დატოვეს და ინგლისს მიაშურეს. ისინი "ვესტ ჰემში" ჩაირიცხნენ. თუ რით დასრულდა ეს ტრანსფერი, მკითხველს კარგად მოეხსენება და მასზე აღარ შევჩერდებით. სამაგიეროდ, უფრო დეტალურად ვისაუბრებთ იმ პრეტენზიებს, რომელიც ბრაზილიის ხელისუფლებას "კორინთიანსის" ყოფილი ლეგიონერების მიმართ აქვს. გადასახადებისგან თავისარიდებაში მხოლოდ ტევესი და მასკერანო არ არიან ეჭვმიტანილნი. გამოძიებას "კორინთიანსის" ხელმძღვანელობის საქმიანობაც აინტერესებს, მათ შორის, კომპანია MSI-ს საქმიანობა. ამ კომპანიას ბრიტანელი ბიზნესმენი **კია ჯურაბჩიანი** უდგას სათავეში. MSI ის კომპანიაა, რომელმაც ორი წლის წინ "კორინთიანსში" ინვესტიციები დააბანდა და ზემოხსენებული არგენტინელი ვარსკვლავების გარდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი. "კორინთიანსი" ერთ ღამეში სამხრეთი ამერიკის უმდიდრეს კლუბად გადაიქცა, თუმცა როგორ ირკვევა, ინვესტორებს ფინანსური დოკუმენტები წესრიგში არ ჰქონდათ. ასე მაგალითად, გამოძიება ბრალს სდებს "ვერდერის" ნახევარმცველ **კარლოს ალბერტოს** და "ბეშიქთაშის" ნახევარმცველ **რიკარდინიოს** იმაში, რომ "კორინთიანსში" ყოფნისას ხელფასის უმეტეს ნაწილს მალულად იღებდნენ, რათა კლუბსაც და მათაც გადასახადებისათვის თავი აერიდებინათ. ბრალდებებთან დაკავშირებით, საქმეში გარეულ პირონებებს კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რიბერისთან

# ვალების გამო ფეხბურთს თავი დავანებე

## მუსულმანი ფრანგი დარწმუნებულია, რომ ისლამი ყველაზე კარგად პასუხობს მის ცხოვრებისეულ წარმოდგენებს

**ამ ზაფხულს, ფრანკ რიბერი ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული (25 მილიონი ევრო) ფეხბურთელი გახდა და მაშინვე იდეალურად მოერგო ახალ გარემოს - ფრანგი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონატში აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. 24 წლის ფრანგისთვის საფეხბურთო მწვერვალისკენ მიმავალი გზა ძალიან რთული აღმოჩნდა. "შპორტბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რიბერი ახალგაზრდობის რთულ პერიოდზე, ისლამსა და იმ მიზნებზე საუბრობს, რისი მიღწევაც მას მიუნხენში უნდა. თარჯიმნის როლში ფრანკის თანაგუნდელი, ბელგიელი დანიელ ვან ბუიტენი მოგვევლინა.**

**- გამონაკლისის სახით, პირველ კითხვას თარჯიმანს დავუსვამ. ჰერ ვან ბუიტენ, უკვე მოგიმატეს ხელფასი?**

- რას გულისხმობთ?

**- რიბერის ვარჯიშებზე და პრესკონფერენციებზე ეხმარებით და მას ქალაქიც კი დაათვალიერებინეთ.**

- აი, თურმე რა გაქვთ მხედველობაში. ამ შემთხვევაში, მომიწევს მენეჯერთან მოლაპარაკებების გამართვა (იცინის). თუ სერიოზულები ვიქნებით, გეტყვით, რომ ფრანკთან უბრალო ურთიერთობაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მეტი კომპენსაცია რა მჭირდება. ის მართლა მხიარული ადამიანია.

**- ჰერ რიბერი, მთელი გუნდი აღფრთოვანებულია თქვენი იუმორით, პირველ რიგში - ლუკას პოდოლსკი, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი ბარიერის გამო, ერთმანეთის არ გესმით.**

- როცა ადამიანები ერთმანეთის მიმართ სიმპათიას გრძნობენ, ეს მაშინვე შესამჩნევი ხდება. როცა პოლდის პირველად ჩამოვართვი ხელი, ორივეს გაგვეცინა, თითქოს დიდი ხანი ვიცნობდით ერთმანეთს. ხანდახან მგონია, რომ მასთან ნათესაური კავშირი მაქვს.

**- სიცილი გიყვართ, თუმცა თქვენი კარიერა ყოველთვის წარმატებულად არ ვითარდებოდა.**

- მართლაც, მქონდა რთული პერიოდები. მაგრამ ბედის მადლობელი ვარ ცხოვრებისეული გამოცდილების გამო. მაშინ ქორწილის გადასახდელი ფული არ გვქონდა და ვაჰიბა იმ პერიოდში ბოლომდე გვერდით დამიდგა.

**- არც თქვენს პარტნიორს, ლუკა ტონის ჰქონია წარმატებისკენ მიმავალი გზა ვარდით მოფენილი. ერთი პერიოდი, მას პროფესიული კარიერის დასრულებაც კი უნდოდა. მსგავსი სურვილი თქვენც ხომ არ გაგჩენიათ?**

- ერთხელ უკვე დავანებე ფეხბურთს თავი. მაშინ 19 წლის ვიყავი, მესამე ლიგის გუნდ "ოლიმპიკში" (ალეზი) ვთამაშობდი და გროშებს ვიღებდი. ერთ დღეს იმდენი ვალი დამიგროვდა, რომ ბანკმა კრედიტის გაცემა შემიწყვიტა. გამოსავალი არ მქონდა და სხვა სამუშაოს ძებნა დავიწყე.

**- რა სამუშაოსი?**

- მამაჩემივით გზის მუშა გავხდი. ასფალტს ვამტვრევდი და შემდეგ ქუჩის დაზიანებულ ნაწილებს ვარემონტებდი. ძალიან გამიჭირდა შეჩვევა. ხუთ თვეში ვალები გავისტუმრე და მამაჩემმა მითხრა: "ახლა ისევ ფეხბურთს უნდა დაუბრუნდე. კლუბს მე მოგიძებნი".

**- მან ხომ არ დაგაკავშირათ ისლამთან?**

- არა. ჩემი მშობლები მუსულმანები არ არიან. 15 წლის ასაკში, თავად მივიღე ეს გადაწყვეტილება. მე იმ მიკრორაიონში გავიზარდე, სადაც ბევრი მუნიციპალური სახლი იყო და იქ უამრავი მუსულმანი ცხოვრობდა. ვგრძნობდი, რომ ისლამი პასუხობდა სხვადასხვა საგნებზე ჩემს წარმოდგენებს, ამასთან, ცხოვრებაში თითქმის არაფრის შეცვლა არ მჭირდებოდა. ალკოჰოლს არ ვსვამ, ხორცს არ მივირთმევ... ეს ჩემი ცხოვრების ისეთივე ნაწილია, როგორიც ფეხბურთი.

**- ალეზში პრობლემური პერიოდის შემდეგ, "ბრესტში" თამაშობდით, შემდეგ "მეცში, ბოლოს სტამბოლის "გალათასარაიში" აღმოჩნდით, სადაც კვლავ შეგექმნათ ფულთან დაკავშირებული პრობლემები.**

- ეს იყო ჩემი კარიერის მეორე გამოცდა, მაგრამ ისეთი რთული არა, როგორიც პირველი. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ხელფასი მქონდა, ერთ მშვენიერ დღეს, ფულის გადახდა შემიწყვიტეს. მას შემდეგ, რაც უხელფასო პერიოდმა სამი თვე გასტანა, ფიფამ კლუბიდან ყოველგვარი ჯარიმის გადახდის გარეშე წასვლის უფლება მომცა. ასე აღმოვჩნდი 2005 წელს "მარსელში".

**- ეს ეტაპიც საკმაოდ რთული გამოდგა.**

- მარსელურ კრიმინალს გვერდს ვერ აუვლი. გამიმართლა, რომ გულშემატკივრების სიყვარული დავიმსახურე. არადა, ჩემი პარტნიორების შემხედვარე, ვგრძნობდი, რომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. თუ ეს ფანატები გუნდის რომელიმე წევრის თამაშით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგალითად, გასვლითი შეხვედრიდან დაბრუნებულ ფეხბურთელს, თავისი ბინა გაძარცვული ხვდებოდა. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო.

**- გერმანიაში პირიქით, ყველაფერი კარგად მიდის. თავიდან, საფრანგეთის ნაკრებთან ერთად, ძლიერად ჩაატარეთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, შემდეგ "ბაიერნში" გადახვედით.**

- მართლაც, გერმანიას ჩემთვის წარმატება მოაქვს, მიუნხენში თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ. ჩემი ქალიშვილი 2 წლისაა და ბედნიერი ვარ, რომ ოჯახის გამო შიშის გრძნობა არ გამაჩნია.

**- მიუხედავად ამისა, "ბაიერნისთვის" თანხმობის მიცემას არ ჩქარობდით.**

- დიახ, ასე იყო. მინდოდა ისეთ კლუბში გადავსულიყავი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებდა, "ბაიერნი" კი, იქ ვერ მოხვდა. ოდნავ შემეშინდა, მეგონა, რომ ამ შემთხვევაში ნაკრებში ადგილს დავკარგავდი.

**- საბოლოოდ, რატომ დათანხმდით?**

- მომეწონა კლუბის სასელექციო პოლიტიკა და ის მიზნები, რომელიც უახლოეს სეზონებზეა გაწერილი. "ბაიერნს" აღარ დააკმაყოფილებს ჩემპიონთა ლიგაზე უბრალო მონაწილეობა, ის აქ გამარჯვებას უკვე მომავალ სეზონში გეგმავს.

**- შეგეძლოთ მადრიდის "რეალში" გადასულიყავით.**

- ასეთი შანსიც მქონდა, მაგრამ რატომ უნდა გადავსულიყავი მაინც და მაინც "რეალში"? ვთვლი, რომ "ბაიერნიც" ასეთივე დიადი გუნდია. "რეალში" ყოველთვის არსებობს მოთამაშეების დაჯგუფებებად დაყოფისა და გუნდის შიგნით ინტრიგების წარმოქმნის საფრთხე, "ბაიერნი" კი, ერთი ოჯახია...

**- ...რომელშიც, მიუხედავად ტრანსფერის სარეკორდო თანხისა, მაინც მოგიწევთ ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა. ვინ არიან თქვენი კონკურენტები?**

- კონკურენცია ყოველთვის იარსებებს, მაგრამ მე აქ სათამაშოდ ჩამოვედი. რაც შეეხებათ კონკურენტებს, აქ ფლანგებზე ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. დრიბლიორი შვაინი თამაშის მანერით მე მგავს, სოსა პირიქით, ერთი პასით უქმნის პარტნიორებს საგოლე მომენტებს.

**- ზინედინ ზიდანმა ამასწინ განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა "ბაიერნში". ახლა ამ კლუბში თამაშობს ფეხბურთელი, რომელსაც საფრანგეთში ზიზუს სავარაუდო მემკვიდრედ მიიჩნევენ.**

- მსგავსი შედარება სიამაყის გრძნობით ალმავსებს. ზიდანი დიადი მოთამაშე და ასეთივე ადამიანია.

**- პირადად ჩვენთვის, რა სასწაულს ჩაიდენთ მიუნხენში?**

- რაიმე გასაოცარს! იქნებ ერთი ინფორმაციის მოწოდების ნება დამრთოთ?

**- გისმენთ.**

- ჩემი მეუღლე ფეხმძიმობის მესამე თვეშია. მეორე შვილი მეყოლება და, ალბათ, ის ნამდვილი მიუნხენელი გახდება. ოღონდ წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ: თუ ბიჭი მეყოლა, ის საფრანგეთის ნაკრებში ითამაშებს.



ფრანკ რიბერი



ანდრეს პალოპი

სევილია

# პალოპს კონტრაქტი გაუგრძელეს

## გამოცდილი მეკარე კარიერას სანჩეს პისხუანზე დაასრულებს

"სევილიის" ოფიციალურმა ვებგვერდმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელობამ **ანდრეს პალოპისთვის** კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტა. "სანჩეს პისხუანზე" გამოცდილი მეკარე 2011 წლამდე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ანდრესი 34 წლისაა. ხელშეკრულების გახანგრძლივება კი, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ კარიერას ის "სევილიაში" დაასრულებს.

პალოპი **ხუანდე რამოსის** კოლექტივში ორი წლის წინ მივიდა. მანამდე ის "ვალენსიის" საკუთრება გახლდათ. **სანტიაგო კანისარესის** ავტორიტეტისა და საიმედო თამაშის გამო "სევილიის" ამჟამინდელ კარის დარაჯს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი თითქმის არ ეძლეოდა. მოედანზე მხოლოდ მაშინ გადიოდა, თუ კანისარესს დისკვალიფიკაცია, ან ტრავმა ჰქონდა. სეზონში კი მსგავსი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პალოპმა ანდალუსიაში გადასვლით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ეს კაცი "სევილიის" ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად იქცა. თუნდაც უეფას თასის ბოლო ფინალი ავიღოთ. ანდრესმა პენალტების სერიაში "ესპანიოლის" ფეხბურთელების სამი დარტყმა მოიგერია და პრესტიჟული ჯილდოს მოპოვებაში ლომის წილი შეიტანა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ **ხოსე მარია დელ ნიდომ** ძლიერი მოთამაშის კიდევ დიდი ხნით შენარჩუნება მოისურვა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, პრეზიდენტის განცხადების ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"შეუძლებელია, პალოპზე ძლიერი და კვალიფიციური მეკარე ვიპოვოთ. მისი თამაშით აბსოლუტურად ყველა კმაყოფილია. დარწმუნებული გახლავართ, ის მომავალშიც დიდ დახმარებას გაგვიწევს. ძალიან გამიხარდა, რომ ანდრესიც კმაყოფილია კარიერით და ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უსიტყვოდ დაგვეთანხმდა. მოკლედ, ჩინებული რამ მოხდა."*

პალოპი კლუბის შეთავაზებას მართლაც ულაპარაკოდ დათანხმდა. ამის შესახებ, მან "დიარიო ასის" კორესპონდენტს განუცხადა: *"ვიცოდი, რომ ახალ კონტრაქტს მთავაზობდნენ, თუმცა ფორმალობების მოგვარება საკმაოდ გაიწელა. ჟურნალისტების ერთ ნაწილს ეგონა, რომ "სევილიის" შეფები აღარ დამიტოვებდნენ. მე ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი არავის ეჯერა. თავად დაფიქრდით, 34 წლის მეკარეს ხელშეკრულება 4 წლით გაუგრძელეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "სანჩეს პისხუანზე" 38 წლამდე ვიასპარეზებ. განა ეს უპირობო ნდობა არ არის? ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ კარიერას "სევილიაში" დავასრულებ. ძალიან ბედნიერი ვარ, სხვა არაფერი მსურდა. სენიორ დელ ნიდოს შემოთავაზებას უყოყმანოდ დავთანხმდი."*

სკანდალი ამოწურულია

# ფალზინისა და პანტანელის თამაშები არ გაუყიდიათ

"კატანიის" მარჯვენა მცველი **ჯანლუკა ფალზინი** და მეკარე **არმანდო პანტანელი** გაამართლეს. სპეციალურმა საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ ამ ბიჭებს თამაშები არ გაუყიდიათ. მათზე გაჩენილი ეჭვების გამო, "კატანიის" ხელმძღვანელობამ ისინი ისე დაითხოვა გუნდიდან, გამოძიების შედეგებს არც დალოდებია. სხვათა შორის, ფალზინიმ ფანებისგან მუქარის ზარებიც მიიღო - თუ ფეხბურთელი თავისი ნებით არ დატოვებდა გუნდს, სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. რაც შეეხება პანტანელის, ის ახლა სერია B-შია და "აველინოს" ღირსებას იცავს...

ახლა კი ეჭვების თაობაზე. ფალზინი და პანტანელი დაადანაშაულეს "ასკოლისთან" (3:3) და "სამპდორიასთან" (0:1) მატჩებში გაშვებული გოლების გამო. "ასკოლისთან" დაპირისპირებაში, რომელიც 22 აპრილს გაიმართა, "კატანია" 3:1-ს აგებდა, მაგრამ გუნდმა ძალები მოიკრიბა და ანგარიში გაათანაბრა. დაეჭვდნენ, რომ სამიდან ორი გოლი პანტანელიმ შეგნებულად გაუშვა, ხოლო ფალზინი მას ამ საქმეში ეხმარებოდა.

მერე იყო "სამპდორიასთან" მატჩი. გენუელებმა ერთადერთი გოლი პანტანელის უხეში შეცდომის წყალობით გაიტანეს. თუმც მაშინ ეს შეცდომად კი არა, შეგნებულ ქმედებად ჩაითვალა. გამოძიებამ ხსენებულ შეხვედრათა ვიდეოჩანაწერები იხილა და დაადგინა, რომ ფეხბურთელებს ბრალი მხოლოდ წმინდა პროფესიული კუთხით თუ შეიძლება წაეყენოთ, რაც მწვრთნელის საქმეა და არა სამართალდამცავების. აი, რას აცხადებს ფეხბურთელთა ადვოკატი **მატია გრასანი**:

*"საწინააღმდეგოდ იმისა, რაც პრესაში დაიწერა, აღმოჩნდა, რომ ჩემი კლიენტები არანაირ გარიგებებში არ მონაწილეობდნენ. ახლა ჩვენ დავიწყებთ გამოძიებას იმაზე, თუ ვის აწყობდა ამ ბიჭების პროფესიული და პიროვნული ღირსებების შელახვა. იმედია, ფალზინის უფლებას მისცემენ, დაუბრუნდეს "კატანიას" და გააგრძელოს კარიერა".*

### ანდალუსიელებს 100 წელი შეუსრულდათ

გუშინ "ბეტისს" დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელობამ სადღესასწაულო ღონისძიება მოაწყო. ზეიმი კლუბის სტადიონზე გაიმართა. "მანუელ რუის დე ლოპერა" პირთამდე შეივსო. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ საღამოს საფეხბურთო მატჩი არ იმართებოდა და ხალხი უბრალოდ გუნდის საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა. პრეზიდენტმა **დე ლოპერამ** საზეიმო ღონისძიების გასალამაზებლად ყველაფერი იღონა. ის სერიოზულ ხარჯებს არ მოერიდა და გულშემატკივრებს ესპანური პოპმუსიკის ვარსკვლავების უფასო კონცერტი აჩუქა. საღამოს მიწურულს, საზოგადოების წინაშე ფეხბურთელები წარდგნენ. ბეტისელებმა ინჩასებს პირობა მისცეს, რომ მიმდინარე სეზონში დიდ წარმატებებს მიაღწევენ. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტებს ამის ძალიან ეეჭვებათ. მათი აზრით, **ექტორ კუპერის** გუნდს ჯერაც სერიოზული პრობლემები აწუხებს და უეფას თასის საგზურის მოპოვებასაც კი ვერ შეძლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიება

# მორიგი დაპატიმრება ინგლისში

## კორუფციულ გარიგებებში ეჭვმიტანილი პრემიერლიგის ცნობილი ფეხბურთელიაო...

ლონდონის პოლიციამ 28 წლის მამაკაცი დააპატიმრა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ოპერაცია ბრიტანულ ფეხბურთში არსებულ კორუფციულ გარიგებებს უკავშირდება. დაპატიმრებული პიროვნების გვარი არ ხმაურდება, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ის პრემიერლიგის ცნობილი ფეხბურთელია. პოლიცია არც მისი კლუბის ვინაობის გამხელას ჩქარობს. ცნობილია ის, რომ ეს ფეხბურთელი არცერთ ეროვნულ ნაკრებში არ არის გამოძახებული. ცნობილია ისიც, რომ რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ეჭვმიტანილი თავდებით გაათავისუფლეს. მისი საქმე ოქტომბერში განახლდება. ერთი თვის შემდეგ მავან ფეხბურთელს სასამართლოში მისვლა მოუწევს, რათა საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს. ინგლისელი მიმომხილველების ვარაუდით, ეს დაპატიმრება იმ ოპერაციის გაგრძელებაა, რომელიც ლორდ **სტივენსის** კომისიამ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაგეგმა. ოპერაციის ფარგლებში, მაისში 61 წლის ლონდონელი მამაკაცი დააპატიმრეს. ზაფხულის არდადეგებისას სამართალდამცველები "ნიუკასლის", "პორტსმუთისა" და "რეინჯერსის" ოფისებში შევიდნენ და ოფიციალური დოკუმენტები შეისწავლეს.

ლორდ სტივენსის კომისია ბრიტანეთის საფეხბურთო ტრანსფერებს სწავლობს. არსებობს ეჭვი, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, კლუბები, თუ მათი მწვრთნელები კონკრეტული აგენტების კლიენტებს უფორმებენ კონტრაქტს. სატრანსფერო თანხები გაბერილია და ასეთი ოპერაციით დანაშაულებრივ სქემაში ჩართული ყველა მხარე მოგებული რჩება. კომისიამ ბოლო 15 თვის განმავლობაში განხორციელებული 362 გარიგება შეისწავლა. მან ხუთი კლუბის 17 ტრანსფერი მიიჩნია საეჭვოდ, თუმცა არც კლუბების ვინაობა დასახელებულა და არც იმ ფეხბურთელებისა, რომელთა გვარები საეჭვო ტრანსფერებში ფიგურირებდა.

გასული სეზონის მიწურულს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკანონო გარიგებებში "ბოლტონის" ყოფილი და "ნიუკასლის" ამჟამინდელი მწვრთნელი **სემ ელერდაისი** იყო გარეული. მისტერ ელერდაისს საკუთარი შვილის ლობირებაში დასდეს ბრალი. მისი შვილი საფეხბურთო აგენტია. "ბოლტონი" უმეტესად ელერდაისი-უმცროსის კლიენტებთან იჭერდა საქმეს. ელერდაისმა ბრალდებები საჯაროდ უარყო. ეჭვებს მის საქმიანობასთან დაკავშირებით მისტერ სემისათვის ხელი არ შეუშლია, "ნიუკასლის" მწვრთნელი გამხდარიყო. პოლიციამ სამი ბრიტანული კლუბის ოფისი მოგვიანებით გაჩხრიკა. არც მაშინ და არც მერე საგამოძიებო კომისიას კონკრეტული ბრალდებები არ წამოუყენებია. ლორდმა სტივენსმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ 17 ტრანსფერი საეჭვოდ მიაჩნდა. მისი კომენტარი ამაზე შორს არ წასულა. გამოძიება კი გრძელდება. ბოლო დაპატიმრებაც ამის დასტურია. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.



ლორდ სტივენსის კომისია გამოძიებას ერთი წუთითაც არ წყვეტს



ბიელსამ ლეო მესის შეუდარებელი უწოდა

ავსტრალია VS არგენტინა

# ალბისელესტეს გენერალური რეპეტიცია

## ბიელსა: ლეო მესი შეუდარებელი იყო

სამშაბათს არგენტინამ ავსტრალიასთან ამხანაგური მატჩი გამართა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **მარტინ დემიკელისმა** შეაგდო. "ბაიერნის" ცენტრალური მცველი **ლიონელ მესის** საჯარიმოს გამოეხმაურა და მასპინძლები თავური დარტყმით დაამწუხრა. ეს 49-ე მოხდა. მელბურნის "კრიკეტ გრაუნდზე" შეკრებილმა მაყურებელმა კარგი სანახაობა იხილა. არგენტინელთა შემადგენლობაში მესი შეუდარებელი იყო.

**ალფიო ბასილემ** ავსტრალიაში საუკეთესო შემადგენლობა ჩაიყვანა. მასპინძლებს ინგლისში მოთამაშე თითქმის ყველა ვარსკვლავი აკლდათ. ერთი შეხედვით, ძალები უთანასწორო იყო. მაგრამ ავსტრალიამ თამაში აქტიურად დაიწყო და პირველი მომენტი მეშვიდე წუთზე შექმნა. **მარკ ბრეშიანომ** მახვილი კუთხიდან დაარტყა, ბურთმა მეკარე **რობერტო აბონდანსიერის** ჩაუქროლა, მაგრამ დემიკელისმა ის ხაზიდან გამოიტანა.

არგენტინა მეტოქეს ვალში არ დარჩენია. **ხონას გუტიერესმა კარლოს ტევესი** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ბურთს ვერ შესწვდა. ცოტა ხანში ტევესმა ასისტენტობა იკისრა და **გაბრიელ ჰაინცეს** შორ ძელთან გადააწოდა ბურთი, მან კი ის ტრიბუნაზე გააფრინა. მომდევნო იერიშისას მესი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და 25 მეტრიდან დაბალ კუთხეში დასცხო. ბურთი ძელმა აისხლიტა.

ძელი ავსტრალიელებმაც შეაზანზარეს. ტაიმის შუაში სტუმრები სასწაულებრივად გადაურჩნენ გოლს. ბრეშიანომ 30 მეტრიდან საჯარიმო ძლიერად და ზუსტად შეასრულა. აბონდანსიერი ბურთს შესწვდა. ის მისი ხელიდან ხარიხას მოხვდა, შემდეგ ისევ მეკარეს დაეცა და ძელისაკენ გაგორდა. საბოლოოდ ისევ მეკარემ იყოჩაღა.

არგენტინამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანა. დემიკელისის გოლი ზემოთ ავწერეთ. ავსტრალიამ ორი სახიფათო იერიშით უპასუხა. აბონდანსიერიმ **დევიდ ქერნისა** და ბრეშიანოს დარტყმები აილო. ეს თამაში პირველი გახლდათ, რომელიც ავსტრალიელებმა აზიის თასის მეოთხედფინალიდან გავარდნის შემდეგ ჩაატარეს. არგენტინელთათვის კი ის გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიოს ჩეპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ. სამხრეთ ამერიკაში საკვალიფიკაციო თამაშები ოქტომბერში დაიწყება.

ნამატჩევს "ალბისელესტეს" თავკაცმა ალფიო ბასილემ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მესი შეუდარებელი იყო. ის ნებისმიერ თამაშს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. ლიონელს თამამად ვაყენებ რონალდინიოს გვერდით. ის ყოველთვის რაღაც მოულოდნელსა და უნიკალურს აკეთებს. მესი უკვე დიდი ფეხბურთელია."*

მწვრთნელი

# გარდაიცვალა იან პორტერფილდი

## სომხეთის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა, სანდერლენდი თავის ლეგენდის ხსოვნას პატივს მიაგებს...

სამშაბათს სომხეთის ნაკრების თავკაცი **იან პორტერფილდი** გარდაიცვალა. ის 61 წლისა იყო. შოტლანდიელი სპეციალისტი სომხეთში ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. წლის დასაწყისში მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, პორტერფილდს მუშაობა არ შეუწყვეტია. ერთი თვის წინ ჩვენმა მეზობლებმა სენსაციურ ანგარიშსაც კი გამოჰკრეს ხელი - მათ მრისხანე პორტუგალიას ერევანში ორი ქულა დააკარგვინეს (1:1) და საგრძნობლად გაურთულეს სატურნირო მდგომარეობა.

პორტერფილდმა ბრიტანეთში შორეულ 1973 წელს გაითქვა სახელი. ასოციაციის თასის ფინალში მისი "სანდერლენდი", რომელიც მეორე დივიზიონში თამაშობდა, იმხანად პირველი დივიზიონის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს, "ლიდსს" შეხვდა და პორტერფილდის ერთადერთი გოლით მოუგო. მისტერ იანი "ჩელსისა" და "შეფილდ იუნაიტედს" წვრთნიდა, 1986 წელს კი "აბერდინის" დამრიგებლად დაინიშნა. მან "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასული **სერ ალექს ფერგიუსონი** შეცვალა. პორტერფილდს ზამბიის, საუდის არაბეთის, ზიმბაბვეს, ომანისა და ტრინიდადის ეროვნული გუნდებიც გაუწვრთნია. გუშინ სომხეთი მალტასთან ამხანაგურ მატჩს ატარებდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი გარეშე. მისტერ იანი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რეანიმაციაში იყო მოთავსებული და სიკვდილს ებრძოდა.

პორტერფილდმა კარიერის უმეტესი ნაწილი "სანდერლენდში" გაატარა. მან 266 მატჩში 19 გოლი შეაგდო. ის სამართლიანად ითვლებოდა ამ კლუბის ლეგენდად. "სანდერლენდის" თავმჯდომარემ **ნაიალ ქუინმა** გარდაცვლილის ოჯახს მიუსამძიმრა. გუნდი პრემიერლიგის მომდევნო ტურის მატჩს შავი სამკლაურებით ჩაატარებს.



იან პორტერფილდი

## ინტერი: ნასრი ან როსინა

"ინტერი" "ტორინოს" შემტევ ნახევარმცველ **ალესანდრო როსინას** აკვირდება. "ნერაძურის" მარსელელი **სამი ნასრიც** სურს, მაგრამ ამ ბიჭის ხელში ჩაგდება ბევრად უფრო რთული იქნება. ამიტომ თუ ნასრის ტრანსფერიდან არაფერი გამოვა, მილანელები როსინაზე გააკეთებენ აქცენტს. **მასიმო მორატიმ** ეს საკითხი ერთი თვის წინაც წამოწია, როცა კლუბები **ალვარო რეკობას** ტურინულ ტრანსფერზე მსჯელობდნენ.

## ლივერპული: 8 მილიონი ფოჯას სანაცვლოდ

"ლივერპულმა" "ლაციოს" 24 ნახევარმცველ **პასკუალე ფოჯას** სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ფოჯა იჯარით "კალიარიში" თამაშობს. მან იტალიის ჩემპიონატის პირველ ორ ტურში სამი გოლი გაიტანა. **რობერტო დონადონიმ** პასკუალეს ნაკრებში უხმო. "ლაციო" სიამოვნებით მიიღებდა ამ შეთავაზებას, მაგრამ "კალიარისთან" გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელზე პირველი არჩევანის უფლება სარდინიელებს აქვთ. "ლივერპული" მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება მოლაპარაკებებში, თუ "კალიარი" 8 მილიონზე მეტის გადახდას ვერ შეძლებს. ამ ბიჭს "არსენალი" და "ვილიარეალიც" აკვირდებიან.

## ახალი კონტრაქტი როი კინს

"სანდერლენდი" **როი კინს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. "შავმა კატებმა" სეზონი ნელ-თბილად დაიწყეს. საწყის ორ ტურში მოპოვებული ოთხი ქულის შემდეგ მათ ზედიზედ სამი თამაში წააგეს. ამის მიუხედავად, ირლანდიელი მწვრთნელის კომპეტენციაში ეჭვი არავის ეპარება. ამბიციური განცხადებების მიუხედავად, "სანდერლენდის" ამოცანა, როგორც ჩანს, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. დირექტორები დარწმუნებულნი არიან, რომ კინი ამ ამოცანას ადვილად გადაწყვეტს. ამასობაში, როი ქვედადივიზიონური "დარლინგტონის" მეკარე **დევიდ სტოკდეილით** დაინტერესდა. უცნაური ის არის, როი მწვრთნელმა კლუბისათვის სარეკორდო თანხა, 9 მილიონი გირვანქა სწორედ მეკარეში გადაიხადა. აგვისტოს ტრანსფერებისას "სანდერლენდში" შოტლანდიის ნაკრების გოლკიპერი **კრეიგ გორდონი** ჩაირიცხა. როის მეორე მეკარის შეძენა მაინც სურს.

## კიკე ფლორესს კონტრაქტს ჯერ არ შესთავაზებენ

"ვალენსია" **კიკე სანჩეს ფლორესისათვის** ახალი კონტრაქტის შეთავაზებას არ ჩქარობს. მწვრთნელს ხელშეკრულებაში ერთი წელიც კი აღარ დარჩა. შეთანხმება გაისად ივნისში ინურება. "ღამურების" სპორტული დირექტორი **მიგელ ანხელ რუისი** ამბობს, რომ თანამშრომლობის გაგრძელებაზე საუბარი ნაადრევია. ესპანეთში სეზონი ახლახან დაიწყო. ხელმძღვანელობა ნაჩვენებ შედეგებს დააკვირდება და კლუბისათვის მომგებიან გადაწყვეტილებას მიიღებს. გასულმა სეზონმა ფლორესისა და ყოფილი სპორტული დირექტორის, **ამადეო კარბონის** დაპირისპირების ფონზე ჩაიარა. დირექტორატმა მწვრთნელს ნდობა გამოუცხადა და იტალიელ ჩინოვნიკს კარისაკენ მიუთითა, თუმცა სენიორ კიკესათვის ახალი კონტრაქტი არ შეუთავაზებია.

## ზებინას ოთხი მატჩი

"იუვენტუსის" მცველ **ჯონათან ზებინას** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. მიზეზი "კალიარისთან" ბოლო ტურის მატჩისას (3:2) მომხდარი ინციდენტია. ფრანგი მცველი არასპორტული საქციელისათვის გააძევეს. მან კი გასახდელში გასვლამდე რეპორტაჟზე მომუშავე ოპერატორს სახეში მუშტი უთავაზა - როგორც ჩანს, გაბრაზდა, რომ ოპერატორი მისი მსხვილი კადრით გადაღებას ცდილობდა. "იუვენტუსის" თავკაცმა **კლაუდიო რანიერიმ** შეგირდის საქციელს ამაზრზენი და გულისამრევი უწოდა. ტურინულმა კლუბმა მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთელის დასჯის შესახებ. ამასობაში იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი ვერდიქტი გამოაქვეყნა. საეჭვოა, "ბებერმა ქალბატონმა" სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

ინტერვიუ მარკო მატერაცისთან

# ზიდანი ჩემთვის ფეხბურთის ღმერთია

## იტალიელი მცველი მზად იყო, ზიზუსთვის ბოდიში მოეხადა, მაგრამ ამის დრო არ მიეცა

**გუშინ მარკო მატერაციმ "კანალ პლუსს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. იტალიელი მცველი 2006 წლის მუნდიალის შემდეგ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ პერსონად იქცა. ბუნებრივია, კომერციული სპორტული არხის ჟურნალისტი ცნობილ თემას გვერდს ვერ აუვლიდა. ჩვენმა კოლეგამ მატერაცისა და ზიდანის ინციდენტი კიდევ ერთხელ გაიხსენა. გარდა ამისა, მოსაუბრეები "სკუადრა აძურაში" მიმდინარე მოვლენებსა და ზოგადად, ევროპულ ფეხბურთს შეეხნენ.**

**- შეუძლებელია, შენი რესპონდენტი მატერაცი იყოს და ზინედინ ზიდანზე საუბრით არ დაიწყო ინტერვიუ. კარგად მესმის, რომ ამ საკითხზე უამრავჯერ მოგიწიათ საუბარი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პირადად მე, თქვენ პირველად გხვდებით.**

- თქვენი კარგად მესმის. როცა რომელიმე ჟურნალისტს ვხვდები, პირველ რიგში, სწორედ ეს თემა უტივტივდება თავში. მართლაც დავიღალე, მაგრამ პრობლემას არ შეგიქმნით. გეტყვით სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა. ვფიქრობ, ხალხმა უკვე ისედაც ყველაფერი იცის. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნებისმიერი სპორტსმენი, გენიოსი იქნება თუ საშუალო მონაცემების მქონე, ზოგჯერ შეიძლება ერთადერთ სიტყვას შეეწიროს. ჩემი აზრით, იმ მომენტში მეც და ზიდანიც ადრენალინის ჭარბი რაოდენობით გამოყოფის გამო სერიოზულ ეიფორიაში ვიყავით. ბუნებრივია, ამ ყველაფერს ჯოჯოხეთური სტრესებიც ერთვოდა. ალბათ, ორივე შევცდით. როცა ამდენად საპასუხისმგებლო ორთაბრძოლას ატარებ, მეტი წინდახედულობა გმართებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ შეცდომა ორმხრივი იყო, თუმცა ღრმად მწამს, რომ ჩემი შეცდომა გაცილებით უფრო უმნიშვნელო გახლდათ. მართალია, ზინედინს შეურაცხყოფა მივაყენე, მაგრამ იმავე წამს მზად ვიყავი, ბოდიში მომეხადა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ზიდანი ჩემთვის ფეხბურთის ღმერთია. მერწმუნეთ, იმ ემოციურობისა და ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვების ფონზე ბოდიშის მოხდა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. სამწუხაროდ, საამისო საშუალება არ მომეცა. ზიდანი ერთ წამში აფეთქდა და გააკეთა ის, რაც გააკეთა.

**- მისთვის პასუხის გაცემა არ გიფიქრიათ?**

- არა. ისე მოვიქეცი, როგორც საღი გონების მქონე ნებისმიერი ადამიანი მოიქცეოდა. ფეხბურთი კორიდა არ არის. ზიზუსთვის ხელი რომ გამერტყა, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდებოდა. რა თქმა უნდა, სჯობდა, ემოციები მომეთოკა. მადლობა ღმერთს, სწორედ ასე მოვიქეცი.

**- რამდენიმე დღის წინ იტალია რაიმონ დომენეკსა და მის გუნდს კიდევ ერთხელ გადაეყარა...**

- ალბათ იცით, დომენეკმა თქვა, მარკო მატერაცი 2006 წლის მუნდიალის ფინალის საუკეთესო ფეხბურთელი იყოო. მის მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები და მადლობას ვუხდი. მართალია, საფრანგეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ეს დასკვნა ფინალიდან ერთი წლის შემდეგ გამოიტანა, მაგრამ მაინც კმაყოფილი გახლავართ. რა თქმა უნდა, უფრო სამართლიანი და ადეკვატური იქნებოდა მოსიე დომენეკს ეს სიტყვები 2006 წლის 9 ივლისვე ეთქვა. რა გაეწყობა, ერთი წლით დააგვიანა, მაგრამ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

**- ამას წინათ, წიგნი გამოეცით. ნუ მიწყენთ, მაგრამ ბევრისთვის უცნაურია, როცა წიგნის ავტორად მატერაცის გვარს კითხულობს.**

- ეს ჩემი პირველი წიგნია. დიდი იმედი მაქვს, რომ წიგნებს მომავალშიც გამოვცემ. ჩემი შთაბეჭდილებებისა და კარიერის შესახებ ძალიან ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი. ღმერთმა ქნას, "ინტერთან" ერთად მრავალ წარმატებას მივაღწიო. აღნიშნული წიგნი 23 თავისგან შედგება. ეს 23 თავი მარკო მატერაცის ცხოვრების შესახებ მოგითხრობთ. შევეცადე, დედაჩემისა და ოჯახის შესახებ გულწრფელად მესაუბრა. მოკლედ, მატერაცი მატერაციზე ლაპარაკობს. საფეხბურთო თავგადასავლები მეტნაკლებად ყველასთვის ცნობილია, ამიტომ ყველაზე დიდ ინტერესს, ალბათ, პირადი ცხოვრების ეპიზოდები გამოიწვევს.

**- ხშირად ამბობენ, რომ საფეხბურთო მოედანზე მეგობარი არავის ჰყავს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ მოსაზრებას თქვენც იზიარებთ.**

- მოედანზე გასვლისას მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ. მეგობრობისთვის დრო ნამდვილად არ მრჩება. ფეხბურთის მთავარი ამოცანა გამარჯვებაა. თუ არ მოიგებ, გულშემატკივრები შეგიძულებენ. ნებისმიერი პროფესიონალი ვალდებულია, პირველ ყოვლისა, სწორედ შედეგზე იფიქროს, თუმცა არ მინდა მონსტრად წარმომიდგინოთ. მე ჩემი ღირებულებები მაქვს და ვცდილობ, მათ არასოდეს გადავაბიჯო. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, მოდით, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად გეტყვით. ძალიან მიყვარს ბოშები და სამხრეთელი ხალხი. ალბათ, ამიტომაც არის, რომ "ინტერში" ყველაზე ახლო ურთიერთობა დეიან სტანკოვიჩთან მაქვს. ის ნამდვილი ბოშაა. სწორედ ამიტომაც არის ჩემი უსაყვარლესი მეგობარი. ასევე მიყვარს და ვაფასებ ზლატან იბრაჰიმოვიჩს. მართალია, ის შვედია, მაგრამ მენტალიტეტით ყველაზე დიდი ბოშაა. რინო გატუზოზე ალარაფერს ვამბობ. ის ჩემი ძმაა. მიუხედავად იმისა, რომ გატუზო "მილანის" სიმბოლოა, ის ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადამიანია. სწორედ ამაშია მეგობრობისა და ძმობის ხიბლი. ადამიანებს შეუძლიათ, მტრული ბანაკის ბარიერებს გადააბიჯონ და ერთმანეთს ჩაეხუტონ. იმ ადამიანთა კატეგორიას განვეკუთვნები, რომლებიც მეგობრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგრამ მოედანზე გასვლისას, მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ. მადლობა ღმერთს, მატჩი მხოლოდ 90 წუთს გრძელდება. გამონაკლის შემთხვევებში კი 120 წუთს.

**- ე.ი. მეგობრობას მეტისმეტად აფასებთ. საინტერესოა, მტრები თუ გყავთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ადამიანი მტრად მიმიჩნევს. ზიდანი?! არა მგონია, ზიზუს ჩემი მოკვლა სურდეს (იცინის). სხვათა შორის, მე საამისო უნარიც მაქვს, მოწინააღმდეგეს მტრად მოვევლინო. ფეხბურთის თამაშისას არავინ მებრალება და არავის ვინდობ. საფინალო სასტვენის შემდეგ კი ყველაფერს ვივიწყებ და ჩვეულებრივი ადამიანი ვხდები.

**- ჯერაც არავინ იცის, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ იტალიის ნაკრების გასახდელში რა ხდებოდა.**

- როცა გასახდელში შევედი, ზეიმი ჯერ არ იყო დაწყებული. ჩემ გვერდით ოდო და ძამბროტა იდგნენ. ოთახის ნახევარი ცივი ლუდით სავსე უზარმაზარი კათხებით იყო მოფენილი. იმდენად გამოფიტული და აღტყინებული ვიყავი, რომ სამი კათხა ზედიზედ გამოვცალე. შხაპის მიღების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და სპორტის მინისტრს შევხვდით. ლუდმა თავისი ქნა, დავთვერი და მთავრობის მაღალჩინოსნებს ბარბაცით მივესალმე. მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო, რა მიჭირდა. ჭკუა აღარ მეკითხებოდა და გასახდელში შემოსული პრეზიდენტი ლუდით გავწუწე. კაცი გადაირია, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც კი მივხვდი, რა გავაკეთე. ეიფორიაში მყოფ ადამიანს ჭკუა არ მოეკითხება. ვფიქრობდი, მე თუ ასე ბედნიერი ვარ, მას რაღა ღმერთი გაუწყრება-თქო. მართლაც არაორდინალური სიტუაცია იყო, მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. პრეზიდენტმა ამ ამბის შესახებ შემდეგ იხუმრა კიდეც. მოკლედ, იმ დღეს მე და ჩემი თანაგუნდელები ანეგდოტივით გავიხსენებთ. ალბათ, ყველაფრის უფლება მქონდა, რადგან იტალიას ფენომენალური წარმატება მოვუტანეთ. ჩვენმა თაობამ მუნდიალის ოქროს თასი მოიპოვა. განა ეს გმირობა არ არის?

**ილია ნიკოლაიშვილი**




მარკო მატერაცი, მზრუნველი მამა და ხულიგანი ფეხბურთელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალის თავმჯდომარე პიტერ ჰილ-ვუდი

არსენალი

# დაგეგმილი შეხვედრა უსმანოვთან

## ...თუმცა მეთოფეების გაყიდვას არავინ აპირებს

"არსენალის" თავმჯდომარე **პიტერ ჰილ-ვუდი** "არსენალის" გაყიდვას კატეგორიულად გამორიცხავს, მაგრამ რუს მილიარდერ **ალიშერ უსმანოვს** მაინც შეხვდება. ორი კვირის წინ უსმანოვმა "მეთოფეების" აქციების 14.58 პროცენტი შეიძინა. მან ლონდონელთა ყოფილ ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინს** ხსენებული წილის სანაცვლოდ 75 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ უსმანოვს "არსენალის" დასაკუთრება სურდა. მიმომხილველთა მტკიცებით, რუსი ოლიგარქი მიზნის მიღწევას დევიდ დინის დახმარებით აპირებდა. მისტერ ჰილ-ვუდი ამბობს, რომ უსმანოვთან კლუბის გაყიდვაზე არ ისაუბრებენ. ეს იქნება ჩვეულებრივი შეხვედრა, რომელსაც დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე პერიოდულად მართავს ხოლმე კლუბის ყველაზე მსხვილ აქციონერებთან.

დევიდ დინს მტკიცედ სწამს, რომ "არსენალისათვის" ჰაერივით აუცილებელია უცხოური ინვესტიციები, რათა ევროპული გრანდებისათვის კონკურენციის გაწევა შეძლოს. გაზაფხულზე დინი ღიად ლობირებდა ამერიკელ ინვესტორ **სტენ კრონკეს,** რომელმაც დასაწყისისათვის კლუბის 16 პროცენტი შეიძინა და მის დაუფლებას აპირებდა. ამის გამო დინს "არსენალის" სხვა დირექტორებთან უთანხმოება მოუვიდა და საბოლოოდ, მაღალი პოსტის დატოვება მოუხდა. ის ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდა "მეთოფეების" საკმაოდ დიდ წილს, სანამ ეს წილი ალიშერ უსმანოვს არ მიჰყიდა. მართალია, დინს "არსენალთან" აღარაფერი აკავშირებს, მაგრამ ამბობენ, რომ თუ უსმანოვი კლუბს დაისაკუთრებს, აღმასრულებელ დირექტორად მისტერ დევიდს დანიშნავს. უსმანოვი ლონდონური კლუბის სტაჟიანი გულშემატკივარია. მას "ემირიტსის" სტადიონზე საკუთარი ლოჟაც კი გააჩნია.

პიტერ ჰილ ვუდი ამბობს: *"საუბრები კლუბის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ აბსურდია. ადამიანები, რომლებიც აქციებს ყიდულობენ, ჩვეულებრივი ინვესტორები არიან. მათ საკუთარი ფულის მომგებიანად დაბანდება სურთ. ეს არის და ეს. ინვესტორები საკითხს პრაგმატულად უდგებიან. ისინი მხოლოდ ფინანსურ მოგებას ეძებენ. არ ვიცნობ ინვესტორს, რომელიც კლუბში უზარმაზარ თანხას მხოლოდ იმიტომ დააბანდებდა, რომ ის ამ კლუბის თავგადაკლული ქომაგია. სისულელეა იმაზე საუბარი, თითქოს "არსენალს" მავანი მილიარდერი გადაარჩენს. "არსენალი" თავის თავს თვითონაც შესანიშნავად მიხედავს. საბანკო კრედიტის გამო მან პრობლემები საერთოდ არ შექმნია."* მისტერ ჰილ-ვუდი სტადიონის ასაშენებლად საჭირო კრედიტს გულისხმობს, რომელსაც "მეთოფეები" ეტაპობრივად ფარავენ. კლუბს "ემირიტსის" აშენება 350 მილიონი გირვანქა დაუჯდა, თუმცა დღეს ეს სტადიონი "ჰაიბერიზე" თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს იძლევა.

### ტონი ისვენებს

შაბათს "ბაიერნი" "შალკეს" ეთამაშება. მიუნხენელებს **ლუკა ტონი** არ ეყოლებათ. იტალიელი თავდამსხმელი ტრავმას იშუშებს. ის ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში, "ჰანოვერთან" მატჩისას (3:0) დაშავდა. ტონის ბარძაყის კუნთი აწუხებს. ამის გამო მან იტალიის ნაკრების ორი საკვალიფიკაციო მატჩი გამოტოვა - შაბათს საფრანგეთთან და წუხელ უკრაინასთან. ლუკა ნაკრებში მაინც გამოიძახეს. მას გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც, მაგრამ ექიმებმა **რობერტო დონადონის** მისი თამაშისაგან თავის შეკავება ურჩიეს. ტონი "ბაიერნში" გასულ ზაფხულს "ფიორენტინიდან" გადავიდა. მასში 11 მილიონი ევრო გადაიხადეს. ფორვარდმა მიუნხენელთა მაისურით სამი მატჩი ჩაატარა და სამივეში გოლი შეაგდო. ის უკვე გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელია. მის არყოფნაში მიუნხენელები "ჰამბურგთან" ვერაფერს გახდნენ და ბოლო ტურში ორი ქულა გაანიავეს (1:1).

### ჩინეთს პეტროვიჩს ჩააბარებენ

ჩინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად სერბი სპეციალისტი **ვლადიმირ პეტროვიჩი** ინიშნება. მან გუნდი 2010 წლის მუნდიალზე უნდა გაიყვანოს. პეტროვიჩს მისმა ძველმა მეგობარმა **რატომირ დუიკოვიჩმა** გაუწია რეკომენდაცია. ეს უკანასკნელი ერთი წელია, ჩინეთში მოღვაწეობს. დუიკოვიჩი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს ავარჯიშებს და საგაისო ოლიმპიადისათვის ემზადება. 52 წლის პეტროვიჩი ჩინურ ფეხბურთის კარგად იცნობს. ის ერთი წლის განმავლობაში "დალიან შაიდს" წვრთნიდა. ფეხბურთის ფედერაციასთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. ბატონი ვლადიმირი **ჟუ გუანჯუს** შეცვლის. გუანჯუს ერთი თვის წინ კარისკენ მიუთითეს. მიზეზი აზიის თასზე ჩინელთა უსახური ასპარეზობა გახლდათ. პეტროვიჩის გარდა, ვაკანტურ პოსტზე **რუუდ გულიტის, ბერტი ფოგტსისა** და **ჟან პიერ პაპენის** კანდიდატურებიც განიხილებოდა. ფინანსურად ყველაზე მისაღები სერბი სპეციალისტის მოთხოვნები აღმოჩნდა.

### ემრეს გული სტამბოლისაკენ მიუწევს

"ნიუკასლი" **ემრეს** გაყიდის, თუ სათანადო ფასს გადაუხდიან. ამ ინფორმაციას "მირორი" ავრცელებს. ზაფხულში თურქი ნახევარმცველის შეძენა "გალათასარაის" სურდა. გარიგება არ შედგა, რადგან სტამბოლელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ მოთხოვნილი 3.5 მილიონი გირვანქა ეძვირათ. ემრე **სემ ელერდაისის** ფავორიტი არ არის. როცა ნიუკასლელთა ახალწვეული ჯოი ბარტონი გამოჯანმრთელდება, მისი პოზიციები კიდევ უფრო შესუსტდება. ელერდაისი ამბობს, რომ იანვრის ფანჯრამდე ტრანსფერებზე საუბარი ნაადრევია. ემრე კი ამბობს, რომ მას "გალაში" გადასვლა სურს, რადგან მხოლოდ ასე შეუძლია კარიერის გადარჩენა.

ინტერვიუ გაბრიელ მილიტოსთან

# მშიერი ტურა სულაც არ ვარ

## არგენტინელი მცველი ძირითად შემადგენლობაში სხვისი ტრავმის ფასად მოხვედრას არ აპირებს. მან ყველაფერს საკუთარი შრომით უნდა მიაღწიოს

**მიმდინარე სეზონის დაწყების წინ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ გაბრიელ მილიტო დიდი ზარზეიმით გადაიბირეს. არგენტინელ მცველს ფრანკ რიიკაარდი დიდ იმედებს უკავშირებს. გულშემატკივრებსაც სჯერათ, რომ გაბი "ბარსას" მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს, თუმცა სამხრეთამერიკელი ჯერ-ჯერობით შორსაა სასურველი კონდიციებისგან, მაგრამ პირობას დებს, რომ უახლოეს მომავალში ფორმას დაიბრუნებს და ყველას დაანახებს, რეალურად რისი ძალაც შესწევს. მოგეხსენებათ, მილიტო ესპანეთში ფლორენტინო პერესმა ჩაიყვანა, თუმცა სამეფო კლუბის ექიმებმა პრეზიდენტს კონტრაქტის გაფორმებისგან თავის შეკავება ურჩიეს. ისინი ამბობდნენ, რომ არგენტინელს ქრონიკული ტრავმა აწუხებდა. გაბრიელს მხსნელად "სარაგოსა" მოევლინა. არაგონელებმა მის ჯანმრთელობაში საგანგაშო ვერაფერი შენიშნეს და ფეხბურთელს ხელშეკრულება გაუფორმეს. გასაკვირი არ არის, რომ ამ ადამიანს "რეალი" სამუდამოდ შესძულდა. დედაქალაქელები მას მართლაც არაკორექტულად მოეპყრნენ. როგორც ჩანს, გაბის მადრიდელებისადმი წყენა დღემდე არ განელებია. "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში მილიტომ განაცხადა, თავის დროზე "რეალმა" კი მიმინვია, მაგრამ რაც თავი მახსოვს, "ბარსელონის" სტილი გაცილებით უფრო მომწონსო. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო რესპონდენტი, მაგრამ ახლა მთავარი ის არის, რომ გაბრიელ მილიტო კატალონიური გრანდის სრულუფლებიანი წევრია და ახალ გუნდთან ერთად უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად ემზადება.**

**- გასულ კვირას "ბარსელონის" მაისურით პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარეთ. "ბილბაოსთან" მატჩში ფრანკ რიიკაარდმა შეცვლაზე შეგიშვათ. საინტერესოა, როგორი გრძნობები დაგეუფლათ?**

- ძალიან გამიხარდა, რომ ოფიციალური დებიუტი "კამპ ნოუზე", ჩვენი გულშემატკივრების წინაშე მქონდა. ძალიან კარგი დღე იყო. "ბარსელონამ" "ბილბაოსთან" შესანიშნავად ითამაშა და სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ვფიქრობ, გუნდმა კარგად ითამაშა.

**- "რასინგთან" შეხვედრაში არ გითამაშიათ. ხომ არ გაგვიმხელთ, რა განსხვავება დაინახეთ პირველი და მეორე ტურის შეხვედრებს შორის?**

- ძნელი სათქმელია. "ბარსელონა" ორივე შემთხვევაში "ბარსელონა" იყო (იცინის). ამით იმის თქმა მსურს, რომ ერთმა და იმავე გუნდმა ორი განსხვავებული შეხვედრა ჩაატარა. ჩემი აზრით, "რასინგთან" და "ბილბაოსთან" მატჩების შედარება, რაიმე სახის პარალელის გავლება არასწორია. სანტანდერში საგოლე მომენტების შექმნა მეტისმეტად გაგვიჭირდა. მასპინძლები დაცვაში 10 კაცით იყვნენ გამაგრებულები და ძირითადად ჩვენი შეტევების დესტრუქციით იყვნენ დაკავებულები. მიუხედავად ამისა, გოლის გატანა მაინც შეგვეძლო. თუნდაც ტიერი ანრის მიერ ძელის შეზანზარება რად ღირს. სიმართლე გითხრათ, "ბილბაომაც" ანალოგიური ტაქტიკა დაგვიპირისპირა. მათ პირველივე წამიდან გვაგრძნობინეს, რომ მთელ ძალისხმევას საკუთარი კარის უსაფრთხოებას მოახმარდნენ, მაგრამ მეორე შეხვედრაში რონალდინიოს გენიალურობამ გვიშველა. დებიუტში მან ფანტასტიკური საჯარიმო გაიტანა და სტუმრები იძულებული გახადა, ანგარიშის გათანაბრებაზე ეზრუნათ. ბასკები საკუთარი საჯარიმოდან ამოვიდნენ და ამით თავისუფალი სივრცეები გააჩინეს. "ბარსას" კი მეტი არაფერი სჭირდება იმისთვის, რომ თამაში მოიგოს. ჩემი აზრით, თუ "ბარსელონას" თავისუფალი სივრცე გაუჩნდება, მისი შეჩერება შეუძლებელი იქნება.

**- თქვენი აზრით, ამ სეზონში "ბარსელონის" მთავარი დამრტყმელი ძალა ვინ გახდება?**

- საქმე მხოლოდ ერთ ადამიანს არ შეეხება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაცვა გამართულად თამაშობდეს. შეტევაში კი კარგად თამაში არასოდეს გაგვიჭირდება. საგოლე მომენტებს ყოველთვის შევქმნით. დაცვაში ჩაკეტილი გუნდების წინააღმდეგობის გადალახვა უნდა ვისწავლოთ. მოკლედ, ღრმად მწამს, რომ "ბარსელონა" მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

**- "სარაგოსაში" ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ხვდებოდით. სავარაუდოა, რომ "ბარსელონაშიც" დიდი ამბიცია გექნებათ...**




გაბრიელ მილიტო საჰაერო ორთაბრძოლისას

- ერთ ფეხბურთელსაც ვერ ნახავთ, რომელსაც თამაში არ სურს. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ძირითადში მოხვედრა დავიმსახურო. ჩემი მცდელობა ერთია, რიიკაარდის შეხედულება კი მეორე. დიდი იმედი მაქვს, რომ მთავარი მწვრთნელი ჩემი მომზადებით კმაყოფილი დარჩება და მოედანზე გასვლის შესაძლებლობას ხშირად მომცემს.

**- "ბილბაოსთან" მატჩში რაფა მარკესის გაძევების შემდეგ შესანიშნავი შანსი გაგიჩნდათ, რომ მომდევნო ტურში პამპლონაში ძირითადში მოხვდეთ...**

- მშიერი ტურა არ ვარ (იცინის). ჩემი მხრიდან რაფა მარკესის ტრავმის კონტექსტში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსებზე საუბარი მეტისმეტად არაკორექტული იქნება. არავის ვუსაფრდები. ყველაფერს პირადი დამსახურებით უნდა მივაღწიო და არა ვინმეს ტრავმის წყალობით. მთავარია, შესაბამისად მოვემზადო და კატალონიური გრანდის მოთხოვნები დავაკმაყოფილო.

**- თქვენი თავმდაბლობა აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ ყველას სჯერა, რომ მას შემდეგ რაც კარლეს პუიოლი გამოჯანმრთელდება, გაბრიელ მილიტოსთან ერთად შიშისმომგვრელ ტანდემს შექმნის.**

- ეს ყველაფერი ჟურნალისტების საყვარელი სასუბრო თემაა. ვგონებ, არაკორექტულია იმის თქმა, რომ მაინც და მაინც ჩვენ ორი ვითამაშებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, "ბარსელონაში" პუიოლისა და მილიტოს გარდა კიდევ არაერთი ძლიერი მცველი ირიცხება. ჩემი აზრით, მათ საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ. მოდით, მარტივად ვთქვათ, ითამაშებს ის, ვინც უკეთ იქნება მომზადებული. ფეხბურთელების მოვალეობა თავდაუზოგავად ვარჯიშია. შემადგენლობასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას კი ფრანკ რიიკაარდი მიიღებს.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ "ბარსელონაში" მცველები ნაკლებად დაფასებულები არიან?**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. სხვათა შორის, "სარაგოსაც" შეტევაზე ორიენტირებული გუნდია. მცველებს წინ წასვლა გვევალებოდა. არგენტინაშიც ასე იყო. ამიტომ, სიურპრიზებს არ ველი და არც იმას ვფიქრობ, რომ მცველები დაუფასებლები არიან. ასე რომ იყოს, "ბარსას" ხელმძღვანელობა ჩემი ტრანსფერის განსახორციელებლად დიდ ფულს არ გადაიხდიდა. ფრანკ რიიკაარდმა პირადად მითხრა, ჩვენთან მცველი ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც თავდამსხმელიო. სხვაგვარად ვერც იქნება. თუ მცველი პოზიციას სწორად შეარჩევს, თანაგუნდელებთან კონტაქტს არ დაკარგავს და შეტევებშიც დროულად ჩაერთვება, საერთო საქმეში კი ფენომენალურ წვლილს შეიტანს.

**- გულშემატკივრებმა "მარშალი" შეგარქვეს, მოგწონთ ეს მეტსახელი?**

- ყოველ შემთხვევაში, ხელს არ მიშლის (იცინის). "მარშალი" ჯერ კიდევ მაშინ შემარქვეს, როცა არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში დავიწყე. სიმართლე გითხრათ, საზოგადოების შეფასებები არ მცვლის. კარგს იტყვიან, თუ ცუდს, მე მაინც ჩემს საქმეს ვაკეთებ და სხვებს ყურადღებას თითქმის არ ვაქცევ.

**- "ბარსელონის" ვარჯიშს დავესწარი და გაოგნებული დავრჩი, როცა დავინახე რომ თანაგუნდელებს უკვე მითითებებს აძლევთ. ხასიათის სიმტკიცე აშკარად არ გაკლიათ...**

- ნუ იფიქრებთ, რომ ჩემი ავტორიტეტის განმტკიცებას ვცდილობდი. უბრალოდ, მსურს გუნდს კარგად შევეწყო. თანაგუნდელებს უბრალოდ ვუხსნი, ვინ ვარ, რა შემიძლია. ვფიქრობ, ამის გარეშე გუნდში საკუთარი ადგილის მონახვა გამიჭირდება. ცენტრალური მცველი ყველაზე კარგად ხედავს თამაშის განვითარებას, ამიტომ მითითებებს ბუნებრივად ვიძლევი. ეს ინსტინქტურად ხდება. გულგრილი ვერ დარჩები, როცა ხედავ, რომ თამაშს უკეთესი განვითარება შეიძლება მოყვეს, მაგრამ თანაგუნდელი ამას ობიექტური მიზეზების გამო ვერ ამჩნევს. ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ალბათ, იმიტომ გაგიკვირდათ, რომ "ბარსელონაში" ახალი მოსული ვარ. არადა, მთავარია, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. თუ სტაჟიან ბარსელონელს შეუძლია მითითებით მომმართოს, მე რატომ უნდა დავდუმდე, თუ ვხედავ, რომ რაღაცის უკეთ გაკეთება შეიძლება?

**- პრეზენტაციის დღეს განაცხადეთ, რომ პლანეტის საუკეთესო კლუბში ჩაირიცხეთ. "ბარსელონა" უკვე კარგად გაიცანით. საინტერესოა, აზრი ხომ არ შეგეცვალათ?**

- არა, პირიქით, უფრო განმიმტკიცდა. "ბარსა" ყოველმხრივ მომხიბვლელი და საოცარი კოლექტივია. ჩემი აზრით, თავად მისი მართვის სტილიც კი გამორჩეულია. საფეხბურთო ტრადიციებზე აღარაფერს ვამბობ. დიახ, მე პლანეტის საუკეთესო კლუბში გადმოვედი.

**- "ბარსასთან" კონტრაქტის გაფორმებამდე, თქვენს კარზე მადრიდის "რეალმა" მეორედ დააკაკუნა.**

- ვერ ვიტყვი, რომ სამეფო კლუბისგან სერიოზული წინადადება მივიღე. ამას არც ჰქონდა აზრი. მადრიდელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ და თავი დიდად აღარ შეიწუხეს. პირველივე მცდელობისას გაიგეს, რომ გაბრიელ მილიტოს "რეალის" სახელის გაგონებაც არ სურდა. იმ გუნდში არაფერი მესაქმება...

**- გულწრფელად მითხარით, "ბარსელონა" უფრო მოგწონდათ, თუ "რეალი"?**

- რა თქმა უნდა, "ბარსელონა". ცხადია, სამეფო კლუბის გრანდიოზულობას ვერ დავაკნინებ. ისიც მსოფლიო გრანდია, მაგრამ ბოლო წლებში "ბარსა" ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა და პარალელურად პრიმერა დივიზიონი დაიპყრო. რაც ესპანეთში ჩამოვედი, დავრწმუნდი, რომ ჩემს გემოვნებასთან კატალონიელთა სტილი უფრო ახლოს იდგა. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ამ დიადი კლუბის წევრი ვარ. შევეცდები, ისტორია შევქმნა.

**- თუ წარმოგიდგენიათ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" გოლის გატანას როგორ აღნიშნავთ?**

- პირველ ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ "რეალზე" ბოღმას არ ვატარებ. ჩვენ შორის დიდი გაუგებრობა მოხდა. მათ ალბათ, ჰქონდათ იმის უფლება, რომ მაქსიმალურად დაეცვათ თავი, თუმცა სარაგოსულმა კარიერამ გამოააშკარავა, რომ დედაქალაქელებმა შეცდომა დაუშვეს. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. არაგონში უბედნიერესი ოთხი წელი გავატარე. ახლა "ბარსას" ვეკუთვნი. თუ "ბერნაბეუზე" გოლს გავიტან, ძალიან გამიხარდება.

**- "ვილიარეალის" განადგურების შემდეგ "რეალი" უფრო საშიში გახდა?**

- არა. მართალია, მათ ფანტასტიკური მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიერიდან "რეალი" უფრო სახიფათო მეტოქე გახდა.

**- შუსტერის გუნდის გარდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უპირველეს კონკურენტად რომელ კლუბს მიიჩნევთ?**

- "სევილიას". ანდალუსიელები აგერ უკვე სამი წელია საოცრად სტაბილურად თამაშობენ.

**- თქვენს ესპანურ კოლექციას ჯერჯერობით მხოლოდ ესპანეთის სამეფო და სუპერთასები ამშვენებს. ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოპოვება გსურთ?**

- ღმერთმა ქნას, ყველა ფრონტზე გავიმარჯვოთ. პრიორიტეტები არ გამაჩნია. ჩემთვის ნებისმიერი ტიტული მნიშვნელოვანია.

**- ჯოვანი დოს სანტოსზე რას გვეტყვით?**

- ფენომენია! მასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. გულწრფელი და უბრალო ბიჭია.

**- როგორ ფიქრობთ, მასაც ისეთივე მომავალი ელის, როგორიც ლეო მესის?**

- მოდით, მათ ერთმანეთს ნუ შევადარებთ. ჯოვანი და ლეო სხვადასხვა ადამიანები არიან და შესაბამისად, განსხვავებული გზა აქვთ.

**- ახალმა სეზონმა დიდი იმედგაცრუება მოგიტანათ. სამუელ ეტოომ მძიმე ტრავმა მიიღო...**

- ძალიან სამწუხარო ფაქტია. საშინელებაა, როცა სეზონის დებიუტში ისეთ გენიალურ ფორვარდს დაკარგავ, როგორიც ეტოოა. მიუხედავად ყველაფრისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მჯერა, ტიერი ანრისთან ერთად სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ბორჯომის თასი

# ხუთიანი რვეულში



სოფიო ქვაცაბაია

ასე წარმატებული საჩოგბურთო ტურნირი საქართველოში ქართველებისთვის ჯერ არ ყოფილა - მიუხედავად იმისა, რომ "ბორჯომის თასი" დიდი საპრიზო ფონდით არ გამოირჩევა და შესაბამისად მსოფილოს მოწინავე ჩოგბურთელებს არასდროს უასპარეზიათ, ქართველებს იშვიათად, რომ ფინალური ნაწილისკენ გაეკაფოთ გზა. ამ გზაზე ერთეული გამარჯვებებიც ყოფილა და ერთხელ წმინდა ქართული ფინალიც გვინახავს, მაგრამ ასე მასობრივად წარმატებულად არ უთამაშიათ.

მეთექვსმეტედფინალში ცხრა ქართველი თამაშობდა, აქედან ორი დერბი იყო. ცხადია, ორი ქართველი ბრძოლას ნებისმიერ შემთხვევაში გამოაკლდებოდა. საფიქრალი ის იყო, დანარჩენები რას იზამდნენ და მშვენივრადაც ითამაშეს - მომდევნო წრეში ერთბაშად ხუთი ქართველია, რაც რვა მონაწილეს შორის აშკარად თვალშისაცემია. აშკარაა, რომ ქართულ ქალთა ჩოგბურთში წინსვლაა, შესანიშნავი თაობა იზრდება და სათანადო ხელშეწყობაა საჭირო, რომ ისეთივე სიმაღლეები დაიპყრონ, როგორც ეს თბილისის საჩოგბურთო კორტებზე რამდენიმე წლის წინ ბრძოლაგამოვლილმა **ანასტასია მისკინამ, ელენე დემენტიევამ, ნადეჟდა პეტროვამ** და სხვებმა შეძლეს...

უფრო კონკრეტულად: **სოფიკო ქვაცაბაია** რუსეთის სახელით მოასპარეზე **ლია ცანავას** ხვდებოდა. ქვაცაბაიას უპირატესობა აშკარა იყო და ორ სეტში გაიმარჯვა - 6:3, 6:1.

**ანა ჯიქია** და **თინათინ ყავლაშვილი** ერთმანეთთან არკვევდნენ ურთიერთობას და ამჯერად გამოცდილებამ იმარჯვა - ყავლაშვილმა 6:2, 6:0 მოიგო.

**მანანა შაფაქიძე** უკრაინელ **იულია ცურენკოს** ხვდებოდა, რომელმაც წინა დღით **თეონა ცერცვაძე** იოლად დაამარცხა - 6:0, 6:1. როგორც აღმოჩნდა მეტისთვის უკრაინელს ძალა არა ჰქონია - შაფაქიძემ ხელი არ გაანძრევინა და ორ სეტში 6:1, 6:2 დაამარცხა.

უთუოდ გამოსარჩევია **თეონა მიქაძის** შესანიშნავი თამაში. თეონა ორი წელი უქმობდა და კორტს ამ რამდენიმე ხნის წინათ დაუბრუნდა, ახლახან მორჩენილ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე კი ნახევარფინალამდე მიაღწია. არც თბილისურ ტურნირზე ირცხვენს თავს და გუშინ ერთ-ერთი ფავორიტი, მესამე ნომრად განთესილი რუსი **ავგუსტა ციბიშევა** თამაშ-თამაშ დაჩაგრა - 6:2, 6:3.

ფავორიტობა შეიშნოვა **სოფიკო შაფათავამ**, - იგი მეორე ნომერია ტურნირზე და გამარჯვების უმთავრესი კანდიდატია. გუშინ სოფიკოს **სალომე ჩაჩხუნაშვილი** დაუპირისპირდა. ბრძოლა უშელავათო იყო, მაგრამ ოსტატობამ და შედარებით მაღალმა კლასმა შაფათავას შემდეგი წრის ვიზა მისცა - 6:4, 6:3.

გულდასაწყვეტია, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდა **ეკატერინე გორგოძე**. ახლა, მეტოქე არცთუ ძლიერი ჰყავდა - ბელარუსი **იმა ბოჰუში**. ქართველი 4:6, 3:6 დამარცხდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმატებაში ტრავმამ შეუშალა ხელი. ეკას ექიმები თამაშისგან თავშეკავებას ურჩევდნენ, არც მშობლები ანებებდნენ თამაშს, მაგრამ იმდენად სურდა მონაწილეობა, რომ ოჯახს გამოეპარა და მაინც იასპარეზა.

**დღეს, მეოთხედფინალში ითამაშებენ: ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (1, რუსეთი) - ქვაცაბაია, ცურენკო-ყავლაშვილი, შაფაქიძე (5) -მიქაძე, ბონუში - შაფათავა (2).**

ბორჯომის შემართება გუშინ მაინც დაფასდა სათანადოდ: წყვილთა ტურნირში ბელარუს **ვიქტორია ემელიანოვასთან** შეამხანაგებულმა სამ სეტში აჯობა მეორე ნომრად განთესილ აზერბაიჯანულ-ბელარუსულ წყვილს **ელინა ჰასანოვასა** და **ალექსანდრა მალიარჩიკოვას** - 6:4, 4:6, 10-3. ამ გამარჯვებით ნახევარფინალის საგზური იქნა მოპოვებული.

ქართველთა სიმრავლე აქაც შეინიშნება: მანანა შაფაქიძემ პარტნიორად რუსი ავგუსტინა ციბიშევა აირჩია და პირველ ნომრადაც განთესეს. მეოთხედფინალში ამათ უკრაინული წყვილი - ლესია ცურენკო, **ელიზავეტა რიბაკოვა** დაამარცხეს - 7:5, 6:3. უკრაინელები დაამარცხეს **სოფიკო შაფათავამ** და **თინათინ ყავლაშვილმა** - მათ **ნადინ ფაჰუმს** და **ჰანა მალახოვიჩს** აჯობეს - 3:6, 6:2, 10-7.

ნახევარფინალის მეოთხე მონაწილე რუსულ-სომხური ტანდემია **მარგალიტა ლაზარევასა** და **ანა მოვსისიანის** შემადგენლობით. ამათი მსხვერპლი ქართული დუეტი აღმოჩნდა: სალომე ჩაჩხუნაშვილმა და თეონა ცერცვაძემ ვერაფერი ხეირიანი ვერ დაუპირისპირეს მეტოქეს და დიდი სხვაობით წააგეს - 2:6, 1:6.

შაფაქიძე-ციბიშევა ლაზარევა-მოვსესიანს შეხვდება ფინალის საგზურისთვის; გორგოძე-ემელიანოვა კი ყავლაშვილი-შაფათავას.

**ზვიად შათირიშვილი**

## ორი ტაი-ბრეიკი მიულერთან

ლადო ჩიხლაძემ დაასრულა ორლეანის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ლადო ასეთი დონის ტურნირის ძირითად ბადეში კარიერაში პირველად თამაშობდა. მერვედფინალში მისი მეტოქე ლუქსემბურგელი **ჟილ მიულერი** (149) იყო. დაძაბული შეხვედრა ორივე სეტის ბედი ტაი-ბრეიკში გადაწყდა, ორივეჯერ ლადომ 6:8 წააგო და მეოთხედფინალის საგზური ლუქსემბურგელს გადაულოცა - 6:7, 6:7.

## ითონიშვილი მერვედფინალშია

19 წლის ჩოგბურთელი **ნოდარ ითონიშვილი** წარმატებით ასპარეზობს ქაიროს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი). მან ძირითადი ბადის პირველ წრეში ესპანელი **მიგელ-ანხელ სოლბესი** დაამარცხა - 6:1, 2:6, 6:1. ქართველის მეტოქე გუშინ გვიან ღამით გაირკვა. წყვილებში ნოდარმა და ეგვიპტელმა **იასერ ადელ საიედმა** პირველი წრე მოიგეს - 6:3, 6:2 და მეოთხედფინალში გავიდნენ. სხვათა შორის, მათი მეტოქეები რუსი ძმები **ვლადიმერ** და **ალექსანდრე გიგიტაშვილები** იყვნენ.

## ოქსანამ მეწყვილე შეცვალა

ოქსანა კალაშნიკოვა ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდულ ტურნირში წარმატებული ასპარეზობის შემდეგ ლექსინგტონში "კენტუკი დერბიში" მონაწილეობს, რომელიც პირველი კატეგორიის ტურნირია. თანატოლებში მსოფლიოს მე-12 ჩოგანი ლექსინგტონის ჰარდის საფარის კორტებზე მეორე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ქართველი ისვენებდა, მეორეში ის ამერიკელ **ჯულია ბოუზრუპს** (98) შეხვდა. მოულოდნელად, მასპინძელმა საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართველს და პირველი სეტი მოუგო კიდეც, თუმცა მერვედფინალში მაინც კალაშნიკოვა გავიდა - 3:6, 7:5, 6:1. მესამე წრეში ოქსანას მეტოქე მე-15 ნომრად განთესილი **გაბრიელა პასია** (78). წყვილთა თანრიგში კალაშნიკოვა ამჯერად რუს **ელენა ჩერნიაკოვასთან** (17) ერთად თამაშობს, ეს წყვილი პირველ ნომრად არის განთესილი და ბრძოლაში მეორე წრიდან ჩაებმება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი


უნივერსიტეტი-ხარები

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს თასი

# მეოთხე გვაკლია

**უნივერსიტეტი-ხარები 20:12**

უნივერსიტეტი: (15-9) კავთიძე სბ, დ. ტუჩაშვილი, ლუკა კილასონია (გ. ნიკლაური 47), ნუცუბიძე, ჯაში (კუპრეიშვილი 38), ბაირამაშვილი, ნადარეიშვილი; (1-8) კაკოვინი, ქორიძე, დონაძე, სურგულაძე, დარასელია (ალადაშვილი 68), ლადო კილასონია, დათუნაშვილი, ვ.ტუჩაშვილი - *3ლ (ნუცუბიძე 2, ბაირამაშვილი) გ,ს (ბაირამაშვილი)*

ხარები: (15-9) შუბითიძე (თვაური 67), ლამბაშიძე (გეგეჭკორი 57), თევზაძე, დევაძე, სულამანიძე, ლობჟანიძე, მ. ნიკლაური; (1-8) მაჭარაშვილი (ცინაძე 57), კაკაბაძე, ბასილაშვილი (კაპანაძე 48), ტორონჯაძე (ყოჩიაშვილი 69), ქარუხნიშვილი, კაპანაძე, ნანიევი, კობახიძე - *2ლ (დევიძე, კაპანაძე), გ(ლობჟანიძე)*

მსაჯი: უ.ნარიმანიძე

**ლოკომოტივი-ლელო 32:18**

ლოკომოტივი: (15-9) ასათიანი, ჩიხლაძე (ქვათაძე 59), ბერძენიშვილი, ხაჩირაშვილი, გუგავა, კვინიხიძე, ღვინჯილია; (1-8) პეტრიაშვილი, ხეჩიკოვი, მაღალდაძე (გეგეჭკორი 59), მგელაძე, ტურაშვილი, ბერიშვილი, მხეიძე, ნიშნიანიძე (ჯაველიძე 63) - *5ლ (ასათიანი, პეტრიაშვილი, ხეჩიკოვი, ბერიშვილი) 2გ,ს (კვინიხიძე)*

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ქიზიყურაშვილი, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია (ჭინჭარაული 41), (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ჩაკვეტაძე, იორდანაშვილი, ჯალაღონია (აშაძე 56), მძინარიშვილი, ქობელაშვილი, ახალაია - 2ლ (ყიასაშვილი, ხმალაძე) გ, 2ს (ყიასაშვილი)

მსაჯი: მ. ჩაჩუა

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხე ეტაპის მეორე ტურმა ნახევარფინალისტების ვინაობა ვერ გამოავლინა. დამამშვიდებელ ტურნირში მეორე შეხვედრა გამართა "უნივერსიტეტის" გუნდმა. პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ მათ რუსთავის "ხარებს" სძლიეს 20:12. ბოლო შეხვედრაში "ხარებს" აუცილებლად რვა და მეტი ქულით გამარჯვება მართებს "დინამოსთან". წინააღმდეგ შემთხვევაში ნახევარფინალში სწორედ დინამოელები გააღწევენ.

ამათ მეტოქეს კი, ასევე ბოლო ტურში, "ლოკომოტივსა" და "ყოჩების" დაპირისპირება გაარკვევს. გამარჯვებული A ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს. დამარცხებული კი მესამე ადგილზე გასულ "ლელოს" დაუპირისპირდება.

"ლოკომოტივმა" მესამე ატაპზე განცდილი მარცხის გამო "ლელოსთან" რევანში აიღო. რკინიგზელებმა დაძაბულ ბრძოლაში, მხოლოდ მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში შეძლეს მოწინააღმდეგის გატეხვა და 32:18 გაიმარჯვეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# მესამეს ვერ გაცდა

გუშინ დასრულდა ბაქოს საერთაშორისო ტურნირი. ქართველმა **ლელა ჯავახიშვილმა** მესამე ადგილი დაიკავა, რაც კარგი შედეგია, თუმცა გული გვეთანაღრება, რომ მეტი ვერ შეძლო, - შესანიშნავი სტარტის შემდეგ, როცა აღიარებულ ოსტატებს და მთავარ ფავორიტებს აჯობა, შუა ტურნირში მოულოდნელად **ფირუზა ველიხანლისთან** დამარცხდა და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. აღსანიშნავია, რომ ლელას ცხრილის ზედა ნაწილში დამკვიდრებულ მეტოქეებთან დადებითი ბალანსი აქვს, ხოლო ბოლო ოთხ ადგილზე გასულებთან (ველიხანლი, მიიე, კადიმოვა, უმუდოვა) - ნულოვანი.

ბოლო ტურში ლელა ფრანგ **სოფი მიიეს** ხვდებოდა შავებით და ბევრი კი ეცადა, მაგრამ მოსაგებად საჭირო რესურსები ვერ გამოძებნა, 38-ე სვლაზე ყაიმი დააფიქსირა და 6 ქულა მოუგროვდა. მასზე მეტი **ანტუანეტა სტეფანოვამ** - 6.5 და **მონიკა სოცკომ** - 7 - დააგროვეს. სტეფანოვამ **კრამლინგთან** შავებით ყაიმი გაახერხა, სოცკომ კი თეთრებით **უმუდოვა** დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

კიდევ ერთი შედეგიანი შეხვედრა **ველიხანლი-ლაჰნოს** პარტია იყო - შავებით მოთამაშე უკრაინელმა გაიმარჯვა და ოდნავ გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა - 5 ქულით დაასრულა ტურნირი და მეხუთე ადგილზე გავიდა. დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა.

საბოლოო ცხრილი: **1. მონიკა სოცკო-7; 2. ანტუანეტა სტეფანოვა-6.5; 3. ლელა ჯავახიშვილი-6; 4. პია კრამლინგი-5.5; 5. კატერინა ლაჰნო-5; 6. ვიქტორია ჩმილიტე-4; 7. ფირუზა ველიხანლი-4; 8. სოფი მიიე-4; 9. ილაჰა კადიმოვა-1.5; 10. ნარგიზ უმუდოვა-1.5.**

**ზვიად შათირიშვილი**

სააქციო საზოგადოება "ლაგუნა ვერეს" ადმინისტრაცია, კოლექტივი, სპორტის ვეტერანი და სპორტის საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ წარსულში ბრწყინვალე ნიჩბოსნის

**გივი ნიკურაძის**

ტრაგიკული გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველო
GEORGIA
# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

საპრეზიდენტო არჩევნები

## ასთექვსმეტი მომხრე



## ქართული ხელბურთი თამაზ თევზაძემ ჩაიბარა

**მოხდა ის, რასაც ველოდით. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გუშინდელ რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე, პრეზიდენტობის სამი კანდიდატიდან, ორმა მოხსნა კანდიდატურა. შესაბამისად, ეულად დარჩენილ თამაზ- თევზაძეს უკლებლივ ყველა დელეგატმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. ასე რომ, 2008 წლის ბოლომდე, ქართული ხელბურთის სადავეები თამაზ თევზაძის ხელთ იქნება.**

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია **მამუკა სხიერელის** მოულოდნელმა გადადგომამ, რომელსაც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი. სხიერელის გადადგომის შემდეგ, ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე განაცხადი შეიტანა სამმა კანდიდატმა: ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტებმა - **თამაზ თევზაძემ** და **ჯემალ ცერცვაძემ** და სეოკის ყოფილმა პრეზიდენტმა **ჯანო ბაგრატიონმა**. თუმცა როგორც გუშინ გაცნობეთ, ცერცვაძე და ბაგრატიონი კანდიდატურების მოხსნას აპირებდნენ.

გუშინდელი ყრილობის გაძღოლა ითავა ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა **მერაბ მეტრეველმა**. თავდაპირველად, დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით პატივი სცა ბოლო დროს დაღუპული სპორტსმენების ხსოვნას (ვეტერანი ხელბურთელები - თემურ ზარდალიშვილი, ალეკო კიკაბიძე და დავით რუხაძე. ვეტერანი ნიჩბოსანი გივი ნიკურაძე).

ამის შემდეგ კი ყრილობა მუშაობას შეუდგა. ხმის მიცემის მქონე 151 დელეგატიდან, გამოცხადდა 116, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყრილობა უფლებამოსილი გამხდარიყო მუშაობის დასაწყებად. მერაბ მეტრეველის ინიციატივით, სწრაფად და ერთხმად დაამტკიცეს სამდივნო და ხმის დამთვლელი კომისია, რის შემდეგაც გამოცხადდა ოთხსაკითხიანი დღის წესრიგი:

1. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ახალი პრეზიდენტის არჩევა ერთი წლის ვადით, 2. ხელბურთის ასოციაციის პრეზიდიუმიდან გასული წევრების სანაცვლოდ, ახალი წევრების დამტკიცება, 3. ცვლილებები ასოციაციის წესდებაში. 4. სხვადასხვა.

არჩევნებამდე, მეტრეველმა წაიკითხა ჯანო ბაგრატიონის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლითაც ბაგრატიონი მადლობას უხდიდა ხელბურთის სამყაროს მხარდაჭერისთვის, მაგრამ საკუთარ კანდიდატურას ხსნიდა. ავადმყოფობის გამო, ყრილობაზე არ გამოცხადებულა ჯემალ ცერცვაძეც, რომელმაც ასევე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

ამდენად, დარჩა მხოლოდ თამაზ თევზაძე. დელეგატთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ერთადერთი კანდიდატი ღია წილისყრით აირჩა. ყოველგვარი თავის შეკავებისა და წინააღმდეგობის გარეშე, ასთექვსმეტივე დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი თევზაძის გაპრეზიდენტებას და დარბაზში ტაშმაც იქუხა...

გაპრეზიდენტებულმა ვიცე-პრეზიდენტმა, მადლობა გადაუხადა დელეგატებს მხარდაჭერისთვის, რის შემდეგაც საკუთარი გეგმები გაგვაცნო.

დადგა პრეზიდიუმის ახალი წევრების დამტკიცების დრო. თავდაპირველად, ყრილობამ ერთხმად დააკმაყოფილა მამუკა სხიერელისა და **გურამ ძაგანიას** განცხადებები პრეზიდიუმის დატოვების შესახებ, რის შემდეგაც თამაზ თევზაძემ მათი შემცვლელების კანდიდატურები დაასახელა - ვეტერანი ხელბურთელი **ბიძინა მინდელი** და ხელბურთის ასოციაციის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე **ვახტანგ ბერიაშვილი**. ამასთან, მინდელს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტობაც ჩააბარეს, რომელიც თევზაძის გაპრეზიდენტების შემდეგ გამოთავისუფლდა. იქვე, ხაზინადარად აირჩიეს პრეზიდიუმის წევრი, ხელბურთის კლუბ "თბილისის" შეფი **ელიზბარ არსენაშვილი**.

ამ დროს, დარბაზიდან ერთ-ერთმა ქალბატონმა რეპლიკა ისროლა - ქალებს რატომ არსად გვირჩევთო? ეს იყო ერთადერთი მომენტი, რამაც მთელი ყრილობის განმავლობაში ფრიად მშვიდი საზოგადოება რამდენიმე წუთით ააჟრიამულა. თევზაძემ ხელბურთის სამყაროს მანდილოსნები დაამშვიდა და აღუთქვა, რომ მმართველ ორგანოში შემდეგ არჩევნებში ქალებიც აუცილებლად მოხვდებიან. სიტყვამ მოიტანა და სხვათა შორის, პრეზიდიუმი ახლავე განიხილავს ქალ ხელბურთელთა კომიტეტის ჩამოყალიბების საკითხსაც.

ყრილობის მესამე საკითხი იყო ხელბურთის ასოციაციის 1999 წელს შედგენილ წესდებაში ცვლილებების შეტანა. როგორც მერაბ მეტრეველმა გვაცნობა, იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ, განახლებული წესდება სრულიად დააკმაყოფილებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის ამჟამინდელ მოთხოვნებს.

პრეზიდიუმმა წამოაყენა წინადადება, რომ ხელბურთის ასოციაციას დაერქვას ხელბურთის ეროვნული ფედერაცია, რომელიც ახალი წესდების თანახმად, იქნება არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი. ითქვა ისიც, რომ მომავალი ყრილობიდან, ხელბურთის ფედერაცია გადავა სხვა მოდელზე. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ არა ცალკეული ადამიანები, არამედ ხელბურთის ფედერაციაში ოფიციალურად დარეგისტრირებული იურიდიული პირები.

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ განახლებული წესდება და სხვა აქტუალური საკითხები საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს, მაქსიმუმ, ერთ თვეში.

რაც შეეხება დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხს, მასში გათვალისწინებული იყო დებატები და შეკითხვები, მაგრამ რაკილა კითხვები და პრეტენზიები არავის ჰქონია, ყრილობა დამთავრებულად გამოცხადდა.

**კობა ხატისაშვილი**

## მარტო პრეზიდენტი ვერაფერს გახდება!

**გთავაზობთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის თამაზ თევზაძის სახელდახელო ინტერვიუს.**

- უპირველეს ყოვლისა, მადლობა დელეგატებს მხარდაჭერისა და ნდობისთვის. ასევე ულრმესი მადლობა ჩემს წინამორბედ მამუკა სხიერელს იმისთვის, რომ მთელი სამი წელი ედგა ქართულ ხელბურთს სათავეში და სწორედ მისი პრეზიდენტობისას წამოვიწყეთ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ამ პროექტებს აუცილებლად წარმატებით დავაგვირგვინებთ.

მეამაყება, რომ ერთ-ერთი ავტორი ვარ 2005 წელს ჩამოყალიბებული ქართული ხელბურთის განვითარების გრანდიოზული პროგრამისა, რომელიც გათვლილია 2006-20012 წლებზე. ამ პროექტში სრული მხარდაჭერა გვაქვს როგორც ქართული სპორტის ხელმძღვანელობის, ასევე ევროპისა და მსოფლიო ხელბურთის ფედერაციებისაგან.

დღეს პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი ვიყავი. სიმართლე გითხრათ, მუდამ გული მწყდება, როცა ვინმე კანდიდატურას წამოაყენებს და მერე ხსნის. დიდ პატივს ვცემ ჯანო ბაგრატიონსაც და ჯემალ ცერცვაძესაც. ჯანო ბაგრატიონთან 1993-1999 წლებში მომიწია მუშაობამ, როცა იგი ოლიმპიურ კომიტეტს პრეზიდენტობდა, ერთად ვმოღვაწეობდით ტექნიკურ უნივერსიტეტშიც. ასევე თბილი სიტყვების მეტი არაფერი მეთქმის ჯემალ ცერცვაძის მიმართ. ჩემი თაობის ახალგაზრდები ამ უნიკალური მოთამაშის მაგალითზე შევდიოდით ხელბურთის წრეზე. ამას გარდა, მე და ჯემალი ხელბურთის ასოციაციაშიც წლების განმავლობაში მხარდამხარ ვმუშაობთ.

**- რა პრიორიტეტებს მიანიჭებთ უპირატესობას პრეზიდენტობის ერთწლიან ვადაში?**

- ბავშვთა ხელბურთს, ეროვნულ ნაკრებს, რეგიონებსა და ბაზებს. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბაზების რეაბილიტაციისა და მშენებლობის გრანდიოზული გეგმის ჩამოყალიბებაში მეც ვმონაწილეობდი და უკვე ვიმკით ამის ნაყოფს. მალე დასრულდება ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობა, რომლის მოედანიც ერთადერთი იქნება თბილისს გარეთ, საერთაშორისო სტანდარტებს (44X24) რომ დააკმაყოფილებს. ამას გარდა, მალე ანალოგიური სტანდარტული, თანამედროვე დარბაზების მშენებლობა დამთავრდება ზუგდიდში, სენაკში, დუშეთსა თუ ოზურგეთში.

ამას გარდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად ვთვლი, რომ ბოლოს და ბოლოს, გადავიდეთ ყველაზე ცივილიზებურ და თანამედროვე წყობაზე - კლუბურ სისტემაზე, რის გარეშეც ნებისმიერი სახეობის წინსვლა წარმოუდგენელია.

**- უპირველესად რას გააკეთებს ახალი პრეზიდენტი?**

- ამჟამად, უმთავრესია ეროვნული ჩემპიონატის დაწყება და ოქტომბერში, თბილისში გასამართი "ჩელენჯ ტროფისთვის" მომზადება. კლუბებს აქვთ გარკვეული პრობლემები, მაგრამ შესაძლებლობების ფარგლებში, მათ მაქსიმალურად დავეხმარებით. თუმცა, თუ თავად კლუბებმაც არ გამოიღეს ხელი, მხოლოდ ასოციაცია ვერაფერს გახდება. კი ბატონო, რაც ჩვენი უშუალო მოვალეობაა, ანუ ჩემპიონატის ორგანიზება, მას კარგად გავართმევთ თავს, მაგრამ სხვა საკითხებში, კლუბებიც უნდა დაგვიდგნენ მხარში.

ისე, ვერცერთ სახეობაში მხოლოდ პრეზიდენტი ვერაფერს გახდება, თუ მხარში არავინ დაუდგება. თითქმის მთელმა ხელბურთის სამყარომ იცის ჩემი კოორდინატები და მზად ვარ, ყველას ნებისმიერ დროს მოვუსმინო და მხარში ამოვუდგე. იმავეს მოვითხოვ მათგანაც, ანუ ქართული ხელბურთის მთელ სამყაროს ვალდებულება უნდა გვქონდეს ერთმანეთის მიმართ, რომელსაც პირნათლად შევასრულებთ. თუ ყველა კეთილსინდისიერად გააკეთებს საკუთარ საქმეს, საკმაოდ სწრაფი ტემპებით წავალთ წინ.

ძალიან მნიშვნელოვანია წესდებაში ცვლილებების დამტკიცება და ხელბურთის ასოციაციის სტრუქტურის საბოლოოდ ჩამოყალიბება. ამის გასაკეთებლად მაქსიმუმ, ერთთვიანი ვადა დავთქვით, მაგრამ რაც მალე დავამთავრებთ, მით უკეთესი.

**კობა ხატისაშვილი**



თამაზ თევზაძე არჩევის შემდეგ

ნუგზარ სუარიძის ფოტო

სუმო

## ტოჩინოშინი ელიტას უახლოვდება

ვერა და ვერ მოახერხა ქართველმა ფალავანმა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** აკი ბაშოზე ზედიზედ ორი გამარჯვების მოპოვება. წინა დღის გამარჯვებას გუშინ მან **იოშიკაძესთან** იორიკირით მარცხი მიაყოლა. კოკაი უკვე ისეთ რიკიშებთან აგებს, როგორიც ეს 25 წლის მე-15 მაეგაშირაა. იოშიკაძე ერთხელ მეცხრე მაეგაშირა იყო და ეს იყო იაპონელის ყველაზე დიდი მიღწევა კარიერაში. გუშინდელი მარცხის შემდეგ კოკაის კვლავ ნულოვანი ბალანსი აქვს - 2:2. შეგახსენებთ, რომ ქართველი ახლა მხოლოდ მე-12 მაეგაშირაა, ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულება მას შესაძლოა ელიტური დივიზიონიდან გავარდნადაც კი დაუჯდეს.

დღეს კოკაის მეტოქე მე-16 მაეგაშირა **კაკიძოეა**, კოკაის დარად ყოფილი კომუსუბი. ურთიერთშეხვედრებში კოკაი კაკიძოეს 8:4-ს უგებს, ამასთან ბოლო სამი დაპირისპირება ქართველის სასარგებლოდ დასრულდა. ძალიან კარგად დაიწყო ბაშო მაკუშიტას დივიზიონის მე-6 ნომერმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. მან მეორე ბრძოლაც მოიგო, ამჯერად მონღოლ **ტაკუსეგავასთან** იორიკირის ილეთით.

**V დღე: კოკაი-კაკიძოე, ჰაკუჰო-ჰოკუტორიკი, ჩიოტაიკაი-ამა, კოტოოშუ-კაკურიუ, კაიო-დეჯიმა, კოტომიცუკი-ვაკანოსატო, ამინიშიკი-ასასეკირიუ, კისენოსატო-ტოჩინონადა, მიაბიამა-ტოკიტენკუ, ჰომაშო-ტოიონოშიმა, ტოიოჰიბიკი-კოტოშოგიკუ, ივაკიამა-ტამანოშიმა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველო არგენტინა 3:33. კომენტარები

# ზირაქაშვილი რომ არ გასულიყო...




დავით ზირაქაშვილი (მარცხნივ) არგენტინასთან მატჩში

**ლევან მაისაშვილი,**
ლელოს მწვრთნელი:

- მოდით, ჯერ დადებითზე ვისაუბროთ. ყველაზე მეტად პირველ ტაიმში ის მომეწონა, რომ ბოჭვაზე, რაკსა და მოლში ძალიან მაღალ დონეზე ვითამაშეთ. ამ კომპონენტებში არგენტინა მსოფლიოში თუ ყველაზე ძლიერი არაა, არც არავის ჩამოუვარდება. ისიც უნდა აღვნიშოთ, რომ არგენტინელები ჩვენთან ასეთი თამაშით ირლანდიასთან სათამაშოდ ემზადებოდნენ. თუ მათ ირლანდიის დამარცხება სურთ, სწორედ ისე უნდა ითამაშონ, როგორც ჩვენთან. გაშლილ თამაშში მათ შანსი არ ექნებათ.

საკმაოდ ძლიერი ჰყავთ 9 და 10 ნომრები, რასაც ჩვენს გუნდზე ვერაფერით იტყვი. უკანა ხაზი ვერაფერს იზამს, თუ სტატიკიდან ბურთი დროზე არ გაიტანა 9 ნომერმა. ამასთან ძალიან დიდი წუნი იყო ფეხით თამაშისას.

მეორე ტაიმში, მას შემდეგ რაც ზირაქაშვილი დაშავდა და შეცვალეს, წავაგეთ რამდენიმე საკუთარი შერკინება და დერეფანი. ამან ცხადია ძალიან ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. არადა, მატჩის განმავლობაში ორი ლელოს გატანის რეალური შანსი გვქონდა. ერთხელ პირველ ტაიმში ბიჭები აჩქარდნენ და შანსი ვერ გამოიყენეს, რასაც მე მხოლოდ ფსიქოლოგიურ მომენტს დავაბრალებდი. მეორე მომენტი კი მეორე ნახევარში იყო. აქ ხუთმეტრიანი დერეფანი ვერ მოვიგეთ. როგორც გამოჩნდა, დავით ზირაქაშვილი ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა და თუ მისი ტრავმა სერიოზულია, ეს დიდი დანაკლისი იქნება.

**ლევან ცაბაძე**
რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე:

- არგენტინასთან პირველი ტაიმი უნდა მოგვეგო, მაგრამ ცუდია, რომ ჩვენ გუნდს არ აქვთ ასეთი დონის გუნდებთან თამაშის გამოცდილება. ბიჭები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყვნენ, რაც მათ თამაშზეც აისახა. ძალიან დაგვაკლდა დავით ზირაქაშვილი. ჩემი აზრით, სწორედ მოედნიდან მისმა გასვლამ გამოიწვია ასეთი შედეგი, თორემ ვერავინ დამაჯერებს, რომ არგენტინა 15 ქულაზე მეტს მოგვიგებდა. ბიჭებმა თავი დადეს, მოინდომეს, ვაჟკაცურად იბრძოლეს და მათზე აუგის სათქმელად ენა არ მომიბრუნდება. პირიქით, მიმაჩნია, რომ ისინი გმირები არიან. აფერუმ მათ ვაჟკაცობას.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ჯონამ შეგვაქო

**საქართველო-არგენტინის ტელერეპორტაჟის დროს ტრიბუნაზე უთუოდ შეამჩნევდით ზელანდიელ ჯონა ლომუს, რაგბის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდეს ვარსკვლავს. აი მისი კომენტარიც.**




ჯონა ლომუ

- როდესაც თამაშამდე ქუჩაში გავისეირნე, თავი არგენტინაში ან საქართველოში მეგონა - იმდენი დროშა და ამ ორი გუნდის მხარდამჭერი დავინახე. მატჩისას გაოგნებული დავრჩი - როგორ გაუმჯობესებია თამაში საქართველოს 2003 წლის მსოფლიო თასის შემდეგ. ძალიან მებრძოლი გუნდია და მინიმალური სხვაობა დიდხანს შეინარჩუნა.

განსაკუთრებით მომეწონა **ლაბაძე** და **უდესიანი**, რომლებიც შერკინებას კარგად წინამძღოლობდნენ დაცვაშიც და შეტევაშიც. უკანა ხაზში **მაჩხანელმა** შეასრულა რამდენიმე ძალიან მაგარი ბოჭვა და საერთოდ, მთელმა გუნდმა მართლა კარგად ითამაშა. ისინი მთელი მატჩი მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ **ლუკას ბორხესის** მეორე ლელოს შემდეგ არგენტინამ თამაში იპოვა. "პუმებისა" ძალიან გამიკვირდა - დასაწყისში მათ თამაშს გეზი არ ეტყობოდა. გუნდს **აუგუსტინ პიშო** აკლდა, როგორც შერკინებასა და უკანა ხაზს შორის მეკავშირე, მაგრამ შემდეგ **კონტეპომიმ** და **ერნანდესმა** თავისუფალი სივრცეები გამონახეს. არგენტინამ უკვე კარგად შეუხამა ერთმანეთს შერკინების ძალა, ბეკების სიმარდე და ქართველების დაცვა როგორც იქნა, გაარღვია. მათ ვერ ითამაშეს ისე ძლიერად, როგორც ფრანგებთან, მაგრამ მაინც მოახერხეს პრემიალური ქულის აღება. ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგეს ჯგუფური ტურნირის ბოლოს.

**12 სექტემბერი. მონპელიე. A**

**აშშ-ტონგა 15:25**

აშშ: (15-9) ვაილსი, სიკა, ტუიპოლოტუ, ესიკია (ელოფი 61), ნგვენია, ჰერკასი, ერსკინი; (1-8) მაკდონალდი (მოაეკიოლა 54), ლენცი (ბარდეტი 47), ოსენტოვსკი, პარკერი, მანგანი, სტენფილი, ქლევერი, ბლუმფილდი (ბასაური 54) - *2ლ (მაკდონალდი, სტენფილი); გ,ს (ჰერკასი)*

ტონ: (15-9) ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე (ტუპოუ 71), ვაკა (ჰავილი 61), ჰოლა, ჰავეა (ტუიპოლოტუ 41); (1-8) ტონგაუიჰა (ტოკე 66), ლუტუი (ტაუფაკა 76), პულუ, ფააოსო, ჰეჰეა, თი-პოლე, ლატუ (ვაკი 65), მაკა (ფილიპინე 65) - *3ლ (მაკა, ვაკა, ვაკი); 2გ,2ს (ჰოლა)*

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს.აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 59-7 | 1 | 5 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 28-10 | - | 4 |
| ტონგა | 1 | 1 | 0 | 0 | 25-15 | - | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 25-53 | - | 0 |
| სამოა | 1 | 0 | 0 | 1 | 7-59 | - | 0 |

14 სექტ., 23:00 ინგლისი-სამხ. აფრიკა

**12 სექტემბერი. ტულუზა. B**

**იაპონია-ფიჯი 31:35**

იაპ: (15-9) არუგა (ონოზავა 60), ლოამანუ, იმამურა, ონიში, ენდო, რობინსი, იოშიდა (იატომი 58, ტაირა 65)); (1-8) ნიშიურა, მაცუბარა, სომა (იამამურა 68) , ონო, თომპსონი, მაკირი, ორეილი, მიუჩი - *3ლ (თომპსონი 2, სომა); 2გ,4ს (ონიში)*

ფიჯ: (15-9) რატუვოუ, დელასაუ სბ 40 (ლიგაირი 70), რაბენი, ბაი, ნეივუა, ლითლი, რაულუნი; (1-8) დიუისი, კოტო, ქიოდრავუ (რაილომო 68), ლეავერე, ლევარავუ, ნაევო, ქერა (რატუვა 58), კოიამაიბოლე (ტალეი 68) - *4ლ (ქერა 2, რაბენი, ლეავერე); 3გ,3ს (ლითლი)*

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 91-3 | 1 | 5 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 42-17 | 1 | 5 |
| ფიჯი | 1 | 1 | 0 | 0 | 35-31 | 1 | 5 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 34-126 | 1 | 1 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 17-42 | - | 0 |

15 სექტემბერი, 17:00 უელსი-ავსტრალია

**12 სექტემბერი. მარსელი C**

**იტალია-რუმინეთი 24:18**

იტა: (15-9) ბორტოლუსი (გალონი 49), რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, მაზი, პესი, გრიფენი (ტრონკონი 49); (1-8) ლოჩიჩერო, ფესტუჩა, კასტროჯოვანი, დელაპე (ბერნაბო 8), ბორტოლამი, სოული (ვოსავაი 49), მაურო ბერგამასკო, პარისე - *2ლ (დელაპე, საჯარიმო), გ (პესი); 4ს ( ბორტოლუსი, პესი 3)*

რუმ: (15-9) დუმიტრაში (ვლადი 79), ფერკუ, გალი, გონტინიაკი, ბრეზოიანუ, დიმოფტე, სირბუ (კალაფეტიანუ 79); (1-8) ტოდერაშკი (პოპესკუ 64), ტინკუ (მავროდინი 70), ბ. ბალანი, სოკოლი, პეტრე, კოროდიანუ, მანტა სბ 53 (ტუდორი 80), ტონიცა (რაციუ 72) - *2ლ (მანტა, ტინკუ); გ,2ს (დიმოფტე)*

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 76-14 | 1 | 5 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 56-10 | 1 | 5 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 38-94 | - | 4 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 18-24 | 1 | 1 |
| პორტუგალ. | 1 | 0 | 0 | 1 | 10-56 | - | 0 |

15 სექტ., 15:00 ზელანდია-პორტუგალია

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 50-15 | 1 | 9 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 32-17 | 1 | 5 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 12-17 | 1 | 1 |
| ნამიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 17-32 | - | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 3-33 | - | 0 |

15 სექტ., 23:00 ირლანდია-საქართველო

# მიეცით შანსი ქართველებს

## ფერნანდეს ლობე მემკვიდრედ მიგვიჩნევს

**არგენტინის ნაკრების ფლანკერი ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, რომელიც ინგლისურ "სეილ შარქსში" თამაშობს, დარწმუნებულია, რომ რამდენიმე წელიწადში არგენტინელთა მაგალითს კიდევ რამდენიმე სარაგბო ნაკრები გადაიღებს და მსოფლიო რაგბის ელიტას შეუერთდება. ლობემ ასეთებში უპირველესად საქართველოს ნაკრები იგულისხმა.**

- შედარებით სუსტი სარაგბო ქვეყნები, ისეთები როგორც საქართველოა, დიდ პროგრესს განიცდიან და მალე ისინი ერთი საფეხურით მაღლა ავლენ. საქართველოსთან მატჩში ტემპი და დაძაბულობა ისეთივე იყო, როგორც გახსნის მატჩში საფრანგეთის წინააღმდეგ. და რაც მთავარია, ამას მე იოტისოდენად არ გავუკვირებივარ. ეს მსოფლიო თასია, ყველა გუნდი მომზადებულად ხვდება ჩემპიონატს. საქართველომ თასზე პირველი მატჩი ითამაშა და დიდი შემართებითაც. ცოტა ხნით ადრე ჩვენც ასეთ დღეში ვიყავით. ისინიც თუ ბევრს იმუშავებენ და ყოველ მატჩში ასეთივე შემართებით გამოვლენ, უკეთეს შედეგებს მიაღწევენ. ვიმედოვნებ, რომ ყველა ნაკრები შეძლებს პროგრესის მიღწევას. კარგი იქნება, თუ სადაც საჭიროა შეიგნებენ, რომ რაგბი მხოლოდ ხუთი ქვეყნის საკუთრება არაა. იქნებ, ასეთი თამაშის შემდეგ საქართველოს დარ გუნდებს მეტი ყურადღება მიაქციონ.

ქართველებთან მატჩი ფიზიკურად ძალიან დამღლელი იყო, მეტოქე ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია. მატჩის შემდეგ ინგლისელმა **ჯეისონ რობინსონმა** მესიჯით მომილოცა დიდი გამარჯვება. ისეთი ბედნიერი ვიყავი გამარჯვებით, რომ უკიდურესი დაღლილობა მხოლოდ მატჩის შემდეგ, ემოციების განელების შემდეგ ვიგრძენი. ისე, საგიჟეთია ფრანგებთან მატჩის შემდეგ მხოლოდ ორდღიანი ვარჯიში და შემდეგ ქართველებთან თამაში, ნამდვილი საგიჟეთი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე თამაშის შემდეგ

# მაკა, ვაკა და ვაკი

დღეს მსოფლიო თასზე დასვენების დღეა, გუშინ კი სამი მატჩი გაიმართა. ამერიკასა და ტონგას ჯგუფში მაჩანჩალის ვინაობა უნდა გაერკვიათ. აშშ უმეტესწილად უტევდა ტონგელებს და 104 ბოჭვაც შეასრულებინა თავიანთი 38-ის წილ, მაგრამ ანგარიშში სულ ჩამორჩებოდა. ტაიმი ტონგამ 13:3 მოიგო, მინიმალური სხვაობა, 18:15, 67 წუთზე აღინუსხა, მაგრამ ტონგამ თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გადამწყვეტი ლელო გაიტანა. სათაურად გამოტანილი სამი სიტყვა კი ტონგელთა მელელოვეების გვარებია!

იაპონიამ და ფიჯიმ თითო პრემიალური ქულა ჩაიწერეს. იაპონია სამჯერ დაწინაურდა ფავორიტთან, ბოლოს - 52-ე წუთზე (19:17), ხოლო 62-ეზე ქულამდე შეამცირა სხვაობა - 24:25. ფიჯიმ თავი მხოლოდ დასრულებამდე 9 წუთით ადრე დაიარხეინა 35:24, თუმცა, იაპონიამ ბოლო წუთზე სხვაობა მაინც შეამცირა - 31:35.

იტალიამ ტაიმი 8:0 მოუგო რუმინეთს, მაგრამ მეორის დასაწყისში ორი ლელო გაუშვა და 8:12 ჩამორჩა. 53-ე წუთზე მსაჯმა რუმინელებს **მანტა** გაუსინბინა და 2 წუთში ხუთმეტრიანი შერკინების ორჯერ ჩაქცევისთვის საჯარიმო ლელოთიც დასაჯა - 15:12, დარჩენილ დროში კი იტალიას სამი საჯარიმო უბოძა, რუმინეთს - ორი - 24:18.



იტალია-რუმინეთი

## სხვადასხვა

ჩოგბურთი

### გერმანია კიფერის გარეშე ითამაშებს

ჩვენ უკვე გაგაცანით დევისის თასის ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების შემადგენლობა. როგორც იცით, რუსები 21-23 სექტემბერს მოსკოვში მიიღებენ გერმანიის ნაკრებს.

სტუმართა გუნდის კაპიტანმა **პატრიკ კიუნენმა** გუშინ დაასახელა თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა. ერთეულთა მატჩებს ბუნდესგუნდის ლიდერი **ტომი ჰაასი** და **ფილიპ კოლშრაიბერი** ითამაშებენ. წყვილთა შეხვედრაში კი, **ალექსანდერ ვასკეს** პარტნიორი დებიუტანტი, **ფილიპ პეტცშნერი** იქნება. ამ უკანასკნელმა ნაკრებში ტრავმირებული **მიხაელ კოლმანი** შეცვალა. სწორედ კოლმანს უნდა ეთამაშა ვასკესთან წყვილში.

კიუნენს ორი რეზერვისტიც ჰყავს შეგულებული. ესენი არიან **ფლორიან მაიერი** და **მატიას ბახინგერი**. რაც შეეხება **ნიკოლას კიფერს**, ის მოსკოვში არ ჩავა. კიუნენს არ აწყობს ჩოგბურთელის სათამაშო ფორმა, ვინაიდან ტრავმის გამო, კიფერი დიდი ხანწ ვერ გადიოდა კორტზე.

### შვედებს სიოდერლინგი დააკლდებათ

დევისის თასზე მეორე ნახევარფინალი სტოკჰოლმში გაიმართება, სადაც შვედეთი ამერიკას უმასპინძლებს. სააგენტო "როიტერი" შვედურ ტელეარხ SVT-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი ექნებათ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მაჯის ტრავმის გამო ნაკრებში ვერ ითამაშებს **რობინ სიოდერლინგი**. მან მონრეალის მასტერსზე მიიღო დაზიანება და ამის გამო, აშშ-ის ღია პირველობის გამოტოვება მოუხდა.

*"დღეისათვის, რობინის თამაში გამორიცხულია. მსგავსი ტრავმა სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს"*, - აცხადებს შვედეთის ნაკრების მწვრთნელი **პეტერ კარლსონი**.

### კარლოვიჩმა ხორვატიას უგანა

21-23 სექტემბერს, დევისის თასზე არამარტო მსოფლიო ჯგუფის გუნდები ითამაშებენ. ასევე გაირკვევა საგაისოდ, ელიტურ ჯგუფში გადამსვლელი ნაკრებების ვინაობა. ერთ-ერთ ასეთ საფლეიოფო მატჩში, უიმბლდონის კორტებზე ბრიტანეთი ხორვატიას შეხვდება.

გაუგებარი მიზეზების გამო, სტუმართა რიგებში გამოსვლაზე უარი განაცხადა **ივო კარლოვიჩმა** და ამის გამო, ხორვატების საბოლოო შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო: **ივან ლუბიჩიჩი, მარინ ჩილიჩი, როკო კარანუშიჩი** და **ლოვრო ზოვკო**.

შეგახსენებთ, რომ ამ მატჩის შემდეგ, კარიერას დაასრულებს ბრიტანელი ჩოგბურთელი **ტიმ ჰენმანი**.

### ანენი სამი კვირა დაისვენებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** უარი თქვა ჩინეთის ღია პირველობაში მონაწილეობაზე, რომელიც მომავალ კვირას პეკინში დაიწყება. ბელგიელმა ჩოგბურთელმა, ვინც წინა კვირას აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, უარის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა.

ანენის აგენტის, **კენ მეიერსონის** მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ჟუსტინს ძალიან უნდოდა ჩინეთში თამაში, მით უმეტეს, რომ გაისად აქ ოლიმპიური თამაშები გაიმართება. *"ანენს ბრიუსელში ექიმთან ვიზიტი ჰქონდა და მან ჩოგბურთელს სამკვირიანი პაუზის აღება ურჩია"*, - განაცხადა მეიერსონმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ ბელგიელი შტუტგარტის ტურნირშიც ვერ ითამაშებს, რომელიც 1 ოქტომბერს აიღებს სტარტს.

ჰოკეი

### ფიოდოროვი შეიძლება გაცვალონ

ცნობილი რუსი ჰოკეისტი **სერგეი ფიოდოროვი**, რომელიც გაისად შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი ხდება, შესაძლოა მოახლოებული რეგულარულის მსვლელობისას, სხვა გუნდში აღმოჩნდეს.

რუსი ფორვარდის ამჟამინდელი კლუბის, "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ხელმძღვანელობა ამგვარ ნაბიჯს იმ შემთხვევაში გადადგამს, თუ გუნდი ცუდად დაიწყებს 2007-08 წლების სეზონს.

### ტორონტოს ბოუმენის გადაბირება უნდა

"ტორონტო მეიპლ ლივზს" სამწვრთნელო შტაბის გაძლიერება სურს. კანადური კლუბის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს ლეგენდარულ **სკოტი ბოუმენთან**. ეს უკანასკნელი თავდაპირველად უარყოფდა მოლაპარაკებების ფაქტს, მაგრამ როგორც ირკვევა, ამ დღეებში ბოუმენი "ტორონტოს" მფლობელ **ლარი ტენენბაუმს** შეხვდა, რომელზეც სკოტის კონსულტანტის პოსტზე დანიშვნა განიხილებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბოუმენი "დეტროიტ რედ უინგზში" უკვე მუშაობს ანალოგიურ თანამდებობაზე.

### დანჰემმა კარიერა დაამთავრა

ახალი სეზონის წინ, კიდევ ერთმა ცნობილმა ჰოკეისტმა დაასრულა კარიერა. თამაშს აღარ გააგრძელებს "ნიუ იორკ აილენდერსის" მეკარე **მაიკ დანჰემი**. 35 წლის ჰოკეისტმა NHL-ში 10-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ შეწყვიტა კარიერა.

როგორც ცნობილი ხდება, დანჰემი მომავალი კვირიდან "აილენდერსის" მეკარეთა მწვრთნელის პოსტს დაიკავებს.

### კროსბიმ კურიერობა შეითავსა

"პიტსბურგ პინგვინზის" ჰოკეისტებმა - **სიდნი კროსბიმ, მარკ-ანდრე ფლერიმ, მაქსიმ ტელბოტმა, რაიან უიტნიმ, კოლბი არმსტრონგმა** და **ევგენი მალკინმა** კლუბის მიერ ორგანიზებულ აქციაში მიიღეს მონაწილეობა. ეს მოთამაშეები მთელი დღის განმავლობაში კურიერის როლს ასრულებდნენ და "პიტსბურგის" გულშემატკივრებისთვის შინ მიჰქონდათ სასეზონო აბონემენტები.

*"ძალიან საინტერესო იყო ადამიანების რეაქციაზე დაკვირვება, თუ როგორ იცვლებოდა მათი სახის გამომეტყველება, როცა სახლის კარზე საყვარელი გუნდის ჰოკეისტები უკაკუნებდნენ. ეს აქცია ყველას ძალიან მოეწონა. ზოგიერთი გულშემატკივარი აბონემენტს უკვე 30 წელია ყიდულობს, ასე რომ, საინტერესო იყო მათთან შეხვედრა და გასაუბრება. ჩვენ მათ ასეთი მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდიდით"*, - აცხადებს შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე სიდნი კროსბი.

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. სპაიგეიტი

# მონტეძემოლო იმედოვნებს



ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო

"ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო** ამბობს, რომ კმაყოფილი დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუ მისი გუნდი კონსტრუქტორთა პირველობაზე "მაკლარენის" დისკვალიფიკაციის წყალობით გაიმარჯვებს. ჩვენ ამ ტიტულს ვიმსახურებთ, და თუ ტიტულს ჩემპიონატიდან "მაკლარენის" მოხსნის შემდეგ მივიღებთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მას არ ვიმსახურებთო, - ამბობს მარანელოელთა შეფი.

შეგახსენებთ, რომ დღეს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მოტორ სპორტის საბჭო ტექნოლოგიური შპიონაჟის საქმეს განიხილავს, რომელშიც "მაკლარენს" მეტოქე "ფერარის" ტექნიკური ინფორმაციას თავის სასარგებლოდ გამოყენებაში ედება ბრალი. ფედერაციის "მაკლარენის" ხელმძღვანელობა უკვე გაფრთხილებული ჰყავს, რომ ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, გუნდი მოიხსნება როგორც წლევანდელი ასევე მომავალი წლის ჩემპიონატიდანაც.

არაა გამორიცხული, რომ "მაკლარენის" პილოტებს ქულები შეუნარჩუნდეთ, ან ჯარიმის სახით, ქულების გარკვეული რაოდენობა ჩამოაკლდეთ. იმის ალბათობა კი, რომ "მაკლარენი" კონსტრუქტორთა პირველობიდან მოიხსნება, გაცილებით დიდია.

"ფერარი" ამტკიცებს, რომ მისმა ყოფილმა ინჟინერმა, ინგლისელმა **ნაიჯელ სტეპნიმ** იტალიური გუნდის ახალი ბოლიდის შესახებ არსებული ტექნიკური ინფორმაცია, საერთო ჯამში 780 გვერდი, "მაკლარენის" მთავარ ინჟინერს (ან უკვე ყოფილს), **მაიკ კაფლინს** გადასცა.

გამოძიებამ დაადასტურა "ფერარის" ეს ბრალდება, თუმცა საქმის პირველი მოსმენის შემდეგ, "მაკლარენი" იმ მარტივი მიზეზის გამო არ დაისაჯა, რომ ინგლისურ გუნდს არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ვერ დაუმტკიცა.

მოგვიანებით, ფია-მ საქმე ხელმეორე მოსმენისთვის განაახლა. ამასთან, გამოცხადდა, რომ მოპოვებულია ახალი მტკიცებულებანი. გუნდებს გაეგზავნათ მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირის ალიარებითი ჩვენება გათვალისწინებულ იქნება განაჩენის გამოტანისას.

*"ეს სრულიად დამსახურებული გამარჯვება იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ის გუნდი, რომელსაც შეიძლება შედეგი გაუუქმდეს, წინ არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციის წყალობით გავიდა და არც ჩემპიონობას იმსახურებს"*, - ფრანკფურტში გახსნილ საავტომობილო შოუზე გამოსვლისას განაცხადა მონტეძემოლომ.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში "მაკლარენის" პილოტებს ერთი რბოლაც არ მოუგიათ, მაგრამ ამ სეზონში ჩატარებული 13 დიდი პრიზიდან შვიდი (ოთხი ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** და სამი **ლუის ჰემილტონმა**) მოიპოვეს და სოლიდური უპირატესობით უსწრებენ "ფერარის" პილოტებს, **კიმი რაიკონენსა** და **ფელიპე მასას**.

ბევრი შექმნილ სიტუაციას "მაკლარენის" შეფ **რონ დენისსა** და ფია-ს პრეზიდენტ **მაქს მოსლის** შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას მიაწერს. ამის თაობაზე დენისს "მონცაზე" გამარჯვების შემდეგაც ჰკითხეს, რაზეც, რა თქმა უნდა, მან პირდაპირი პასუხისგან თავი შეიკავა.

სამაგიეროდ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბრიტანელი **ჯეკი სტიუარტი** ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მეგობრული ურთიერთობა დამყარდა "ფერარისა" და ფია-ს ხელმძღვანელობას შორის, რაც ხშირად, ფია-ს მიერ იტალიური გუნდისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღებაში აისახება. დაახლოებით იმავეს ამბობს "უილიამსის" შეფი **ფრენკ უილიამსი**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

ვარსკვლავთა დუელი

# გაი პაუელს თავს არიდებს



ჩემპიონი გაი
რეკორდსმენ პაუელს გაურბის

მსოფლიოს ჩემპიონმა სპრინტში, ამერიკელმა **ტაისონ გაიმ** უარი განაცხადა ოქროს ლიგის სერიის ბრიუსელის ტურნირზე მონაწილეობაზე, სადაც ბევრი მოუთმენლად ელოდა მისი და მსოფლიოს იამაიკელი რეკორდსმენის, **ასაფა პაუელის** დაპირისპირებას.

ტურნირის ორგანიზატორებისადმი მიწერილ წერილში, გაიმ თავი იმით იმართლა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვერ მოასწრო ძალების აღდგენა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა სპრინტერმა ოსაკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა. ორი ინდივიდუალურად - ას და ორას მეტრზე სპრინტში, ერთიც - 4X100 მეტრზე ესტაფეტაში.

არადა, მოსალოდნელი იყო, რომ გაი ბრიუსელში ორივე სპრინტერულ დისტანციაზე იასპარეზებდა. *"ტაისონ გაის ბევრი რამ აქვს დასაკარგი, ჩვენს ტურნირზე კი ბევრს ვერაფერს მოიგებდა. ჩვენ გვესმის მისი. ოსაკაში მან მეტად დაძაბული გრაფიკით იასპარეზა და ძნელი წარმოსადგენია, ასეთ მოკლე დროში ძალები აღედგინა"*, - ნათქვამია ბრიუსელის ტურნირის ორგანიზატორ **ვილფრედ მეერტის** განცხადებაში.

რაც შეეხება პაუელს, ვინც ოსაკადან შინ ხელმოცარული - მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა, ახლახან მან იტალიის ქალაქ რიეტიში მსოფლიოს რეკორდი განაახლა - წინასწარ გარბენში ასი მეტრი 9.74 წამში გაირბინა, ფინალში კი დისტანცია 9.78 წამში დაფარა.

გაი ბრიუსელში არ მიდის, სამაგიეროდ, გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ სეზონის დასრულებამდე სამ აზიურ ტურნირზე გამოვიდეს. გაის სამენეჯერო კომპანიის პრესმდივნის განცხადებით, სპრინტერი შანხაის (ჩინეთი), იოკოჰამასა (იაპონია) და დაეგუს (სამხრეთი კორეა) ტურნირებზე გამოსვლას გეგმავს.

მათგან პირველი შანხაის ტურნირია, რომელიც 28 სექტემბერს გაიმართება. ორ დღეში მას მოსდევს იოკოჰამას ტურნირი, დაეგუში კი ასპარეზობა 3 ოქტომბერს ჩატარდება.

## ველოსპორტი

ვუელტა

# პეტაკიმ თავი გაგვახსენა

იტალიელი **ალესანდრო პეტაკის** გამარჯვებით დასრულდა ესპანური ვუელტის მორიგი, მე-11 ეტაპი, რომლის სპრინტერულ ფინიშზეც მან თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონი, **პაოლო ბეტინი** და გერმანელი თანაგუნდელი **ერიკ ცაბელი** დაამარცხა. ეს პეტაკის მიერ დიდ ტურებზე მოგებული 46-ე ეტაპია, რომელთაგან 18 ვუელტაზე მოდის.

იტალიელმა ველომრბოლმა მიმდინარე ვუელტაზე არცთუ კარგი სტარტი აიღო - პირველი და მეექვსე ეტაპების საფინიშო სპურტებში კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შესაბამისად, მესამე და მეექვსე ადგილებს დასჯერდა, რაც მისი კალიბრის ველომრბოლისთვის აშკარად არადამაკმაყოფილებელი შედეგი იყო.

მაგრამ ამჯერად, თავისი თანაგუნდელების და განსაკუთრებით, ცაბელის შემწეობით, პეტაკიმ, როგორც იქნა, მიზანს მიაღწია. სპურტის დასაწყისში, იტალიელი ცაბელს მიჰყვებოდა, მერე კი უცებ აჩქარდა და ყველა მეტოქე, მათ შორის, იმ მომენტის ლიდერი ბეტინიც იოლად ჩამოიტოვა.

*"ეს გამარჯვება ჰაერივით მჭირდებოდა. ყველამ კარგად იცის, რა პრობლემები შემექმნა ჯიროს შემდეგ. ვიმედოვნებ, მალე ამ პრობლემებს წერტილი დაესმება. სწორედ მათ გამო ვერ გამოვედი ფრანგულ ტურზე, რამაც ფორმიდან ამომაგდო"*, - განაცხადა პეტაკიმ.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ლიდერთა განლაგებაში არაფერი შეცვლილა - ოქროსფერი მაისური კვლავ რუსი **დენის მენშოვს** აცვია, ვინც თითქმის ორ წუთს უგებს მეორეზე მყოფ თანამემამულე **ვლადიმირ ეფიმკინს**.

მე-10 ეტაპი. კასტელონიდან ალგემესიმდე (191.3 კმ)

**1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 4:45.34 (40.19 კმ/სთ); 2. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) იგივე დროში; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 4. ანდრე გრაიპელი (გერმანია, ტე-მობილი); 5. კარლოს და კრუსი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ); 6. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 7. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი); 8. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრეფონდიტალი); 9. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი); 10. ალესანდრო ვანოტი (იტალია, ლიკიგაზი)...**

კლასიფიკაცია 10 ეტაპის შემდეგ

**1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 44:27.25; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 4.35; 6. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.42; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.49; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.56; 9. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 6.28; 10. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 6.34...**

ევროპასკეტი 2007

# პარკერი თუ კირილენკო?

ძალიან ბევრს ნიშნავენ თავიანთი გუნდებისთვის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე NBA-ს ვარსკვლავები. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ამპლუის გახლავთ ესა თუ ის ლეგიონერი. მთავარია, იგი თავისი გუნდის ყველაზე ქარიზმატული, საჭირო წევრი და ულაპარაკო ლიდერია. ზღვა კომპლიმენტები ეკუთვნით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერ **დირკ ნოვიცკის**, ფრანგების ვერცხლისწყალივით სწრაფ ფლეიმეიქერს, ჯერაც პროგრესირებად **ტონი პარკერს**, რუსების ფორვარდ **ანდრეი კირილენკოს**, ლიტველ გენიოს **შარას იასიკიავიჩუსს**, სლოვენიელ ცენტრ **რაშო ნესტეროვიჩსა** და ესპანელთა ერთბაშად 4 წევრს.

ამათგან ორი - პარკერი და კირილენკო მეოთხედფინალში დაეჯახება ერთმანეთს და ამ წყვილში (საფრანგეთი-რუსეთი) გამარჯვებულს, თითქმის გარანტირებული ექნება პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა. ევროპიდან ჩინეთში სამი საგზური თამაშდება, მაგრამ ესპანეთი მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით უკვე ჩინეთშია და თუ სასწაული არ მოხდა, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლაც არ უნდა გაუჭირდეს. ასე რომ, ნახევარფინალში გასვლა თითქმის ოლიმპიადის საგზურს ნიშნავს.

რუსებს მეოთხედფინალში სლოვენია ან ლიტვა რომ აეცილებინათ, ხორვატებისთვის აუცილებლად უნდა მოეგოთ. **დევიდ ბლატის** გუნდი დაახლოებით ისევე თამაშობდა, როგორც მანამდე ამ ტურნირის ყველა მატჩში.

თავიდან მთელი აქცენტი კირილენკოზეა, რომელიც უკან აწეულ ფორვარდს თამაშობს და გამთამაშებლის ფუნქციებსაც ითავსებს. ხოლო, როდესაც მეტოქე "იუტას" ფორვარდზე ორმაგ მეურვეობას აწესებს, მერე რუსები თამაშს შლიან და სასროლად ხუთეულის პრაქტიკულად ყველა წევრი გაჰყავთ.

უბრალოდ, ამჯერად ხორვატებმა მეტოქეს კომფორტულად დაწინაურება ბარე მესამე მეოთხედის შუაწელამდე არ დაანებეს. კაცმა არ იცის, კიდევ როგორ წაუვიდოდა საქმე ბლატის გუნდს, ხორვატების ვარსკვლავს, **ზორან პლანინიჩს** თავიდანვე სამი უაზრო ფოლი რომ არ მიეღო.

რუსების წინ გასვლა და მეტოქის გატეხვა კი ერთი იყო. კირილენკომ თავისი საშუალო მონაგარი ამჯერადაც უპრობლემოდ დააგროვა, **ვიქტორ ხრიაპამ** ფარქვეშ იჯაჯგურა და ზედიზედ მესამე ორმაგ დუბლამდე სულ მცირედი დააკლდა, ხოლო ბლატმა კი პირველად ტურნირზე დიდი სათამაშო დრო მისცა უკანახაზელ **ნიკოლაი პადიუსს**, რომელმაც სამივე საშუალო სროლა გამოიყენა და 5 შედეგიანი გადაცემით მატჩის საუკეთესო მეპასე გახდა.

ხორვატებს თავიანთი ცენტრის, **მარიო კასუნის** დიდი იმედი ჰქონდათ. ამ ბობოლა ახალგაზრდამ წინა ორ მატჩში ლამის მარტომ წაღეკა ფარი, მაგრამ ამჯერად იგივე ვერ გააკეთა. საბოლოოდ, მარიომ 19 წუთში 4 ფოლი მიიღო და შეხვედრა 2 შეცდომითაც ჩაამთავრა.

რუსებმა მოიგეს და წინ ურთულესი მატჩი ელით, თუმცა ბლატი მიიჩნევს, რომ მეოთხედფინალში გასულთაგან, ესპანეთის გამოკლებით, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველას აქვს.

*"ერთი თამაშის მოგებაა საჭირო. თუ არ ჩავთვლით ესპანეთს, რომელსაც არაჩვეულებრივი შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს და საკუთარ მოედანზე ატარებს შეხვედრებს, დანარჩენი შვიდი გუნდი თანაბარ პირობებშია. საფრანგეთი, ლიტვა, სლოვენია, საბერძნეთი, ჩვენ - მოგება ყველას შეგვიძლია. გააჩნია, ვინ რა განწყობით გავა მოედანზე. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფლეიოფისთვის მოთამაშეებს დამატებითი მოტივაცია არ უნდა სჭირდებოდეთ"*, - მიაჩნია დევიდ ბლატს.

ხორვატებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს. მათ ბურთი 19-ჯერ დაკარგეს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეოთხედფინალში ამ გუნდს, ბლატის აზრის მიუხედავად, ლიტვის ან სლოვენიის წინააღმდეგ მატჩში გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდეს.

■ ■ ■

პორტუგალიამ ისრაელი ჯგუფში ჩატოვა, საბერძნეთთან კი მოედანზე ძალების ისეთი თანაფარდობა იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ბებერი კონტინენტის ჯერაც მოქმედი ჩემპიონი მარტო პირველ მეოთხედში ღლაბუცობდა, მერე კი ელემენტარული სათამაშო კლასის ხარჯზე გადაჯეგა პორტუგალია.

**პანაიოტის იანაკისის** გუნდი ძალიან კარგად ასრულებდა სამიანებს (18-ში 10 ჩააგდო) და მეტოქის პროგნოზირებადი თავდასხმის წინააღმდეგაც დიდი თავსატეხი არ ჰქონია.

რაც შეეხება ესპანეთს, მასპინძელმა ისრაელთან **ხუან კარლოს ნავარო** დაასვენა და საფლეიოფოდ თავისი ვარსკვლავი სრულ მზადყოფნაში ეყოლება. მომგებმა მოიგო, ხოლო პორტუგალიასა და ისრაელს კი მადლობა ტურნირში მონაწილეობისთვის.

**ზურაბ თალაკვაძე**



კირილენკომ რუსეთი მეოთხედფინალში გაიყვანა

### E ჯგუფი

**რუსეთი-ხორვატია 83:70**

19:21, 22:21, 19:14, 23:14

**რუსეთი:** კირილენკო (20 ქ. 8 მ. 2 ჩ), პაშუტინი (14 ქ), მორგუნოვი (10 ქ).

**ხორვატია:** კუში (17 ქ), როჟიჩი (11 ქ. 4 მ), ბანიჩი (9 ქ), პლანინიჩი (4 ქ. 5 მ. 4 პ).

**საბერძნეთი-პორტუგალია 85:67**

16:17, 29:17, 19:13, 21:20

**საბერძნეთი:** დიკუდისი (17 ქ. 9 მ. 2 პ), დიამანტიდისი (13 ქ. 3 მ), სპანულისი (10 ქ. 3 პ), პაპადოპულოსი (9 ქ. 4 მ), პაპალუკასი (8 ქ. 5 მ. 4 პ).

**პორტუგალია:** სანტოში (17 ქ), კუნია (10 ქ. 5 მ), ჟორდაო (8 ქ. 2 ჩ), და სილვა (6 ქ. 5 პ).

**ესპანეთი-ისრაელი 99:73**

19:29, 28:19, 27:20, 25:5

**ესპანეთი:** გასოლი (26 ქ. 7 მ), კალდერონი (15 ქ. 2 პ), მუმბრუ (12 ქ. 5 მ. 3 პ), გარბახოსა (12 ქ. 2 მ), რეიესი (9 ქ. 6 მ. 2 პ), რ. ფერნანდესი (7 ქ).

**ისრაელი:** ელიაჰუ (15 ქ. 6 მ. 4 პ), ტაპირო (15 ქ. 7 პ. 3 მ. 3 ჩ), ნაორი (15 ქ. 3 მ), გრინი (9 ქ. 10 მ. 4 პ. 2 დ), ჰალპერინი (7 ქ. 4 პ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 4-1 | 9 |
| 2. რუსეთი | 4-1 | 9 |
| 3. საბერძნეთი | 3-2 | 8 |
| 4. ხორვატია | 2-3 | 7 |
| 5. პორტუგალია | 1-4 | 6 |
| 6. ისრაელი | 1-4 | 6 |

## მერიონი კირილენკოში იცვლება?

რადიოსადგური KTAR-AM, რომლის მთავარი ოფისი ქალაქ ფინიქსში მდებარეობს, იტყობინება, რომ "ფინიქს სანზი" და "იუტა ჯაზი" მოთამაშეების გაცვლის შესახებ აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

კერძოდ, განიხილება რუსი "ჯაზმენის" **ანდრეი კირილენკოს შონ მერიონში** გაცვლის შესაძლებლობა. ჯერჯერობით, ამ ინფორმაციას არცერთი სხვა საინფორმაციო საშუალება არ ადასტურებს.

## ოდენი ოპერაციას გაიკეთებს

წლევანდელი დრაფტის პირველ ნომერს, "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრ **გრეგ ოდენს**, ამ დღეებში მარჯვენა მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ.

როგორც ექიმები ვარაუდობენ, ოდენს მოედანზე დაბრუნება სამი კვირის შემდეგ შეეძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ საწვრთნელი ბანაკების გახსნის მომენტში, გრეგი მწყობრში იქნება და სეზონისთვის სრულფასოვან მომზადებას შეძლებს.

## მორიგი გაცვლა

"ფილადელფია სიქსერზმა" და "დენვერ ნაგეტსმა" მოთამაშეები გაუცვალეს ერთმანეთს. "სიქსერზის" ორი კალათბურთელი, - ფორვარდი **ბობი ჯონსი** და ცენტრი **სტივენ ჰანტერი**, მომავალ სეზონში "დენვერში" ითამაშებენ. ამ უკანასკნელის ფორვარდი **რეჯი ევანსი** კი, საპირისპირო მიმართულებით ფილადელფიაში გაემართა. გარდა ამისა, "სიქსერზმა" პუერტორიკოელ **რიკი სანჩესზე** უფლებებიც მიიღო. ეს კალათბურთელი "ნაგეტსმა" 2005 წლის დრაფტზე აირჩია.

## ალენი ნიუ ჯერსიში გადავიდა

ფორვარდმა **მალიკ ალენმა** თავისუფალი აგენტის სტატუსით "ნიუ ჯერსი ნეტსთან" გააფორმა კონტრაქტი. შარშან, ალენი "ჩიკაგო ბულზის" ღირსებას იცავდა და ამ კლუბთან ხელშეკრულების ვადა გასული სეზონის დასრულების შემდეგ ამოეწურა.

"ნეტსთან" გაფორმებული კონტრაქტის დეტალები უცნობია. 29 წლის ალენს NBA-ში 287 მატჩი აქვს ჩატარებული. ის საშუალოდ ერთ შეხვედრაში 6.0 ქულას და 3.3 მოხსნას აგროვებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

## ტოდტი მაკლარენს დაემუქრა

"ფერარის" სპორტულმა დირექტორმა **ჟან ტოდტმა** პირველი კომენტარი გაუკეთა იტალიის გრან-პრიზე თავისი გუნდის გამოსვლას. როგორც იცით, "მონცაზე" "მაკლარენმა" დუბლი შეასრულა, "ფერარიდან" კი, ფინიშზე მისვლა მხოლოდ **კიმი რაიკონენმა** შეძლო, რომელიც ნახევარი წუთით ჩამორჩა **ფერნანდო ალონსოსა და ლუის ჰემილტონს**.

როგორც ცნობილია, ფაქტობრივად, დღეს წყდება "მაკლარენის" ბედი: ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მსოფლიო საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე, ბრიტანული გუნდი შესაძლოა შპიონაჟში ოფიციალურად დაადანაშაულონ, რასაც, სავარაუდოდ, მკაცრი სანქციები უნდა მოჰყვეს. სასჯელი შეიძლება იყოს წლევანდელი და საგაისო ჩემპიონატიდან გარიცხვა.

იტალიის გრან-პრის შემდეგ ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ თუ საბჭოს გადაწყვეტილება კვლავ "მაკლარენის" სასარგებლოდ იქნება, ის ბრძოლას მაინც გააგრძელებს და იტალიასა და ბრიტანეთში, FIA-ს მონაწილეობის გარეშე მოაწყობს სასამართლო გარჩევებს. ტოდტის აზრით, "მაკლარენის" ყველა ამჟამინდელი წარმატება სწორედ იმის დამსახურებაა, რომ ისინი სკუდერიიდან მოპარულ მასალებს იყენებდნენ.

კრივი

## ტაისონი ბრალს აღიარებს

24 სექტემბერს, არიზონის შტატის მარიკოპის ოლქში სასამართლო პროცესი გაიმართება, სადაც ლეგენდარული მოკრივე **მაიკ ტაისონი** დანაშაულს აღიარებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ნარკოტიკების შენახვაში ედება ბრალი.

იანვარში, "რკინის მაიკმა" უარყო ეს ბრალდება და თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა, მაგრამ ხანგრძლივი პატიმრობის პერსპექტივით შეშინებულმა, გადაწყვიტა თავისი სიტყვები უკან წაეღო.

*"ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი თავად მაიკმა უნდა გადაწყვიტოს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ის აპირებს უკან წაიღოს იანვარში ნათქვამი სიტყვები, მაგრამ საბოლოოდ როგორ მოიქცევა, ეს ჩვენ არ ვიცით"*, - აცხადებს ტაისონის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

## TV სპორტი

### 13 სექტემბერი. ხუთშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:40 ჰოკეი.
09:04 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-ირლანდია.
10:53 ფეხბურთი. Barca TV.
11:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია.
14:04 ჰოკეი.
14:29 ფეხბურთი. Barca TV.
14:38 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. როვერტო. იტალია.
17:17 ფეხბურთი. Barca TV.
17:24 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-სან პაულუ (ბრაზილია).
19:12 სპორტული ისტორია.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:13 სპორტული ისტორია.
20:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:11 სპორტული ისტორია.
23:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:45 ფეხბურთი. Barca TV.
01:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია.
05:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-ირლანდია.
06:48 ფეხბურთი. Barca TV.

#### EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. ტატიანა გოლოვინი.
10:45 მძლეოსნობა. EAA-ს ტურნირი. ლინცი. ავსტრია.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-სერბეთი.
17:45 ველოსპორტი. ვუელტა. XII ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-შოტლანდია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-შოტლანდია.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
23:00 პროფესიული კრივი.
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. წინასწარი ეტაპი. ბრეგენცი (ავსტრია)-კასარანო (იტალია).
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
17:00 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. IV ეტაპი (LIVE).
19:00 გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სერფინგი. ევროპის ტური.
21:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ანდორა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-გერმანია. თურქეთი.
23:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ბულგარეთი. თურქეთი.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. წინასწარი ეტაპი. ბრეგენცი (ავსტრია)-კასარანო (იტალია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უკრაინა-იტალია.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2008

#### Under 21

| | |
|---|---|
| ფარერები-საბერძნეთი | 0:2 |
| სომხეთი-უკრაინა | 0:2 |
| შოტლანდია-დანია | 0:0 |
| უნგრეთი-სერბეთი | 2:1 |
| ლუქსემბურგი-ჩრ. ირლანდია | 1:2 |
| მალტა-საფრანგეთი | 0:2 |

#### მსოფლიო ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| ავსტრალია-განა | 4:1 |
| ბრაზილია-ახ. ზელანდია | 5:0 |
| ჩინეთი-დანია | 3:2 |
| ნორვეგია-კანადა | 2:1 |

#### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-ცრვენა ზვეზდა | 2:1 |

#### შვეიცარია

#### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| ლოზანა-სერვეტი | 1:1 |

#### ჩეხეთის თასი

| | |
|---|---|
| ბრშინევიცი-ქლინი | 1:1 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| არსენალი-რივერი | 2:1 |
| სან მარტინ-რასინგი | 0:2 |
| ბოკა-ოლიმპო | 2:0 |
| ველესი-ესტუდიანტესი | 1:0 |

### კალათბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

#### მამაკაცები

| | |
|---|---|
| იტალია-გერმანია | 58:67 |
| საფრანგეთი-თურქეთი | 85:64 |
| ლიტვა-სლოვენია | 80:61 |

### ფრენბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

#### მამაკაცები

| | |
|---|---|
| ფინეთი-ბელგია | 3:1 |
| საფრანგეთი-ჰოლანდია | 2:3 |
| გერმანია-ესპანეთი | 1:3 |
| ბულგარეთი-პოლონეთი | 3:2 |
| რუსეთი-იტალია | 3:2 |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 3:0 |

### ჰოკეი

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| სევერსტალი-ამური | 2:1 |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 5:4 |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 5:2 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 1:1. პენ. 2:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სლავია-ბუდეიოვიცე | 3:3. პენ. 4:3 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჩინეთის ღია

| | |
|---|---|
| რობრედო-გრემელმაირი | 6:2, 6:4 |
| ლი-ფაუ | 7:6, 6:1 |
| ლუბიჩიჩი-ტროიცკი | 6:1, 6:1 |
| ბაღდატისი-პაშანსკი | 6:4, 6:4 |
| გონსალესი-კაპდევილე | 6:1, 6:2 |

#### ATP. ბუქარესტი

| | |
|---|---|
| სეპი-არმანდო | 0:6, 3:6 |
| მონფილსი-ვასალო არგელო | 6:4, 6:4 |
| სიმონი-კოროლიოვი | 6:4, 6:2 |
| ანდრეევი-ჟიკელი | 4:6, 3:6 |

#### WTA. ბალი

| | |
|---|---|
| მორიტა-მიულერი | 6:4, 6:0 |
| ნაკამურა-ტანასუგარნი | 6:1, 6:7, 7:5 |
| ჰანტუხოვა-ტამაელა | 7:5, 6:3 |
| იუანი-გალოვიტცი | 2:6, 4:6 |

# ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

## A ჯგუფი

### ფინეთი-პოლონეთი 0:0

ფინეთი: იაასკელაინენი, ჰიიპია, კუივასტო, პასანენი, ტიჰინენი, ა. ერიომენკო, ჰეიკინენი (90. ვისი), კოლკა, სიოლუნდი, ტაინიო, იოჰანსონი (72. ფორსელი).

პოლონეთი: ბორუცი, დუდკა, გოლანსკი, იოპი, მიხ. ჟუვლაკოვი, ბლაშჩიკოვსკი, კრჟინოვეკი, ლევანდოვსკი, სმოლიარეკი (80. ჟურავსკი), სობოლევსკი, რასიაკი (65. საგანოვსკი).

მაყურებელი: 34 088

### ყაზახეთი-ბელგია 2:2

ყაზახეთი: ლორია, აზოვსკი (66. ლიაპკინი), ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, კარპოვიჩი, ლარინი (73. სუიუმაგამბეტოვი), სკორიხი, ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო.

ბელგია: სტიინენი, ჰოფკენსი, კომპანი, სიმონსი, ვერმაელენი, დეფური, ფელაინი, გერაერტსი (77. ჰარუნი), გოორი (84. მ. მპენზა), დემბელე, მირალა (63. ვერტონგენი).

გოლები: 0:1 გერაერტსი (13), 0:2 მირალა (24), 1:2 ბიაკოვი (39), 2:2 სმაკოვი (77-პენ)

მაყურებელი: 18 000

### პორტუგალია-სერბეთი 1:1

პორტუგალია: რიკარდო, ბრუნო ალვეში, ფერნანდო მეირა, პაულო ფერეირა, ჟოზე ბოსინგვა, დეკუ (77. ჟოაო მუტინიო), მანიშე (83. რაულ მეირელესი), პეტიტი, ნუნუ გომეში (65. კუარეშმა), კრისტიანო რონალდო, სიმაო.

სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ივანოვიჩი, რუკავინა, ტოშიჩი (61. ჟიგიჩი), ვიდიჩი, ნ. კოვაჩევიჩი, კრასიჩი (61. პანტელიჩი), კუზმანოვიჩი (71. დულიაი), სტანკოვიჩი, იოვანოვიჩი.

გოლები: 1:0 სიმაო (11), 1:1 პანტელიჩი (88)

მაყურებელი: 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-9 | 21 |
| 2. ფინეთი | 11 | 5 | 4 | 2 | 11-6 | 19 |
| 3. პორტუგალია | 10 | 4 | 5 | 1 | 19-9 | 17 |
| 4. სერბეთი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-8 | 16 |
| 5. ბელგია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-14 | 11 |
| 6. სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 7. ყაზახეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-15 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-17 | 5 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. აზერბაიჯანი-პორტუგალია, პოლონეთი-ყაზახეთი, სომხეთი-სერბეთი, ბელგია-ფინეთი

## C ჯგუფი

### ნორვეგია-საბერძნეთი 2:2

ნორვეგია: ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, პედერსენი, იონ-არნე რიისე, ბიორნ-ჰელგე რიისე (90. კიპე), სოლი (70. ჰესტადი), სტორბეკი, კარიუ, ივერსენი (80. რიზეტი).

საბერძნეთი: ხალკიასი, დელასი, კირგიაკოსი, პაცაცოგლუ, სეიტარიდისი (64. ანცასი), ბასინასი (76. სამარასი), კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, გეკასი, სალპიგიდისი (46. ლიბეროპულოსი).

გოლები: 0:1 კირგიაკოსი (15), 1:1 კარიუ (15), 1:2 კირგიაკოსი (30), 2:2 იონ-არნე რიისე (39)

მაყურებელი: 24 080

### თურქეთი-უნგრეთი 3:0

თურქეთი: ჰაქან არიქანი, ჰამით ალთინთოფი, ემრე ასიქი, სერვეთ ჩეთინი, მეჰმეთ აურელიო, გიოქდენიზ ქარადენიზი (61. ჰალილ ალთინთოფი), იბრაჰიმ უზულმეზი, აიჰან აქმანი (სერდარ ოსქანი), ნიჰათ ქავეჩი (46. ემრე ბელოზოგლუ), თუნჯაი ქანლი, გიოქჰან უნალი.

უნგრეთი: ფულოპი (71. ბალოგი), ძიუმადია, იუაში, ჟელეში, ვანცჟაკი, ვაშკო, ვასი, ჟუჟშაკი (82. ჰალმოში), გერა, ჰაინალი, პრისკინი (66. ტოტი).

გოლები: 1:0 გიოქჰან უნალი (68), 2:0 მეჰმეთ აურელიო (72), 3:0 ჰალილ ალთინთოფი (90)

გაძევება: გერა (63. უნგრეთი)

მაყურებელი: 28 020

### ბოსნია-მოლდოვა 0:1

ბოსნია: გუსო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, ნადარევიჩი, რადელიჩი (46. იბიშევიჩი), მალეტიჩი (78. კუსტოვიჩი), რაჰიმიჩი, ზება (47. დამიანოვიჩი), ბლატნიაკი, ძეკო, მუსლიმოვიჩი.

მოლდოვა: კალანჩეა, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ლასკენოვი, რებეჟა, ბორდიანი, კომლენოკი (63. ნამასკო), კორნეენცოვი, გატკანი (85. იოსანი), ბუგაევი, დოროსი (73. როგაჩოვი).

გოლი: 0:1 ბუგაევი (22)

მაყურებელი: 4 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-7 | 19 |
| 2. თურქეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 21-8 | 17 |
| 3. ნორვეგია | 9 | 5 | 2 | 2 | 20-8 | 17 |
| 4. ბოსნია | 9 | 4 | 1 | 4 | 14-16 | 13 |
| 5. უნგრეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 8-17 | 9 |
| 6. მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-17 | 5 |
| 7. მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 5-16 | 5 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. მოლდოვა-თურქეთი, უნგრეთი-მალტა, საბერძნეთი-ბოსნია

## D ჯგუფი

### ჩეხეთი-ირლანდია 1:0

ჩეხეთი: ჩეხი, იანკულოვსკი, რადოსლავ კოვაჩი, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი (46. შივოკი), პლასილი, პოლაკი, როსიცკი, სიონკო (74. ვლჩეკი), ბაროში (89. იაროლიმი).

ირლანდია: გივენი, დანი, კელი, მაკშეინი, ო'ში (38. ჰანტი), კარსლი (82. კეოგი), კილბეინი, მაკგიდი (62. ლონგი), რიდი, დოილი, კინი.

გოლი: 1:0 იანკულოვსკი (15)

გაძევება: ჰანტი (61. ირლანდია)

მაყურებელი: 16 648

### სლოვაკეთი-უელსი 2:5

სლოვაკეთი: შენეცკი, მ. ჩეხი, დურიცა, გრეშკო (64. ჟოფჩაკი), კლიმპლი, ჰამსიკი, მინტალი, პეტრაში, საპარა, ჰოლოშკო, შეშტაკი (46. ობუერა).

უელსი: ჰენესეი, ბეილი, კოლინზი, გაბიდონი, მორგანი, რიკეტსი, ს. დევისი, ლედლი (85. ვონი), რობინსონი, ბელამი, ისტვუდი (73. კ. ფლეტჩერი).

გოლები: 1:0 მინტალი (12), 1:1 ისტვუდი (22), 1:2 ბელამი (34), 1:3 ბელამი (41), 2:3 მინტალი (57), 2:4 დურიცა (78-საკ. კარში), 2:5 ს. დევისი (90)

მაყურებელი: 5 486

### კვიპროსი-სან მარინო 3:0

კვიპროსი: გეორგალიდესი, ელია (76. ტეოდოტუ), ნიკოლაუ, ოკარიდესი, პარასკევასი, ალონეფტისი, ხარალამბუსი (65. გარპოცისი), მაკრიდისი, მიხალი, კონსტანტინუ, ოკასი (46. იასუმისი).

სან მარინო: ფ. ვალენტინი, ალბანი (81. ბენედეტინი), კ. ვალენტინი, ვანუჩი, ვიტაიოლი, ანდრეინი, ბოლინი, ბონინი (73. მარიოტი), ბული, მარანი (87. ნანი), სელვა.

გოლები: 1:0 მაკრიდისი (15), 2:0 ალონეფტისი (41), 3:0 ალონეფტისი (90)

მაყურებელი: 600

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31-4 | 22 |
| 2. ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 19-4 | 20 |
| 3. ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 14-11 | 14 |
| 4. სლოვაკეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 20-20 | 10 |
| 5. უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-13 | 10 |
| 6. კვიპროსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-16 | 10 |
| 7. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1-43 | 0 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. ირლანდია-გერმანია, კვიპროსი-უელსი, სლოვაკეთი-სან მარინო

## E ჯგუფი

### ინგლისი-რუსეთი 3:0

ინგლისი: რობინსონი, ე. კოული, ფერდინანდი, რიჩარდსი, ტერი, ბერი, ჯ. კოული (88. ფ. ნევილი), ჯერარდი, რაიტ-ფილიპსი, ჰესკი (80. კრაუჩი), ოუენი (90. დაუნინგი).

რუსეთი: მალაფეევი, ანიუკოვი (80. კერჟაკოვი), ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, სემშოვი (40. ბისტროვი), ჟირკოვი, ზურიანოვი, არშავინი, სიჩოვი (63. პავლიუჩენკო).

გოლები: 1:0 ოუენი (7), 2:0 ოუენი (31), 3:0 ფერდინანდი (84)

მაყურებელი: 86 106

### ანდორა-ხორვატია 0:6

ანდორა: ალვარესი, ჩემა გარსია, ლიმა, სონეხე, აიალა, ხენის გარსია, ხიმენესი, რუისი (82. სომოსა), სივერა (58. ანდორა), ხილვა (57. მორენო), ვიეირა.

ხორვატია: რუნიე, კორლუკა, კნეჟევიჩი, რ. კოვაჩი, ბაბიჩი, კრანჩარი, ი. ლეკო, მოდრიჩი (46. ბალაბანი), სრნა, ედუარდო და სილვა (63. რაკიტიჩი), პეტრიჩი (46. პრანიჩი).

გოლები: 0:1 სრნა (34), 0:2 პეტრიჩი (38), 0:3 პეტრიჩი (44), 0:4 კრანჩარი (49), 0:5 ედუარდო და სილვა (55), 0:6 რაკიტიჩი (64)

გაძევება: ხენის გარსია (77. ანდორა)

მაყურებელი: 200

### მაკედონია-ესტონეთი 1:1

მაკედონია: მილოშევსკი, ლაზარევსკი, ნოვესკი, სედლოსკი, ვასოვსკი, გროჟდანოვსკი, მაჟნოვი, სუმულიკოსკი, ტრაიანოვი (46. პოლოჟანი), სტოიკოვი (81. ტოლესკი), ტასევსკი.

ესტონეთი: ლონდაკი, იააგერი, კრუგლოვი, პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი, რანი (62. რეიმი), ოპერი (90. ანისტე), სააგი (79. კინკი).

გოლები: 0:1 პიიროია (17), 1:1 მაჟნოვი (30)

მაყურებელი: 5 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 24-4 | 23 |
| 2. ინგლისი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-2 | 20 |
| 3. რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-4 | 18 |
| 4. ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-10 | 17 |
| 5. მაკედონია | 9 | 2 | 2 | 5 | 7-11 | 8 |
| 6. ესტონეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 3-18 | 4 |
| 7. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 2-36 | 0 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. ინგლისი-ესტონეთი

## F ჯგუფი

### ისლანდია-ჩრ.ირლანდია 2:1

ისლანდია: ა-გ. არასონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, კ-ო. სიგურდსონი, რ. სიგურდსონი, სტეინსონი, ვიდარსონი, არნასონი (88. ასგეირსონი), ჰალფრედსონი, ბიორნსონი (53. ე. გუდიონსენი), ტორვალდსონი (79. სკულასონი).

ჩრ.ირლანდია: ტეილორი, ბერდი, დაფი, ევანსი, მაკარტნი, ბრუნტი (83. ჯონსი), კლინგენი, ს. დევისი (79. მაკკანი), გილესპი, ფინი, ჰილი.

გოლები: 1:0 ბიორნსონი (6), 1:1 ჰილი (72-პენ), 2:1 გილესპი (90-საკ. კარში)

მაყურებელი: 2 500

### დანია-ლიხტენშტაინი 4:0

დანია: სიორენსენი, აგერი (28. გრავგაარდი), ჰელვეგი, ნ. იენსენი, ლაურსენი, ანდრეასენი, გრონკიაერი (46. კალენბერგი), ჰანსენი, ნორდსტრანდი, რომედალი, ტომასონი (68. ლოვენკრანდსი).

ლიხტენშტაინი: იელე, ოერი (46. დ. ფრიკი), რიტცბერგერი (46. ტ. ბეკი), მარ. შტოკლასა, ტელსერი, ბუხელი, ბურგმაიერი, დ'ელია, პოლვერინო, რორერი, მ. ფრიკი (84. რ. ბეკი).

გოლები: 1:0 ნორდსტრანდი (3), 2:0 ლაურსენი (12), 3:0 ტომასონი (18), 4:0 ნორდსტრანდი (36)

მაყურებელი: 20 005

### ესპანეთი-ლატვია 2:0

ესპანეთი: კასილიასი, ხუანიტო, კარლოს მარჩენა, პერნია, სერხიო რამოსი, ალბელდა, ხოაკინი (78. ანგულო), დავიდ სილვა (69. ფაბრეგასი), ჩავი, ფერნანდო ტორესი, ვილია (50. ინიესტა).

ლატვია: ვანინსი, გორკასი, ივანოვსი, კლავა, ჟირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (75. ვიშნაკოვსი), ლაიზანსი, რუბინსი, კარლსონსი (64. პაჰარსი), ვერპაკოვსკისი (90. ბლანკსი).

გოლები: 1:0 ჩავი (13), 2:0 ფერნანდო ტორესი (85)

მაყურებელი: 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-4 | 19 |
| 2. ესპანეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 16-7 | 19 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 4. დანია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-5 | 14 |
| 5. ისლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| 6. ლატვია | 8 | 2 | 0 | 6 | 5-9 | 6 |
| 7. ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 1 | 7 | 5-24 | 4 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. დანია-ესპანეთი, ლიხტენშტაინი-შვედეთი, ისლანდია-ლატვია

## G ჯგუფი

### სლოვენია-ბელარუსი 1:0

სლოვენია: ჰანდაროვიჩი, ჩიპოტი, ილიჩი (82. ბრეჩკო), იოკიჩი, მორეცი, კირმი, კორენი, სტევანოვიჩი (75. ჟინკო), ბირსა (66. ვრშიჩი), ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი.

ბელარუსი: გაევი, პლასკონი, რადკოვი, ტიგორევი, გლები, კალაჩევი, კორიტკო (90. კაშევსკი), რომაშჩენკო, სტასევიჩი, ბლიზნიუკი (74. ფილიპენკო), კორნილენკო (46. როდიონოვი).

გოლი: 1:0 ლავრიჩი (3-პენ)

გაძევება: რადკოვი (70. ბელარუსი)

მაყურებელი: 4 000

### ბულგარეთი-ლუქსემბურგი 3:0

ბულგარეთი: პეტკოვი, ანგელოვი, პოპოვი (74. კუშევი), ტომაშიჩი, ტუნჩევი, ზანევი, დიმიტროვი, კიშიშევი, ს. პეტროვი (60. იანკოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი (66. იოვოვი).

ლუქსემბურგი: ჟუბერი, ბიგარდი, ჰოფმანი, კინტციგერი, პაიფერი (46. კოლეტი), შტრასერი, ბეტმერი (83. და მოტა ალვეში), მუტში, პეტერსი, რემი, ჰუსი (46. პეიალი).

გოლები: 1:0 ბერბატოვი (27), 2:0 ბერბატოვი (28), 3:0 მ. პეტროვი (54-პენ)

მაყურებელი: 8 000

### ალბანეთი-ჰოლანდია 0:1

ალბანეთი: ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ვანგელი, კანა, დურო (69. ჰაჩი), ლალა, მუკა, ბოგდანი (83. ბულკუ), კაპლანი (46. ბუში).

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ბუმა, მატიისენი, მელხიოტი, ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი, დე ზეუვი (49. ვან დერ ვაარტი), სნეიდერი, ბაბელი, ვან ნისტელროოი, ვან პერსი.

გოლი: 0:1 ვან ნისტელროოი (90)

გაძევება: კანა (87. ალბანეთი)

მაყურებელი: 5 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 11-2 | 20 |
| 2. რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17-5 | 20 |
| 3. ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-6 | 18 |
| 4. სლოვენია | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| 5. ალბანეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-7 | 9 |
| 6. ბელარუსი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-19 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 1-20 | 0 |

მომდევნო ტური. 13 ოქტომბერი. რუმინეთი-ჰოლანდია, ბელარუსი-ლუქსემბურგი, სლოვენია-ალბანეთი

## ამხანაგური მატჩები

### ჩერნოგორია-შვედეთი 1:2

შვედეთი: ისაქსონი (46. შააბანი), მ. ნილსონი, მაისტროვიჩი, ჰანსონი (46. გრანკვისტი), ედმანი, დ. ანდერსონი, ჯურიჩი (46. ალექსანდერსონი), კალსტრიომი (66. ლინდეროტი), ა. სვენსონი (66. იოჰანსონი), პრიკა, როსენბერგი.

გოლები: 1:0 ვუჩინიჩი (15), 1:1 როსენბერგი (71), 1:2 პრიკა (75)

მაყურებელი: 20 000

### გერმანია-რუმინეთი 3:1

გერმანია: ჰილდებრანდი, ჰილბერტი, მ. ფრიდრიხი, მეცელდერი (46. ა. ფრიდრიხი), იანსენი (46. კასტრო), ჰიტცლშპერგერი (46. როლფსი), ბ. შნაიდერი (60. ოდონკორი), ტროხოვსკი, შვაინშტაიგერი, ჰელმესი, პოდოლსკი.

რუმინეთი: კომანი, მარინი, ტამაში, გოიანი (71. მ. კონსტანტინი), რატი (75. სტ. რადუ), კივუ (23. ო. პეტრე), კოდრეა (63. მუნტეანუ), ნიკოლიტა, დიკა, მუტუ, მარიკა (73. ბუკური).

გოლები: 0:1 გოიანი (3), 1:1 შნაიდერი (42), 2:1 ოდონკორი (65), 3:1 პოდოლსკი (82)

მაყურებელი: 44 000

| | |
|---|---|
| სინგაპური-საემიროები | 1:1 |
| მალტა-სომხეთი | 0:1 |
| ს. აფრიკა-ურუგვაი | 0:0 |



ოუენის პირველი გოლი

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა